# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 დეკემბერი **სამშაბათი** 2010

№306 (13294) ფასი 60 თეთრი




## ნაკრები ვაგზალი აღარ არის

2-3

*ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან*



13

## სანიკიძე TIME: OVERTIME

ვიქტორი და ვირტუსის ვიქტორია სამ დამატებით დროში



## გილოცავთ, ბატონო ზვიად

*სიჭინავა უკვე პრეზიდენტია*

2

## სეოკ-მა სეზონი მკაცრად შეაჯამა

წლის ნომინანტები არ დასახელდა, საუკეთესოები არ გვყავსო

11




ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

XIX ყრილობის შესახვედრად

# გილოცავთ, ბატონო ზვიად!

## სიჭინავა პრეზიდენტად უკვე აირჩიეს



გუშინ ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ საარჩევნო ყრილობის მონაწილე ფედერაციის კიდევ ხუთმა სუბიექტმა პრეზიდენტობის კანდიდატად ფედერაციის მოქმედი თავკაცი **ზვიად სიჭინავა** წარადგინა და წარმდგენთა ოდენობამ ოცს უწია:

1. თბილისის „ვიტ ჯორჯია“
2. სამეგრელო ზემო–სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
3. ზუგდიდის „მგლები“
4. შიდა ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
5. იმერეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
6. კახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
7. გურიის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
8. ქალთა ფეხბურთის ფედერაცია
9. მცხეთა–მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
10. ვეტერანთა კავშირი
11. ეზოს ფეხბურთის ასოციაცია
12. პლაჟის ფეხბურთის ასოციაცია
13. საფეხბურთო სკოლების ასოციაცია
14. ქუთაისის „ტორპედო“
15. ფეხბურთის მუშაკთა პროფკავშირი
16. საქართველოს მსაჯთა და მსაჯების დამკვირვებელთა კავშირი
17. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
18. სამცხე–ჯავახეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაცია
19. რაჭა–ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონული ფედერაცია
20. სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაცია

ჯერჯერობით სიჭინავა არ წარუდგენიათ აფხაზეთის, თბილისის, ქვემო ქართლის ფედერაციებს, ფუტსალისა და ინვალიდთა ასოციაციებს, პროფლიგას, თბილისის „დინამოს“, „ზესტაფონს“, „ოლიმპს“, „სპარტაკს“, „სამტრედიას“, „კოლხეთსა“ და „სიონს“.

თუმცა საერთო გეზს ისინიც ვერ დაუპირისპირდებიან, თუ ამ მარაქაში არც გაერევიან. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ყრილობაზე ალტერნატიული კანდიდატურის წამოყენებაც არავის უფიქრია.

სიჭინავას კონკურენტი არ ეყოლება, ცხადია, სხვა ვერ გაიმარჯვებს და უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ 22 იანვარს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებში ზვიად სიჭინავამ გაიმარჯვა. ყრილობას 33 ხმოსანი დელეგატი დაესწრება, გამარჯვებული ხმათა უმრავლესობით გაირკვევა, სიჭინავამ კი ხმების უმრავლესობა (20) უკვე დაიჯავშნა და ძნელი წარმოსადგენი არ არის, დანარჩენები რა პოზიციას დაიკავებენ.

ჯერ კიდევ 15 დეკემბერს ვწერდით, ყრილობის გამართვის ვადას მნიშვნელობა არ აქვს, მომგები (სიჭინავა) მაინც მოიგებსო. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ რედაქციაში წინასწარმეტყველები გვყავს, უბრალოდ, ლოგიკის ამბავია.

მართალია, ზვიად სიჭინავას პრეზიდენტობა ოფიციალურად 22 იანვარს გაფორმდება, მაგრამ მანამდე ლოდინს აზრი არ აქვს და ზვიად სიჭინავას ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობას დღესვე ვულოცავთ.

მას პირველად ირჩევენ სრული ვადით და ახლა მაინც მიეცემა საშუალება, ფედერაციაში საკუთარი ჩანაფიქრი განახორციელოს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი

# დარჩება სიონში ახალი ტრიო?

## ყიფიანი ისრაელშია, დროებით...

უკვე სამი დღეა, რაც ბოლნისის „სიონმა“ მზადება განაახლა, თუმცა ჯერჯერობით მთავარი მწვრთნელის გარეშე. ქვემოქართლელთა გუნდის თავკაცი **გიორგი ყიფიანი** რამდენიმე დღით ისრაელში გაემგზავრა. ამას გუნდის მზადებისთვის ხელი არ შეუშლია, რადგან „სიონის“ მოთამაშეები **გიორგი ყიფშიძის** ხელმძღვანელობით ჯერ მხოლოდ ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებაზე მუშაობენ. გუნდი 30 დეკემბრის ჩათვლით ივარჯიშებს, ახალი წლის შემდეგ კი 4 იანვრიდან გააგრძელებს მზადებას.

„სიონში“ სამი ახალი ფეხბურთელია - ნახევარმცველები **ირაკლი ჩირიკაშვილი, გელა ხუბუა** და ფოთის „კოლხეთიდან“ წამოსული თავდამსხმელი **რევაზ ჯიქია.**

ბოლნისელები 20 იანვრიდან მოსამზადებელ შეკრებას დაიწყებენ. საამისოდ სამი ვარიანტი განიხილება - ანთალია, იალტა და ურეკი.

ქუთაისის „ტორპედოში“ გადასულ ფორვარდ **რევაზ გოცირიძის** გარდა გუნდი არავის დაუტოვებია. დუბლშემადგენლობის 21 წლის შემტევი ნახევარმცველი **თორნიკე უხურგუნაშვილი** უკრაინის პირველი დივიზიონის კლუბ „ბელაია ცერკოვშია“ ტესტირებაზე და მისი საკითხი რამდენიმე დღეში გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

სერგო კოტრიკაძე, ვლადიმერ ბარქაია, მურთაზ ხურცილავა, ალექსანდრე ჩივაძე თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელების სახელით ღრმა მწუხარებით იუწყებიან გამოჩენილი ხელოვანის, ქართული ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემლის

**ზაურ ბოლქვაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახსა და ახლობლებს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწუხარებით იუწყება

**ზაურ ბოლქვაძის**

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

# უცვლელი კობი და

**ქართული ფეხბურთის მართლაც გამორჩეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე — ლევან კობიაშვილის 17-წლიანი აქტიური კარიერა კვლავაც წარმატებულად გრძელდება; თანაც, როგორც ჭეშმარიტ პროფესიონალს შეშვენის, ყოველ ახალ სეზონს (საკლუბოსა თუ სანაკრებოს) კობი ახალ-ახალი გამოწვევით ხვდება. საქართველოს ნაკრებში ჩატარებული მატჩების მიხედვით რეკორდსმენი, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ქართველი ფეხბურთელი ევროპის ტოპლიგაში სამასი შეხვედრა ვინც ჩაატარა, ამჯერად II ბუნდესლიგაში ასპარეზობს და საკმარისზე მეტი მოტივაციაც გააჩნია. სხვანაირად ვერც იქნება: ბერლინის „ჰერტა“ ბუნდესლიგაში ალზევების ერთ-ერთი უმთავრესი კანდიდატია და ამ კლუბის წარმატებულ ასპარეზობას მნიშვნელოვნად განაპირობებს გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ლევან კობიაშვილის თამაში. გერმანიის დედაქალაქის გუნდში კობი 2010 წლის დასაწყისში გადავიდა და სულ მოკლე პერიოდში „ჰერტას“ ერთ-ერთი საკვანძო და შეუცვლელი ფეხბურთელიც გახდა; ანუ, ისეთივე სიტუაციაში აღმოჩნდა, როგორშიც იყო ყოფილ გუნდებში — რუსთავის „გორდაში“, თბილისის „დინამოში“, ვლადიკავკაზის „ალანიაში“, „ფრაიბურგსა“ თუ „შალკეში“...**

**...სამშობლოში მცირე ხნით ჩამოსული ლევან კობიაშვილი გუშინ „ლელოს“ რედაქციაში გვესტუმრა, სასაუბროსაც რა გამოლევდა...**

— ზაფხულში რომ ვიყავი ჩამოსული, მაშინ ვამბობდი, — ასეთი ხანგრძლივი შვებულება არასდროს მქონია-მეთქი; ახლა კი, პირიქით არის — 28 დეკემბერს უკვე ბერლინში უნდა ვიყო და გუნდთან ერთად მეორე წრისათვის მზადება დავიწყო.

**— ასეთი მოკლე არდადეგები რას მივაწეროთ?**

— საერთოდ, ევროპის ტოპლიგებიდან მეორე ეტაპი ყველაზე გვიან გერმანიაში იწყებოდა, — იანვრის ბოლოსკენ; ახლა კი ორი კვირით ადრე გვექნება პირველი ოფიციალური მატჩი — 17 იანვარს „ობერჰაუზენს“ ვეთამაშებით.

**— II ბუნდესლიგაში შვიდწლიანი პაუზის მერე დაბრუნდით. როგორ ფიქრობთ, მაშინდელსა და ახლანდელს შორის საგრძნობი სხვაობაა?**

— შეცვლილი, ალბათ, გუნდები და ფეხბურთელებია, თორემ დონე იგივეა; რა თქმა უნდა, პირველ ბუნდესლიგას ვერ შევადარებ, მაგრამ თუ კლასი არა გაქვს, მხოლოდ მონდომების ხარჯზე ვერაფერს მიაღწევ. თანაც, ყველა გუნდი ბრძოლისუნარიანია და „სულის მოსათქმელი“ მატჩებიც, ფაქტობრივად, არ არსებობს. აქვე, ერთ სერიოზულ ცვლილებაზეც მინდა ყურადღება გავამახვილო - ამ უკანასკნელი 7 წლის განმავლობაში აბსოლუტურად ყველა კლუბის ინფრასტრუქტურა მკვეთრად გაუმჯობესდა, მოედნებიც იდეალურ მდგომარეობაშია. ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ უამინდობის მიუხედავად, II ბუნდესლიგაში პირველ ეტაპზე მხოლოდ ერთადერთი მატჩი („აუე“-„ფრანკფურტი“) გადაიდო. აღარაფერს ვამბობ სტადიონებზე დასწრებაზე -ჩვენ საშინაო მატჩებს საშუალოდ, 45-50000 გულშემატკივარი ესწრება.

**— რანგით მეორე ლიგისთვის მართლაც შთამბეჭდავი ციფრია; საერთოდაც, გერმანიაში ამ ბოლო წლებში ფაქტობრივად, ყველა მატჩი სავსე ტრიბუნების წინ ტარდება.**

— ქომაგის პრობლემა არც მანამდე იყო, მაგრამ გერმანიაში 2006 წელს ჩატარებული მუნდიალის მერე (როცა სტადიონები თუ საფეხბურთო ინფრასტრუქტურა კიდევ უფრო განვითარდა) მართლაც ფეხბურთის ბუმია. ამ საქმეში აქტიურად არის ჩართული პრესაც და ტელევიზიაც — 24 საათის განმავლობაში ამა თუ იმ მატჩის „გაპიარება“ ხდება, გულშემატკივრებიც ისე მიდიან სტადიონზე, როგორც დღესასწაულზე. ადრე სხვას რომ ეთქვა, II ბუნდესლიგაში 50000 გულშემატკივარი ესწრება თამაშებსო, ვერ დავიჯერებდი, მაგრამ ახლა ამ ყველაფრის უშუალო თვითმხილველი ვარ.



**— გულახდილად გვითხარით: გულის სიღრმეში ხომ არ ნანობთ, კარიერას II ბუნდესლიგაში რომ აგრძელებთ? ბოლოს და ბოლოს, I ბუნდესლიგაში 300-ზე მეტი მატჩი გაქვთ ჩატარებული; თანაც, ამ ზაფხულს წინადადებები „ჰერტაზე“ ბევრად უფრო სოლიდური კლუბებიდანაც არ გაკლდათ...**

— ჩემი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არასდროს მიმიღია ისეთი გადაწყვეტილება, მერე რომ სანანებლად მქონოდა; ადრეც და ახლაც, მუდამ მიზანმიმართულად ვმოქმედებდი და თითოეული შემოთავაზების შემთხვევაში ყოველთვის ვცდილობდი იმ კონკრეტული მომენტისათვის ოპტიმალური გადაწყვეტილება მიმეღო. გეთანხმებით, მართლაც რეალური დაინტერესება იყო მოსკოვის „დინამოდან“ და ფრანკფურტის „აინტრახტიდან“, მაგრამ ჩემი კარიერის და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩემი ოჯახის ინტერესების გათვალისწინებით, „ჰერტაში“ დარჩენა ვამჯობინე.

**— თქვენი პასუხიდან ჩანს, რომ ამ გადაწყვეტილებას არ ნანობთ. თანაც, „ჰერტას“ ამჟამინდელი სატურნირო მდგომარეობა იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ბუნდესლიგას უმოკლეს დროში დაუბრუნდებით.**

— მართალია, სატურნირო ცხრილში დიდი სიმჭიდროვეა, მაგრამ ყველაფერი მაინც II ეტაპის შუაგულში გადაწყდება; სწორედ მაშინ გამოჩნდება, თუ რომელ გუნდს შესწევს ძალა რეალურად იბრძოლოს პირველი ბუნდესლიგის საგზურისათვის. ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, თითოეული გუნდის ფინანსურ შესაძლებლობებსაც ვგულისხმობ და ადამიანურ რესურსსაც, — აი, ამ მხრივ კი, „ჰერტას“ მეორე ბუნდესლიგაში ბევრი ვერ შეედრება.

**— ახალი სეზონი „ჰერტამ“ როგორც ფავორიტმა ისე დაიწყო; მაგრამ, წაუგებელ შეხვედრას ზედიზედ სამი მარცხი მოჰყვა...**

— „ერთი ამოსუნთქვით“ ასეთ მარათონულ ტურნირს ვერ გაივლი და არც ჩვენ ვართ გამონაკლისი. თანაც, ორივე ძირითადმა მეკარემ ტრავმა მიიღო და ისინი დიდი დროით გამოგვაკლდნენ; შემდეგ გუნდის კაპიტანი ანდრე მიატოვიჩიც დაშავდა და ეს მცირე ჩავარდნაც ამას უნდა მივაწეროთ. თუმცა, ამას კრიზისს ვერ დავარქმევდი და ეს ბოლო ორ მატჩშიც დამტკიცდა, როცა უშუალო კონკურენტებთან 4 ქულა ავიღეთ და ზამთრის პაუზას „აუგსბურგთან“ ერთად პირველ-მეორე ადგილზე შევხვდით.

**— ზაფხულში „ჰერტას“ თავკაცად ახალგაზრდა სპეციალისტი მარკუს ბაბელი დაინიშნა. იმავე გერმანიაში, არაერთ ცნობილ მწვრთნელთან გიმუშავიათ და ბაბელს როგორ დაახასიათებდით?**

— ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მკაცრი და მომთხოვნი სპეციალისტია; შესაძლოა, არც დამიჯეროთ და სიმკაცრით ფელიქს მაგათსაც შევადარებდი. თუმცა, ყოველივე ეს ხელს არ უშლის ბიჭებთან ნორმალურ ურთიერთობაში, - ბოლოს და ბოლოს, „ჰერტაში“ ბაბელზე ოთხი-ხუთი წლით უმცროსი რამდენიმე ფეხბურთელი ვართ და საერთოც ბევრი გვაკავშირებს. რაც მთავარია, შემტევი ფეხბურთის მოყვარულია და მუდამ იმას გვთხოვს, რომ როგორც გათამაშების ფავორიტ-გუნდს ეკადრება, ისე ვითამაშოთ ნებისმიერი მეტოქის წინააღმდეგ.

**— ბაბელთან დაკავშირებით სხვა საკითხიც გვაინტერესებს: ახალი სეზონის დაწყების წინ ქართულ მედიაში გაცხადდა, რომ „ჰერტას“ კაპიტანი ლევან კობიაშვილი იქნებოდა.**

— ეს მეც გავიგე და შესაძლოა, კლუბის ხელმძღვანელობის სურვილიც იყო; მაგრამ, ყველაფერი უშუალოდ მწვრთნელის გადასაწყვეტი გახლდათ და ასეც მოხდა: სეზონის დაწყების წინ ბაბელმა გამოგვიცხადა, რომ ამიერიდან „ჰერტას“ კაპიტანი ანდრე მიატოვიჩი იქნებოდა, ხოლო მის შემცვლელებად კი მე და „ბაიერნის“ ყოფილი ფეხბურთელი კრისტიან ლელი დაასახელა.

„ჰერტამდე“ ბაბელი „შტუტგარტში“ მუშაობდა და მისვლისთანავე ბევრისთვის უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: გუნდის ლიდერს თომას ჰიტცლსპბერგერს კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა და ცენტრალავურ მცველს მატეო დელპიერს ჩააბარა. აქაც, „ჰერტაშიც“ ცენტრალური მცველი დანიშნა კაპიტნად...

**— ამ სეზონში მეტოქის კარში ერთადერთი გოლი გაქვთ გატანილი და ისიც კაპიტნის სამკლავურით. სხვათა შორის, იმ პრინციპულ მატჩში („აუესთან“) პენალტი შუაში დაარტყით, ისე როგორც საქართველო-ესტონეთის მატჩში...**

— რა ვქნა, ჯერჯერობით მიმართლებს — მეკარეები ხან ერთ კუთხეს ირჩევენ, ხან — მეორეს, მე კი „ჯიუტად“ ცენტრში ვარტყამ და გოლებიც გამაქვს; ანუ, ამ მხრივ, მეტოქის მეკარეთა მიმართ „საპრეტენზიო“ არაფერი მაქვს. სხვათა შორის, „ჰერტაში“ იანვრიდან ვთამაშობ და ამ დროის განმავლობაში მხოლოდ ორჯერ მოგვიწია პენალტის დარტყმამ...

მე-3 გვერდზე

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გვერდებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ინტერვიუ ლევან კობიაშვილთან

# შეცვლილი ნაკრები


თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო
www.msy.gov.ge

მე-2 გვერდიდან

**— ყოფილი გუნდის, „შალკეს" ასპარეზობასაც თვალს ადევნებთ და თქვენი აზრიც საინტერესო იქნება.**

— სხვისი რა მოგახსენოთ და აშკარად წარუმატებელი სტარტის მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ „შალკე" უკეთესად ათამაშდებოდა. ახლახან ვესაუბრე ლევან ყენიას და ვურჩიე, რაც შეიძლება დიდი ხნით დარჩენილიყო ამ გუნდში და ასეთი დონის მწვრთნელთან, იმიტომ, რომ ფელიქს მაგათის ხელმძღვანელობით ლევანი, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელი, კიდევ უფრო გაიზრდება.

**— ისე, არ გაგიკვირდათ, მაგათს ასეთი უხეირო სტარტი რომ აპატიეს?**

— კიდევ ვიმეორებ, არ გამკვირვებია — მის ნაცვლად ვინც უნდა ყოფილიყო, სამი წაგების მერევე მოხსნიდნენ. მაგრამ, ნუ დაგავიწყდებათ, თუ რამხელა ძალაუფლება აქვს ამ კაცს „შალკეში" — მწვრთნელობის გარდა მენეჯერიც არის და საკუთარ თავს ხომ არ მოხსნიდა? თანაც, როგორც მწვრთნელს ხომ უდიდესი ავტორიტეტი აქვს, ამ ზაფხულს საკმაოდ მომგებიანი ტრანსფერებიც განახორციელა და ყოველივე ეს, გამორიცხული იყო, გუნდის შედეგზე არ ასახულიყო.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მაგათი და საერთოდ, „შალკე" შეელევა თუ არა გუნდის კაპიტანს, მეკარე მანუელ ნოიერს?**

— ნოიერი ადგილობრივია, ფანები აღმერთებენ და მაგათიც ყველა ღონეს იხმარს, რომ რომ კლუბის სიმბოლო არსად გაუშვას. ანუ, შესაძლოა, გუნდის 90 პროცენტი შეცვალოს (როგორც ამ ზაფხულს მოხდა), მაგრამ არც ფანებთან გაიფუჭებს ურთიერთობას და არც გუნდის საკვანძო ფიგურას შეელევა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ „შალკე" ჩემპიონთა ლიგაზეც წარმატებით ითამაშებს და გერმანიის თასზეც; ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ფორმაში შესული რაულის დახმარებით „შალკემ" ბუნდესლიგაშიც სასწაული მოახდინოს და სამეულში მოსახვედრად იბრძოლოს.

**— კიდევ ერთ ძველ და ტკბილ ნაცნობზეც გკითხავთ: ამ ცოტა ხნის წინათ, „კიოლნის" სპორტულ დირექტორად ფოლკერ ფინკე დაინიშნა, ვისთანაც წლების განმავლობაში „ფრაიბურგში" თამაშობდით.**

— არ დაგიმალავთ, ჩემთვისაც სასიამოვნო მოულოდნელობა იყო და ძალიან გამიხარდა. ახალი რა უნდა ვთქვა? ამ კაცს ქართველები როგორ უყვარს, ყველამ კარგად იცის; აქედან გამომდინარე, ნუ გამოვრიცხავთ, „კიოლნში" რამდენიმე ჩვენი თანამემამულეც რომ აღმოჩნდეს. ამით კი, რაღა თქმა უნდა, მთლიანად ქართული ფეხბურთი მოიგებს.

**— ნელ-ნელა სანაკრებო თემაზეც გადავიდეთ. დარწმუნებული ვართ, ჩვენი ნაკრების თითოეულ წევრს გაუხარდებოდა ის ფაქტი, როცა 2010 წლის საქართველოს საუკეთესო მწვრთნელად თემურ ქეცბაია დაასახელეს.**

— ასეთი რამ შემთხვევით ნამდვილად არ ხდება და, რაღა თქმა უნდა, მართლაც უაღრესად პოზიტიური ფაქტია, საერთოდ, ქართული ფეხბურთისათვის და პირადად თემურისთვისაც.

**— ნაკრებში სამი-ოთხი კაცი ხართ, ქეცბაია-ფეხბურთელთან ერთად რომ თამაშობდით...**

— ამდენი წელია ერთმანეთს ვიცნობთ და ასე უცბად, ჩვენს ურთიერთობას რა შეცვლიდა - კვლავაც ურთიერთპატივისცემა და მეგობრობა გვაკავშირებს; მაგრამ ეს ყველაფერი ფეხბურთს მიღმა, თორემ სამუშაო პროცესში ყველა ისე იქცევა, როგორც პროფესიონალს შეეფერება. თანაც, ჩვენ ნაკრების სტაჟიან წევრებს უფრო მეტი მოგვეთხოვება და დარწმუნებული ვარ, როგორც აქამდე არ მქონია ურთიერთობაში პრობლემა თემურთან, მომავალშიც ასე გაგრძელდება. მთავარია, ჯანმრთელად და კონკრეტული მომენტისათვის ოპტიმალურ ფორმაში ვიყო.

**— ისე, 1996 წლიდან მოყოლებული (ნაკრებში სადებიუტო მატჩს ვგულისხმობთ), ლევან კობიაშვილს საქართველოს ნაკრების არც ერთ მწვრთნელთან პრობლემა არ ჰქონია. თუმცა, ისევ დღევანდელი ფორმაციის ნაკრებს დავუბრუნდეთ და გულახდილად გვიპასუხეთ: წლის დასაწყისში გჯეროდათ, 2010 წელს წაუგებლად რომ დაასრულებდით?**

— მე კი არა, ამას ვერავინ წარმოიდგენდა; ასეთი პესიმიზმის მიზეზი კი ჩვენი ნაკრების ბოლოდროინდელი წარუმატებლობა იყო - შესარჩევ ციკლს მოუგებლად ვამთავრებდით-ხოლმე. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვალა და ესტონეთთან თამაშიდან მოყოლებული ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ ჩვენს ნაკრებში აშკარად განსხვავებული სიტუაცია იკვეთებოდა. პირადად მე ადრეც ყოველთვის მიხაროდა ნაკრებში თითოეული ჩამოსვლა, მაგრამ ახლა ბევრად უფრო აჟიტირებული ვარ; რაც მთავარია, სამართლიანობის პრინციპის აღდგენასთან ერთად ისიც უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, რომ ფეხბურთელები ბევრად უფრო თავდაჯერებულნი გახდნენ. აბა გაიხსენეთ, არცთუ შორეულ წარსულში როგორ იყო - ფეხბურთელებს იმის შიში ჰქონდათ, დიდი ანგარიშით არ წაეგოთ, ბურთი არ დაეკარგათ და ასე შემდეგ.

**— „სამართლიანობის პრინციპიო," ბრძანეთ და აბსოლუტურად გეთანხმებით, ქეცბაიამ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი ყველა იმ ფეხბურთელს მისცა, წინამორბედნი გაურკვეველი მიზეზით რომ არ თუ ვერ ამჩნევდნენ...**

— ყველაფერს თავი დავანებოთ და აბა გაიხსენეთ, თუ როდის იყო საქართველოს ნაკრებში ასეთი კონკურენცია? აღარც გაუგებრობებია „შიდა სამზარეულოში", აღარც დაძაბულობა იგრძნობა (ხანდახან, ერთმანეთზე გადაბრალებაც ხდებოდა ხოლმე) და საერთოდაც, რაც ნაკრებში ვარ, მსგავსი მეგობრული ატმოსფერო არასდროს მინახავს. რა თქმა უნდა, სასიამოვნოზე მეტია ასეთი ურთიერთობა. აი, ახლაც, თბილისში მცირე ხნით ჩამოსული ნაკრების წევრები, სულ 8 კაცი, მეუღლეებთან ერთად შევიკრიბეთ და რამდენიმე საათი ერთად გავატარეთ. არადა, მსგავსი რამ ადრე არასდროს ყოფილა...

**— მოკლედ, თურმე, ქართველ მწვრთნელსაც შესძლებია მეტ-ნაკლებად მისაღები შედეგის ჩვენება...**

— ვაღიარებ, ადრე მითქვამს, რომ ნაკრების წარმატებული ასპარეზობისათვის უცხოელი მწვრთნელის ჩამოყვანაა საჭირო-თქო; ახლა, სხვა აზრის ვარ და ეს ყველაფერი თემურმა თავისი საქმიანობით დაამტკიცა. როგორ ფიქრობთ, პატარა ამბავი მოხდა, საქართველოს ნაკრების მატჩებზე ეროვნული სტადიონი ბოლომდე რომ ივსება? და კიდევ ერთი ფაქტორი, ბოლო დროს გულს რომ მტკენდა - რატომღაც, საქართველოს ნაკრებში მოხვედრა ძალიან ადვილი „საქმე" იყო ხოლმე. სხვანაირად რომ ვთქვა ნაკრებში გამოძახებულ ზოგიერთ ფეხბურთელს ეს ფაქტი ჩვეულებრივ ამბად მიაჩნდა. საბედნიეროდ, ამჟამად სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია და უბრალოდ, საწყენი ის არის, რომ ზემოთ ნახსენები „გაუგებრობებისა" თუ ნაკრებში გაადვილებული მოხვედრის გამო წლები და თაობები დავკარგეთ...

**გია ტუხაშვილი**

ინტერვიუ გურამ კაშიასთან

**არნემის "ვიტესში" გურამ კაშიას გამოჩენის შემდეგ კლუბის საქმეები სასიკეთოდ შეიცვალა. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ქართველი მცველის დამსახურება ვერ იქნება, მაგრამ ერედივიზიონის ფსკერიდან "ვიტესის" ამოყვანთავაში თავისი წილიც დადო.**


გურამ კაშია

# ქართველობაზე ნურავინ იეჭვიანებს

## გურამ კაშია: თაობა მოდის!

**- ჰოლანდიის ჩემპიონატის პირველი წრე დასრულდა. შეგიძლია თქვა, რომ "ვიტესში" ადაპტაციის პერიოდი დაასრულე?**

- რა თქმა უნდა. კლუბში თავს უცხოდ ნაღდად არ ვგრძნობ. ჩემი ჩასვლისას მარჯვენა მცველის პოზიცია პრობლემური იყო, შემდეგ რაც მოხდა, ყველამ იცის, მწვრთნელმა მაინც ამ პოზიციაზე დამაყენა. ჩემთვის მთავარი იყო, მეთამაშა და შეიძლება, კარშიც დავმდგარიყავი. სადებიუტო შეხვედრა კარგად ჩავატარე და "ვიტესშიც" კმაყოფილნი დარჩნენ.

**- დამკვიდრების პერიოდში სხვა პოზიციაზე თამაში მისაღებია, მაგრამ მალხაზ ასათიანივით ხომ არ მოგივა?**

- არა მგონია, რადგან მწვრთნელს გარკვევით ვუთხარი, რომ მარჯვენა მცველი არ ვარ და ჩემს პოზიციაზე თამაში მსურდა. გაიგო, მაგრამ, მე სადაც მჭირდები, იქ უნდა გათამაშოო და მართალიც არის, ფეხბურთელი ვერ დაიჟინებს, გინდა თუ არა, ამა და ამ პოზიციაზე დამაყენეო. თავდასხმაში რომ გამამწესოს, იქაც ვითამაშებ. თუმცა კმაყოფილი არ ვარ და ვფიქრობ, რომ ჰოლანდიის ჩემპიონატში ცენტრალური მცველობაც არ გამიჭირდებოდა.

**- მერაბ ჟორდანიას შესახებაც ვთქვათ, როგორ მიიღეს, როგორ აფასებენ.**

- ჟორდანიამ არნემელ გულშემატკივრებს კლუბის აღორძინების იმედი ჩაუსახა და "ვიტესიც" ნელ-ნელა გუნდს დაემსგავსა. ჰოლანდიაში განსაკუთრებული მოტივაცია მაქვს. არ მინდა ვინმემ იფიქროს, თითქოს ჟორდანიამ მხოლოდ ქართველობის გამო ჩამიყვანა და დაუმსახურებლად მათამაშებენ. არც თავი უნდა შევირცხვინო, არც მერაბი და განსაკუთრებით ვინდომებ, მოკლედ, არნემში ჩემი ჩასვლა უნდა გავამართლო.

**- ბოლო დროს ეროვნულ ნაკრებში გიწვევენ, რომელიც აშკარად შეიცვალა, ბრძოლა ისწავლა და ქულებსაც კი აგროვებს.**

- ყველაზე კარგი ის არის, რომ გუნდს ზრდა დაეტყო და ის პერსპექტიული ახალგაზრდა ფეხბურთელებიც გამოჩდნენ, რომელთა იმედიც უახლოეს პერიოდში უნდა გვქონდეს. არადა, მცირე ხნის წინ იყო ლაპარაკი, რომ თაობა აღარ იზრდებოდა. მე ასე არ ვფიქრობ, რადგან ნიჭიერი ბიჭები გვყავს - ანანიძე, ყენია, ოქრიაშვილი... ჭანტურიაზეც მინდა გითხრათ. გიორგის თამაში არ მენახა და ვარჯიშებზე დამარწმუნა, რომ უნიჭიერესი თავდამსხმელი გვეზრდება, ძალიან ბევრი შეუძლია. მოკლედ, ამ ბიჭების იმედი უნდა გვქონდეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ჩემპიონატი

# მაისურაძე ტორპედოელი გახდა

## შოთა კაშია ოლიმპს ელაპარაკება

ცხინვალის "სპარტაკის" ნახევარმცველი **ნიკა მაისურაძე** მეორე ეტაპიდან ქუთაისის "ტორპედოში" გააგრძელებს თამაშს. 21 წლის ფეხბურთელის ქუთაისურ კლუბში გადასვლაზე ბოლო ორი კვირაა, ლაპარაკობენ, გუშინ კი ინფორმაცია თავად დაგვიდასტურა.

*"ახლა შემიძლია გითხრათ, რომ "სპარტაკი" დავტოვე, ქუთაისის "ტორპედოს" ხელმძღვანელობას ყველა საკითხზე შევუთანხმდი და მეორე ეტაპზე ამ კლუბის ფორმას მოვირგებ"*, - გვითხრა მაისურაძემ.

ქუთაისის "ტორპედოში" მიიწვიეს ცხინვალის "სპარტაკის" კიდევ ერთი ფეხბურთელი **შოთა კაშია**. თუმცა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ყოფილი კაპიტანი "ტორპედოში" არ ითამაშებს.

*"დაიწერა, თითქოს ქუთაისის "ტორპედოსთან" კონტრაქტი გავაფორმე, მაგრამ ეს არასწორი ინფორმაცია. ქუთაისელებს მართლაც ველაპარაკე, მაგრამ იქ თამაშზე უარი ვთქვი. ახლა მოლაპარაკებას რუსთავის "ოლიმპთან" ვაწარმოებ და უახლოეს პერიოდში გაირკვევა, ვითამაშებ თუ არა ამ კლუბში. რაც შეეხება თბილისის "დინამოში" ჩემს დაბრუნებას, ამაზე ვერაფერს გეტყვით, ჯერ ამის თაობაზე არც გვილაპარაკია"*, - ამბობს კაშია.

**მერაბ მამულაშვილი**

# ზესტაფონი მარბელას თასისთვის იბრძოლებს

## იმერლებს რევანში მართებთ

„ზამთრის ჩემპიონმა" „ზესტაფონმა" მოსამზადებელი პერიოდი უკვე დაგეგმა. 1-8 თებერვალს ზესტაფონელები ზამთრის ტრადიციულ მარბელას თასის გათამაშებაში მიიღებენ მონაწილეობას. ტურნირში რვა გუნდი იასპარეზებს: დონეცკის „შახტარი", პრაღის „სპარტა", მოსკოვის ცსკა, დნეპროპეტროვსკის „დნიპრო", „ზესტაფონი", ვარშავის „პოლონია", პლოვდივის „ლოკომოტივი", კრასნოდარის „ყუბანი".

საწყის ეტაპზე 4 წყვილის გამარჯვებულები ნახევარფინალში გავლენ, დამარცხებულები V-VIII ადგილებისთვის გააგრძელებენ ბრძოლას. ასე რომ, ყველა გუნდი სამ-სამ მატჩს ჩაატარებს. წილისყრით ამ რვა გუნდისგან ოთხი წყვილი უკვე გაირკვა. „ზესტაფონს" პირველი მატჩი პრაღის „სპარტასთან" 2 თებერვალს ექნება. ცნობისათვის, წინა ზამთრის მოსამზადებელ შეკრებაზე ზესტაფონელები ამა წლის 1 თებერვალს ამხანაგურ მატჩში „სპარტასთან" 1:2 დამარცხდნენ (გოლი **ჯაბა დვალმა** გაიტანა) და ჩეხებთან „მარბელას თასზე" რევანშისთვის იბრძოლებენ. იმერელთა შემდეგი მეტოქე „დნიპროსა" და ცსკა-ს წყვილიდან ერთ-ერთი იქნება. „მარბელას თასის" მატჩების რეპორტაჟი ტელეკომპანია „ევროსპორტის" გეგმაშია. დაწესებულია სოლიდური საპრიზო ფონდი.

ამჟამად „ზესტაფონის" ფეხბურთელები შვებულებაში არიან. **გია გეგუჩაძის** გუნდი 8 იანვარს შეიკრიბება. ჯერ მშობლიურ ბაზაზე ივარჯიშებს, 24 იანვარს კი მოსამზადებელ შეკრებაზე ესპანეთში გაემგზავრება. „მარბელას თასზე" ასპარეზობამდე ზესტაფონელები იქ, სავარაუდოდ, ამხანაგურ მატჩებსაც გამართავენ.

**დავით ცაბაძე**

ქართველები ლატვიაში

# რეხვიაშვილის დაპირებები: ჯანელიძე და ლონლაძე ლატვიიდან ევროპაში

**2006 წელს "თბილისის" რამდენიმე ფეხბურთელი კობა ჟორჟიკაშვილმა "ზესტაფონში" გადაიყვანა, რამაც ეს ორი კლუბი ერთმანეთს დააპირისპირა – ღირდა ჩიტი ბდღვნად, რადგან "საბითუმო" გადაბირების შემდეგ "ზესტაფონში" მისი დღევანდელი ლიდერები აღმოჩნდნენ – როინ კვასხვაძე, გიორგი ხიდეშელი, ბუბა დაუშვილი, ლექსო ბენაშვილი, ირაკლი ძარია. მათთან ერთად იყო დავით ჯანელიძე, რომელიც "ზესტაფონის" ძირითადში ვერ მოხვდა. საქართველოში ჯანელიძის თამაშს უფრო ნაკლებად იცნობენ, ვიდრე მის სატრანსფერო ამბებს. დათო "ზესტაფონში" დიდი სკანდალით მივიდა და ასევე დატოვა კლუბი, წლეულს კი ლატვიის ყველაზე ტიტულოვან კლუბ რიგის "სკონტოში" მოხვდა.**

**დანარჩენზე 21 წლის თავდამსხმელი თავად მოგვითხრობს.**

**- რიგის "სკონტოში" როგორ აღმოჩნდი?**

- ჩემი პირველი ლატვიური კლუბი ვენტსპილსის "ტრანზიტი" იყო. შემდეგ ჩემმა მენეჯერმა, საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა ალეკო რეხვიაშვილმა "სკონტოს" ფარმ-კლუბ რიგის "ოლიმპსში" მიმიყვანა. "ოლიმპსში" კარგად ვითამაშე, "სკონტოს" მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ სტარკოვსმა შემნიშნა და მიმიწვია.

**- ლატვიაში ჩემპიონი გახდი, მაგრამ საქართველოში ნაკლებად გიცნობენ.**

- აქაურ უმაღლეს ლიგაში მხოლოდ ნახევარი წელი ვითამაშე, "ზესტაფონს" ვეკუთვნოდი და ცხინვალის "სპარტაკში" გამანათხოვრა. სხვათა შორის, მაშინ უმაღლეს ლიგასა და თასის მატჩებში ექვსი გოლი გავიტანე და "სპარტაკში" გატარებული პერიოდი ძალიან წამადგა. უმაღლეს ლიგაში თამაშის პრაქტიკა აუცილებელია, სხვაგვარად ლატვიაში დამკვიდრება გამიჭირდებოდა. ჩვენი ჩემპიონატების დონე თითქმის თანაბარია, მაგრამ ლატვიაში უკეთესი პირობებია, სავარჯიშოც, ფინანსურიც.

**- "ზესტაფონში" გენდობოდნენ და ამიტომაც აგიყვანეს, მაგრამ ძირითადში რატომ ველარ დაწინაურდი?**

- სერიოზული კონფლიქტი მქონდა, მაგრამ წარსულში დაბრუნება არ მსურს. ფაქტია, რომ ამ კონფლიქტის გამო იძულებული გავხდი, საქართველოდან წავსულიყავი. ცუდი რამ არ იფიქროთ, ფეხბურთთან დაკავშირებული კონფლიქტი იყო და უკვე დახურული თემაა. სამწუხარო ისაა, რომ მერე კარგად ვერ გამიცნეს და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშის საშუალებაც არ მომცემია. არც ვკამათობ, ვისაც იწვევდნენ, ჩემზე უკეთეს ფორმაში იყვნენ, ხალხიც უფრო იცნობდა.

**- "სკონტოში" თავიდან ძირითადში თამაშობდი, შემდეგ კი ნაკლებად ჩანდი.**

- მიზეზი ტრავმა იყო, კოჭი გადამიტრიალდა და ორი კვირა დავისვენე. შემდეგ კი ფორმის აღდგენა და ძირითადში მოსახვედრად ბრძოლა თავიდან მომიხდა. თუმცა სტარკოვსი ბოლო ტურებში შემადგენლობაში კვლავ მაყენებდა. სულ რაღაც ოთხი თვეა, "სკონტოში" ჩავირიცხე და, ცხადია, ძირითადში ხშირად თამაში ვერ მოვახერხე.

**- რიგელებთან რამდენწლიანი კონტარქტი გააფორმე?**

- "სკონტომ" ჯერ ოთხწლიანი ხელშეკრულება შემომთავაზა, მაგრამ ალეკო რეხვიაშვილმა კლუბს ორივესთვის უფრო ხელსაყრელი პირობა შესთავაზა – ნახევარწლიანი კონტრაქტი. კლუბი უკეთ გაერკვეოდა, აწყობდა თუ არა უფრო ხანგრძლივი ურთიერთობა და მეც ამ პერიოდში ვნახავდი, შევძლებდი თუ არა კლუბში ადაპტირებას. ახლა კი თავისუფალი აგენტი ვარ.



დავით ჯანელიძე

**- "სკონტო" ახალ კონტრაქტს გთავაზობს?**

- "სკონტოში" დარჩენაც შემიძლია, მაგრამ რეხვიაშვილმა მითხრა, ევროპიდან უკეთესი წინადადებები მაქვსო. ვნახოთ, ყველაფერი ახალი წლის შემდეგ გადაწყდება.

ლატვიაში თამაშობს **ლაშა ლონლაძეც**. 20 წლის ტანმაღალი ცენტრალური მცველი "ოლიმპსში" წასვლამდე თბილისის "დინამოს" საფეხბურთო აკადემიაში იზრდებოდა, მერე "დინამო2"-ში თამაშობდა.

*"ერთი წელია, "ოლიმპსში" გადავედი. მწვრთნელი მენდობოდა, მათამაშებდა და მისი დამსახურებაა, ლატვიაში რომ გამიცნეს. თუმცა გამორიცხული არაა, კლუბი შევიცვალო. ჩემი მენეჯერიც ალეკო რეხვიაშვილია და მეუბნება, რომ შეიძლება გერმანიის ან ავსტრიის ბუნდესლიგაში წავიდე. მალე გადაწყდება, თამაშს რომელ კლუბში გავაგრძელებ. ლატვიაში ძალიან ბევრი სელექციონერი ჩამოდის, ჩემპიონატის მატჩებს ესწრებიან და საინტერესო ფეხბურთელი უყურადღებოდ არ დარჩება"*, - გვითხრა ლონლაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ ირაკლი ვაშაკიძესთან

# ტოპმიოლერი, კუპერი, უპრინი, ცობელი... ვინ იქნება შემდეგი?

## ლაოლა შაშიაშვილის ტრანსფერსაც გვპირდება

**ჩვენს საფეხბურთო სამყაროში ვის არ სმენია აკა ტონიას შესახებ. მის მიერ განხორციელებული ტრანსფერები გაკეთებული ტრანსფერები, ფეხბურთელებისა თუ მწვრთნელებისა მუდამ საინტერესო იყო. აკა ჩვენს გვერდით აღარ არის, მაგრამ მისი სააგენტო „ლაოლა" კვლავ ამოქმედდა, რაშიც აკას მეგობარმა, ყოფილმა ფეხბურთელმა ირაკლი ვაშაკიძემ თავისი წვლილი შეიტანა.**

**ირაკლისთან საუბარი მისი კარიერით დავიწყეთ, მერე კი სატრანსფერო ამბებზე ვილაპარაკეთ.**

- ჩემი საფეხბურთო კარიერა „სამტრედიადან" იწყება, მერე იყო „ზოოვეტი", ქუთაისის „ტორპედო", თბილისის „დინამო", თბილისის „ლოკომოტივი", სალონიკის „არისი", ბოლნისის „სიონი", „თბილისი", აზერბაჯანული „თურანი" და გაბალა", ბოლოს კი მარტვილის „მერანი". ფეხბურთელად ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ელგუჯა გუგუშვილმა. კარიერას თვალს რომ გადავავლებ ხოლმე, უკმაყოფილო არ ვარ, თუმცა ალბათ უკეთესიც შეიძლებოდა.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში დავრჩი და ჩემი მეგობრის, აწ გარდაცვლილი აკა ტონიას მიერ დაფუძნებულ საფეხბურთო ბიზნესის სააგენტო „ლაოლაში" ვმუშაობ. აკა 2004 წელს გახდა ფიფას ლიცენზირებული აგენტი და იმავე წელს ჩემი ტრანსფერი განახორციელა სალონიკის „არისში". სხვათა შორის, ეს „ლაოლას" პირველი ტრანსფერი იყო. აკასთან შეთანხმებული ვიყავი, ფეხბურთელობას რომ დავასრულებდი, მის სააგენტოში ვიმუშავებდი და ამ სიტყვის ერთგული დავრჩი.

**- ჩვენში საფეხბურთო ტრანსფერებზე არაერთი სააგენტო მუშაობს, „ლაოლაზე" რას გვეტყვით?**

- აკას მამა, თეიმურაზ ტონია ფიფას აგენტია და ტრანსფერებზე ის მუშაობს. მე კი სააგენტოს გენერალური დირექტორი ვარ და მას ვეხმარები. ჩვენ საკუთარი, გამორჩეული კურსი აქვს და ტრანსფერების გარდა სხვა პროექტებზეც მუშაობს, რომლებიც ჯერ კიდევ აკამ დაიწყო, მაგრამ მისი განხორციელება არ დასცალდა. აკა შარშან, აგვისტოში გარდაიცვალა. ეს დიდი ტრაგედია იყო, მისი ოჯახის წევრები და მეგობრები დათრგუნულები ვიყავით. უკვე ავმოქმედდით, განვაახლეთ ვებგვერდი, რომელიც უფრო მეტად დაიხვეწება და ამ ზამთრის შესვენებისას ტრანსფერებსაც განვახორციელებთ.

**- ახალს რას სთავაზობთ ფეხბურთელებს?**

- აკამ ჩვენს ფეხბურთში მნიშვნელოვანი ტრანსფერები განახორციელეს: თბილისის „დინამოს" მთავარ მწვრთნელად ჯერ დუშან უპრინის, შემდეგ კი რაინერ ცობელის ჩამოყვანა; კლაუს ტოპმიოლერთან პირველად აკამ დაიწყო მოლაპარაკება და საქართველოში მუშაობაზე დაიყაბულა, მერე კი საქმეში ფეხბურთის ფედერაცია ჩაერთო. ექტორ კუპერის ჩვენს ნაკრებში მუშაობაც აკას მოგვარებული საქმე იყო. ისევე, როგორც თბილისის „ამერიდან" ჩეხეთში, პლზენის „ვიქტორიაში" დიმიტრი ტატანაშვილის გადასვლა.

პირველ რიგში, გვინდა ის, რომ მოთამაშეებმა კონტრაქტის პირობებით პროფესიონალ ფეხბურთელებად იგრძნონ თავი. ეს ეხება როგრც ფინანსურ, ასევე იურიდიულ მხარეს. ჩვენ ფეხბურთელებსა და ახალბედა ტალანტებს მომსახურების სრულ პაკეტს ვთავაზობთ. კლიენტთან ურთიერთობას არ ვამთავრებთ მისი ერთი კლუბიდან მეორეში გადაყვანით. მოთამაშის კონტრაქტს იურიდიულად ვაწესრიგებთ და ყველაფერს ვაკეთებთ, რათა ფეხბურთელის უფლებები სრულად იყოს დაცული. ტრანსფერის შემდეგაც ვაგრძელებთ ურთიერთობას ფეხბურთელთან და მას ბოლომდე მხარში ვუდგავართ.

უცხოელი პარტნიორები გვყავს, ესპანეთში, საბერძნეთში, გერმანიაში, შვედეთში, პოლონეთში, ბელარუსში, აზერბაიჯანში... ჩვენი კლიენტები უცხოელი ფეხბურთელებიც არიან.

- ქართული კლუბები ჩვენი ფეხბურთელების ტრანსფერისას სააგენტოებს თითქმის არ მიმართავენ რასაც ზოგჯერ პრობლემები მოჰყვება ხოლმე...

- სამწუხაროდ, უმეტესად ასეა, ჩვენს კლუბებს ურჩევნიათ, სააგენტოების გვერდის ავლით იმუშაონ ტრანსფერებზე. ასეთ შემთხვევაში ხშირად ხდება, როცა კონტრაქტი იურიდიულად სათანადოდ არ არის გამართული და უმეტესად ფეხბურთელი ზარალობს.

**- ჩვენებურებიდან რომელი ცნობილი სახეა „ლაოლას" კლიენტი?**

- გიორგი შაშიაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, სოსო გრიშიკაშვილი, ზურაბ ბათიაშვილი... ვმუშაობთ ალექსანდრე გოგობერიშვილისა და კიდევ სხვათა ტრანსფერებზე. იანვრიდან მასშტაბურად ვიწყებთ მუშაობას და ჩვენი კლიენტი არაერთი ცნობილი ფეხბურთელი და მწვრთნელი გახდება.

**- გავიგე, რომ შაშიაშვილის ტრანსფერზე მუშაობთ. გიორგი ამ ზამთარს შეიცვლის კლუბს?**

- მას ბერძნულ „ერგოტელისთან" სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი. შაშიაშვილით ცნობილი ბერძნული და პოლონური კლუბები არიან დაინტერესებული და ვნახოთ. შესაძლოა, ტრანსფერი ამ ზამთარს გახერხდეს თუ არა, სეზონის დასრულებამდე მოვიცდით.



**- ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს ხშირად ესწრებით. შარშან თავადვე თამაშობდით და რა სხვაობას, რა პრობლემას ხედავთ?**

- ვფიქრობ, მთავარი პრობლემა მოედნის საფარი და ცარელი ტრიბუნებია. კარგ მოედანს ფინანსები სჭირდება, რომლის დეფიციტსაც, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ჩვენი კლუბები კვლავაც განიცდიან. ვფიქრობ, სწორი მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელია ტრიბუნების შევსება. თავადვე ვიყავი ფეხბურთელი და მერწმუნეთ, ძალიან ძნელია ცარიელი ტრიბუნების წინ თამაში. გულშემატკივარი ფეხბურთის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ფეხბურთის ფედერაცია მთავრობასა და ჩვენს კლუბებს შორის ერთგვარი ხიდი უნდა იყოს და მეტად იზრუნოს, რათა ჩვენს ფეხბურთში ბიზნესისთვის უფრო სასურველი გარემო შეიქმნას. ვფიქრობ, სწორედ ეს კურსი აქვს არჩეული ზვიად სიჭინავას და თუ ამ მიმართულებას გააგრძელებს, საქმე უფრო უკეთ იქნება. ერთიც მინდა აღვნიშნო, ძალიან მახარებს თემურ ქეცბაიას გუნდის წარმატებები, რომლის დასტური რვამატჩიანი წაუგებელ სერიაა. ქართველი ფეხბურთელის სატრანსფერო ფასს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ასაკობრივი ნაკრების, განსაკუთრებით კი ეროვნული გუნდის წარმატებები. რაც მეტი წარმატებები ექნებათ ნაკრებებს მით უფრო გაიზრდება ჩვენი ფეხბურთელების ფასი და მეტად დაფასდება უცხოეთში ჩვენი ფეხბურთი.

**დავით ცაგაძე**

ბენდელას თასი

# გოგუას გაიხარე-გამახარე ბენდელაზე

## ოქროს თევზი სურვილებს ისრულებს: კობიაშვილი და სირაძე დაიმატა



"ბენდელას თასზე" გუშინ გამართულმა შეხვედრებმა ძველი ტურნირები გაგვახსენა, ცნობილი ფეხბურთელები რომ მონაწილეობდნენ და უამრავ მაყურებელს იზიდავდნენ – მერწმუნეთ, საქართველოს ჩემპიონატზე საინტერესო სანახაობა ვიხილეთ.

"ოქროს თევზმა", მაგალითად, საქართველოს ნაკრების წევრები **ლევან კობიაშვილი** და **დავით სირაძე** დაიმატა და ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ "ოლიმპს" 4:1 მოუგო. გოლები გაიტანეს **დავით მუჯირმა, ალეკო ამისულაშვილმა, ავთო ასათიანმა** და **სირაძემ**, "ოლიმპიდან" კი - **ნიკოშვილმა**.

საინტერესო შემადგენლობა შეიკრიბა "საბურთალოში": საქართველოს ნაკრების ცენტრალური ნახევარმცველი **გოგიტა გოგუა, გიორგი დევდარიანის** ფორმაციის 17-წლამდელთა ნაკრების წევრები **დავით ლეგაშვილი, დათი ხოჭოლავა, ვაკო ყაზაიშვილი, ლაშა პარუნაშვილი, სანდრო რეხვიაშვილი**, ამავე ნაკრებისა და ქუთაისის "ტორპედოს" ნახევარმცველი **მერაბ გიგაური, ბესიკ ამაშუკელი, კოტე გაბაშვილი** და ვეტერანი **დათო სოლოღაშვილი**.

"საბურთალომ" ორჯერ ითამაშა: პირველი შეხვედრა "პრობაციონერებთან" 2:2 დაასრულა, გოლები **კოტე გაბაშვილმა** და **ვაკო ყაზაიშვილმა** გაიტანეს, "პრობაციონერებში" კი - **ბადრიშვილმა** და **თათიშვილმა**.

მეორე მატჩში კი "საბურთალომ" 7:5 დაამარცხა სეუ (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი), რომლის ერთ-ერთი მწვრთნელი "ვიტესის" მცველი **გურამ კაშია** იყო, მისი ასისტენტი დინამოელი **გულვერდ თომაშვილი**, გუნდის მასაჟისტი კი, როგორც თავად დაიბრალა - **შოთა კაშია**. ასეთი საპატიო მწვრთნელების ხელში გუნდი მაინც დამარცხდა. არადა, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს: კარს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი **რეზო თევდორაძე** იცავდა, წინ თამაშობდნენ ფუტსალის ნაკრების ფეხბურთელი **შოთა კუბლაშვილი**, ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი **გიორგი ნავალოვსკი**, ბოლნისის "სიონიდან" **გიორგი ჩივაძე** და **ლაშა ნოზაძე**, ბაქოს "ინტერის" თავდამსხმელი **ბაჩანა ცხადაძე** და ცხინვალის "სპარტაკის" ნახევარმცველი **ნიკა მაისურაძე**.

სეუ-ს დაწიოკებაში განსაკუთრებული "სისასტიკით" გამოირჩნენ გოგუა და რეხვიაშვილი, გამოცდილი ფეხბურთელებით შედგენილმა სეუ-მ კი მინი-ფეხბურთს ალღო ვერ აუღო, დაცვაშიც მოიკოჭლებდა და საბოლოოდ 7:5 **გიორგი მიქაძის** "საბურთალოს" სასარგებლოდ.

თამაშის შემდეგ გავესაუბრეთ გოგიტა გოგუას, რომელიც ტურნირში ყოველწლიურად მონაწილეობს:*"ყოველთვის სიამოვნებით ვთამაშობ, რადგან "ბენდელას თასი" ვაჟკაცი ქართველი კაცის ხსოვნას ეძღვნება და მიმაჩნია, რომ მონაწილეობა ჩემი ვალია. მეორეც, მართლა კარგი ტურნირია, სეზონიც დასრულდა, ახალი წელი ახლოვდება და "ბენდელაზე" თამაშით საახალწლო განწყობას ვიქმნი".*

დავით სირაძე: *"ტურნირზე მხოლოდ ერთხელ ვითამაშე, როდესაც თბილისის ""ლოკომოტივში" გამოვდიოდი, მომწონს, სახალისო ტურნირია და დიდი ხნის უნახავ მეგობრებს ვხვდები, თანაც ფორმის შენარჩუნებაში მეხმარება".*

"ბენდელას თასის" მეორე დღის შედეგები:

| საბურთალო 2:2 პრობაციონერები | |
|---|---|
| გაბაშვილი | ბადრიშვილი |
| ყაზაიშვილი | თათიშვილი |

| ოქროს თევზი 4:1 ოლიმპი | |
|---|---|
| მუჯირი | ნიკოშვილი |
| ამისულაშვილი | |
| ასათიანი | |
| სირაძე | |

| საბურთალო 7:5 სეუ | |
|---|---|
| გოგუა - 4 | მაისურაძე - 2 |
| რეხვიაშვილი - 2 | ცხომარია - 2 |
| გაბაშვილი | ჩივაძე |

დღეს "ბენდელა" 12 საათზე დაიწყება, სალამოს კი ნახევარფინალური შეხვედრები ჩატარდება.

**12:00. "პრობაციონერები" – სეუ**
**14:00 „ოლიმპი" – „თბილისი"**

**ნახევარფინალები:**

17:00; 18:00

ამასობაში კი მთავრდება ბავშვების ტურნირი და „მაკდონალდსმა" ხუთი საუკეთესო გუნდის წევრებს საზეიმო შეხვედრა მოუწყო. ტურნირზე პრიზები „სახალისო ფეხბურთის" ქართულმა ფილიალმა და კიდევ რამდენიმე კომპანიამ დააწესეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ბიბლიოთეკა

გამოხმაურება

# ვინ ზევით, ვინ ქვევით და ვინ ბაზარში

**ინგლისში** „ბოქსინგ დეი" ჩატარდა - ტური, რომელიც ერთი შეხედვით სხვა ტურებისგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ, ვინაიდან, ტრადიციულად შობის მეორე დღეს იმართება, მას საახალწლო დღესასწაულის მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ ტურის ბოლო, მთავარი მატჩი, „არსენალსა" და „ჩელსის" შორის მთლად „ბოქსინგ დღეს" არ ჩატარებულა, ჩაროზად შემოინახეს და ამდენად ყოფილი ფეხბურთელის, ჯეიმი რედნაპის მიმოხილვაში ვერ შევიდა, მაგრამ დანარჩენზე ყოფილ ლივერპულელს ასეთი აზრი შეექმნა:

## ირწმუნე, კარლტონ

ამ ტურში ერთხელაც გამოჩნდა, რომ **კარლტონ კოული** ყოველმხრივ ნიჭიერი ფეხბურთელია, მაგრამ სტაბილურობა აკლია. რაგინდ უცნაურად უნდა გეჩვენოთ, განსაკუთრებით საკუთარი ფანების წინაშე უჭირს. „ვესტ ჰემის" გულშემატკივრები არასდროს არიან დარწმუნებული, რომ მათი თავდამსხმელი კარგად ითამაშებს. ახლაც სტუმრად გამოიჩინა თავი: „კრეივენ კოტეჯზე" „ფულჰემის" კარში ორი გოლი შეაგდო. მეორე მართლა განსაკუთრებული იყო. ასე **ფერნანდო ტორესს** რომ გაეტანა ტელევიზიები მაისამდე გაიმეორებდნენ. მოკლედ, დროა ამ ზორბა კაცმა საკუთარი ძალები ირწმუნოს.

## ყიდვის დროა

ყოველთვის **მარკ ჰიუზის** დიდი პატივისმცემელი გახლდით. მწამს, „ფულჰემში" შექმნილ რთულ მდგომარეობასაც გაართმევს თავს, მაგრამ ამ საქმეში თავდამსხმარის დახმარება დასჭირდება. ჩახედეთ ცხრილს, მიმდინარე ჩემპიონატში ლონდონელებს ორად ორი თამაში აქვთ მოგებული, რაც იმას ნიშნავს, რომ იანვარში სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობაა საჭირო. „ფულჰემის" მეპატრონემ, ბატონმა **მოჰამედ ალ ფაიედმა** საახალწლო ვაჭრობის ამბები კარგად იცის – დიდხანს ფლობდა ლონდონის ერთ-ერთ გამორჩენილ მაღაზიას. ახლა მას თავად მოუწევს ჯიბეზე ხელის გაკვრა. თავდამსხმელია საჭირო.

## შვიდი ქულა

პრემიერლიგის ცხრილი ძალიან მეტყველი რამ გახლავთ: მეცხრე ადგილზე მყოფ „ნიუკასლსა" და აუტსაიდერ „ვულვერჰემპტონს" შორის სხვაობა მხოლოდ 7 ქულაა. „ვულვზი" კვირას მასავით გასავარდნთა ზონაში მყოფმა „უიგანმა" დაამარცხა, რაც **რობერტო მარტინესისთვის** ბრწყინვალე შედეგი იყო, თუმცა აქ სხვა რამეზე მინდა თქვენი ყურადღების გამახვილება – ნებისმიერმა აუტსაიდერმა ძალ-ღონე რომ მოიკრიბოს, თავისუფლად შეუძლია არათუ თავის გადარჩენა, არამედ ცხრილის შუაში დამკვიდრებაც კი. მეორე მხრივ, დღეს, ცხრილის შუაში ყოფნა სულაც არ ნიშნავს, რომ თავი ქუდში გაქვს. ფეხის დაცდენა და ნებისმიერი ფსკერზე აღმოჩნდება.

## ქირაობას ცოდნა უნდა

ფეხბურთელის დაქირავების სისტემას იმთავითვე უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა, მაგრამ დრომ აჩვენა, რომ ნიჭიერ ახალგაზრდათა განვითარების საქმეს ეს მეთოდი კარგად ემსახურება – თუ ახალგაზრდა ნიჭიერია, მაგრამ ჯერ თავისი გუნდის ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, მას სხვა გუნდში აქირავებენ, სადაც იგი გამოცდილებას იღებს. თავის დროზე ასე გაატარეს გარკვეული ხანი სხვა სუსტ გუნდებში ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან **დევიდ ბექჰემი** (პრესტონში), **ფრენკ ლემპარდი** (სუონსიში) და **რიო ფერდინანდი** (ბორნმუთში). ამ პრაქტიკას ერთგულად მისდევს „მანჩესტერ იუნაიტედი" - **დენი უელბეკი** „სანდერლენდში" ჰყავს, **ტომ კლივერლი** კი შარშან „უოტფორდში" ჰყავდა, ხოლო წლეულს „უიგანში" გაუშვა. სწორედ 21 წლის ნახევარმცველმა გაიტანა შობის მეორე დღეს გოლი „ვულვერჰემპტონის" კარში.

## მშვენიერი მანჩესტერი

**დიმიტარ ბერბატოვმა** უკვე 14 გოლი გაიტანა, „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი „არსენალი" და „ჩელსი" ჩამოიტოვა – რა თავისებური სანახაობაა ქალაქ მანჩესტერის ორი გუნდი ცხრილის სათავეში პირველ და მეორე ადგილებზე, არა? ამ ორი გუნდიდან ერთი ტრადიციულია, ასე ვთქვათ, ლიდერთა ძველი გვარდიის წარმომადგენელი, მეორე კი „ახალი სისხლი" გახლავთ, წინა ტურში „ევერტონთან" დამარცხების შემდეგ გონს მოგებული.

## საჭიროა დახმარება

„ბლექბერნის" ახალ მეპატრონეებს სეზონის მეხუთე ადგილზე ჩამთავრება სურთ, მაგრამ თუ ასე გააგრძელეს, პრემიერლიგისა რა მოგახსენოთ და „ჩემპიონშიფში" კი შეიძლება მართლა გამოჰკრან მეხუთეობას ხელი – გაისად, რასაკვირველია. ბლექბერნელები ნიჭიერ ხალხს კარგავენ. ჯერ იყო და მუხლის ტრავმის გამო **ფილ ჯონსი** დაკარგეს, ახლა კი განრისხებულმა **კრისტოფერ სამბამ** მოიგლიჯა კაპიტნის სამკლავური. თუ ახალ მეპატრონეებს დებიუტანტი მწვრთნელის **სტივ კინის** დახმარება სურთ, იანვრის სატრანსფერო ბაზარზე ჯიბეზე ხელი უნდა გაიკრან.

## შეუპოვართა გუნდი

რაც მე ფეხბურთს ვუყურებ, არ მახსოვს „ტოტენჰემ ჰოთსპურს" ასეთი თამაში მოეგოს: ლონდონელები ბირმინგემში, „ასტონ ვილას" წინააღმდეგ ათნი დარჩნენ და თამაშის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ წინ იყო. ეს სხვას არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ამ გუნდში შეკრებილ მოთამაშეთა ჯგუფს უტეხი სული და გამარჯვებულის მენტალიტეტი აქვს. კიდევ, ვატყობ, რომ ამ ფეხბურთელებს ერთად თამაში სიამოვნებთ. ორი გოლით **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** ყველას თვალი მოსჭრა, მაგრამ **ბენუა ასუ-ეკოტომ** უმაღლესი დონის ფეხბურთი ითამაშა. **იონ ქაბულის** ბადალი ახალგაზრდა ცენტრალური მცველი დღეს პრემიერლიგაში არ თამაშობს, **უილსონ პალასიოსი** კი ძველებურად საუკეთესო ფორმაშია.



მარკ ჰიუზმა თავდამსხმელი უნდა იყიდოს

# სანოვარა და იუბილე

**კარლოს ტევესმა** „ბოქსინგ დღეს" **რობერტო მანჩინის** ნამდვილი დღესასწაული მოუწყო. შემორიგებულმა არგენტინელმა ფორვარდმა „ნიუკასლ იუნაიტედის" კარში გატანილი ორი გოლი სანოვარას პირში ჩადებით აღნიშნა. ასეთი გახლდათ იტალიელი მწვრთნელის ერთი წლისთავი „მანჩესტერ სიტის" თავკაცის თანამდებობაზე. ტევესის გოლებით გახარებული მანჩინი ემოციას ვერ მალავდა:

*„მე მიყვარს „ბოქსინგ დეი". შარშან ამ დღეს „სიტის" მწვრთნელის რანგში დებიუტი მქონდა და ჩვენ „სტოკს" მოვუგეთ. როგორც ხედავთ შესანიშნავად გავიმარჯვეთ წლეულსაც. როგორ შევაფასებდი ამ ერთ წელიწადს? ძალიან მოკლედ: ფანტასტიკური იყო. პრემიერლიგის ბადალი ევროპაში არაფერია.*

*ამჯერად ინგლისში ძალიან უცნაური სეზონი მიმდინარეობს. უკვე ახალი წელი მოდის და ცხრილში 10 ქულით არავინ დაწინაურებულა. ტიტულისთვის ბრძოლა წინ არის. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როგორც გითხარით, ეს „ბოქსინგ დღეც" ძალიან კარგი იყო, თუმცა გამოსასწორებელი ბევრია. თუ ჩვენ ამას მოვახერხებთ, პირველ ადგილზეც გადავალთ. მერწმუნეთ, „მანჩესტერ სიტის" აქვს შანსი, ეს სეზონი ტიტულით დაასრულოს".*

შეგახსენებთ, რომ ნიუკასლის „სენტ ჯეიმს პარკზე" ისტლენდელთაგან ანგარიში 73-ე წამზე **გარეთ ბერიმ** გახსნა, ხუთ წუთში კი ტევესმა მეორეც შეაგდო. მანჩინიმ დასძინა:

*„თამაში ჩვენთვის საუცხოოდ დაიწყო. ორი იმთავითვე გავიტანეთ და კიდევ გვქონდა საგოლე მომენტები. ჩვენ ამ შეხვედრისთვის ძალიან სერიოზულად ვემზადებოდით. „ნიუკასლი" ის გუნდია, რომელთანაც ძალიან ძნელია ბრძოლა და გამარჯვება.*

*ძალიან მიხარია კარლოსმა ამ შეხვედრაში ორი გოლი რომ შეაგდო, თუმცა სხვა ფეხბურთელების წარმატებაც მახარებს. დღეს ჩემმა ბიჭებმა დაცვაში შესანიშნავად ითამაშეს.*

*ზემოთ გამოსწორება ვახსენე. უპირველეს ყოვლისა შინ თამაშია გამოსასწორებელი. ამ ჩემპიონატში ძალიან ბევრ ქულას სწორედ ისტლენდზე ვკარგავთ".*

კარლოს ტევესმა მეორე გოლი თამაშის დასრულებამდე 9 წუთით ადრე გაიტანა.

„ნიუკასლის" თავკაცმა **ალან პერდიუმ**, რომელმაც 2006 წელს „ვესტ ჰემის" მწვრთნელობის პერიოდში ტევესის ინგლისში დამკვიდრებაში თავისი წვლილი შეიტანა, თქვა:

*„კარლოსი შეუდარებელი იყო. რასაკვირველია, კარგად ვიცი რა დონის ფეხბურთელიც არის არგენტინელი, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მესამე გოლის დროს ჩვენმა მცველებმა მას სამოქმედოდ ზედმეტად დიდი ფართობი მისცეს.*

*„მანჩესტერ სიტი", რასაკვირველია, ძალიან დიდი გუნდია, თუმცა საქმე მარტო ეს არ არის. თამაში წარმატებით რომ დაასრულო, იღბალიც გჭირდება. დღეს ისტლენდელებს იღბალი ნამდვილად არ აკლდათ. სხვა საქმეა, რომ ჩემპიონობამდე მათ მაინც ბევრი უკლიათ. პირველად ჩემპიონობის მოპოვება ყოველთვის ძნელია".*

ინგლისი. პრემიერლიგა. XX ტურის წინ



# მანჩესტერელები ბირმინგემელების წინააღმდეგ

**დღეს**

**მანჩესტერ სიტი-ასტონ ვილა** 19:00

**ტრავმა:** ადებაიორი, ბრიჯი – ლ. იანგი, ე. იანგი, ჰესკი

**სტოკი-ფულჰემი** 19:00

**ტრავმა:** ეზერინგტონი - დემბელე, სენდეროსი, ზამორა, სტოორი

**სანდერლენდი-ბლექპული** 19:00

**დისკვალიფიკაცია:** ადამი (ბლექპული)

**ტრავმა:** მენსა, ტერნერი, კემპბელი – გილკსი, ბეშემი, კლერკი, ჰერევუდი, ელმონდი,

**ტოტენჰემი-ნიუკასლი** 19:00

**დისკვალიფიკაცია:** დეფო (ტოტენჰემი), ნოლანი (ნიუკასლი)

**ტრავმა:** გალასი, ჰადლსტოუნი (ორივე ტოტენჰემი)

**ვესტ ბრომვიჩი-ბლექბერნი** 19:00

**დისკვალიფიკაცია:** ბრანტი (ვესტ ბრომვიჩი)

**ტრავმა:** ტომასი – გრელა, ნზონზი, ენდრიუსი, რობერტსი, ფ. ჯონსი

**ვესტ ჰემი-ევერტონი** 21:30

**დისკვალიფიკაცია:** ენიჩიბე (ევერტონი)

**ტრავმა:** და კოსტა, ნობლი, კოლისონი, ბეჰრამი, ბარერა, მაკარტი – ოსმანი, ჰეიტინგა

**ბირმინგემი-მანჩესტერ იუნ.** 24:00

**ტრავმა:** ჰლები, მაკფადენი – ჰარგრივზი, ო'ში, სქოულზი, ვალენსია

**ხვალ**

**ჩელსი-ბოლტონი** 23:45

**უიგანი-არსენალი** 23:45

**ლივერპული-ვულვზი** 24:00

**პრემიერლიგის** ლიდერი „მანჩესტერ იუნაიტედი" 2010 წლის ბოლო შეხვედრას ბირმინგემის „სენტ ენდრიუზე" ატარებს. თითქოს უპირობო ფავორიტია, არა? ასე თქვენ ფიქრობთ, თორემ, აბა, ბირმინგემელების მწვრთნელს **ალექს მაკლიშს** ჰკითხეთ. მისმა ბიჭებმა დღევანდელი შეხვედრის წინ გემრიელად დაისვენეს – ამინდმა არდადეგები მოუწყო. დიახ, „ბირმინგემს" ზედიზედ ორი მატჩი გადაედო, 12 დეკემბრის შემდეგ ბურთი არ გაუგორებია.

*„რა ხანია გუნდები საახალწლო დასვენებას ითხოვენ, ჰოდა, ინებეთ, - იხუმრა შოტლანდიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, რომლის ხელმძღვანელობით სქოთებმა თბილისში 2007 წელს საქართველოს ნაკრებთან 2:0 წააგეს – არა მგონია, რომ ამ დასვენების გამო ჩემს ბიჭებს სიმწვავე დაეკარგათ. ვარჯიშებზე სრული დატვირთვით ვიხარჯებოდით. რასაკვირველია, ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" წაუგებლად მიდის, შთამბეჭდავია, მაგრამ ისიც ხომ უნდა დამარცხდეს ადრე თუ გვიან? ჰოდა, იმედი მაქვს, რომ ეს სწორედ ჩვენთან შეხვედრაში მოხდება. სად-სად და „სენტ ენდრიუზე" ადრეც წაგვიქცევია დიდი გუნდები".*

*„ამ სეზონში ყველა ყველას უგებს და მშვიდად ვერც ერთ მეტოქესთან თამაშის წინ ვერ იქნები"* - დაადასტურა მანჩესტერელთა ვეტერანმა **რაიან გიგზმა.**

„მანჩესტერ სიტიმ" კი გაიგულა „იუნაიტედი" ქალაქიდან და ბირმინგემის მეორე გუნდს „ასტონ ვილას" მასპინძლობს. „სიტის" **კოლო ტურე** უბრუნდება – ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა. „ვილას" **ემილ ჰესკი** ჰყავს დაშავებული და ითამაშებს თუ ვერა, სალამომდე თავადაც არ ეცოდინება. სტატისტიკის მოყვარულთათვის: „ვილას" ისტლენდზე 2007 წლის მერე არ მოუგია.

„სტოკი" „ფულჰემს" მასპინძლობს და თავს იმით იგულიანებს, რომ „ბლექპულთან" წაგებამდე საკუთარ კედლებში 9 შესაძლებლიდან 7 ქულა ჰქონდა მოპოვებული – ესე იგი „სახლის გუნდია". „ფულჰემს" კი „კრეივენ კოტეჯის" გარეთ... გასული სეზონის პირველი ტურის მერე არ მოუგია.

„სანდერლენდი" „ბლექპულს" მასპინძლობს და ისიც ყინჩად არის, რადგან ამ სეზონში შინ არ აგებს, მაგრამ არც ზღვისპირელები არიან ყურჩამოყრილნი – სტუმრად 4 მოიგეს და 2 ფრედ ითამაშეს.

*„ჩემპიონის ტიტული? რატომაც არა, გამორიცხული არაფერია, მაგრამ ბუქმეიქერები ლიდერთა შორის აუტსაიდერად მიგვიჩნევენ და კაცმა რომ თქვას მართლებიც არიან"* - მიკიბ-მოკიბა „ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** „ნიუკასლთან" მასპინძლობის წინ. ცნობისთვის: „დეზებმა" „კაჭკაჭებს" ბოლოს 2009 წლის აპრილში აჯობეს, 1:0.

„ბლექბერნი" ვესტ ბრომვიჩში მიდის, რაც იმით არის საყურადღებო, რომ ეს გუნდის პირველი გასვლაა მას მერე, რაც ახალმა, ინდოელმა მეპატრონეებმა თანამდებობიდან **სემ ელერდაისი** დაიფრინეს. ისე, „ბლექბერნს" ვესტ ბრომვიჩში 2002 წლის სექტემბრის მერე არ მოუგია.

„ევერტონს" ბოლო 7 გასვლა არ წაუგია, ხოლო „აპტონ პარკზე" ბოლო 4 სტუმრობა მოგებით დაასრულა, ასე რომ, ფრთხილად „ვესტ ჰემო"!

**ილია ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ტრანსფერი

# კასანო მილანს შეუერთდა

**ანტონიო კასანო** უკვე მილანშია, სულ მალე ხელშეკრულებას გააფორმებს და „როსონერის" სრულუფლებიანი წევრი გახდება. **ადრიანო გალიანიმ** თავისი გაიტანა და ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი იტალიელი ფეხბურთელი „მილანის" ღირსებას დაიცავს. „გაძეტა დელლო სპორტის" ცნობით, ანტონიო გუშინ ნაშუადღევს მივიდა „მილანელოზე" და ახალ თანაგუნდელებს გაეცნო. ბუნებრივია, „მილანის" იტალიელ ფეხბურთელებს კარგად იცნობს და მათი შეხვედრა მეტად გულთბილი გამოდგა. კასანომ კარგა ხანს ისაუბრა **ზლატან იბრაჰიმოვიჩთან**, რომელიც დიდი სიხარულით შეეგება ახალწვეულს. მოვუსმინოთ იბრას:

*„კასანოს სახით შესანიშნავი ფეხბურთელი დავიმატეთ. ისედაც უძლიერესი გუნდი გვყავს და მასთან ერთად, კიდევ უფრო ძლიერები ვიქნებით. ანტონიოს თანაბარი წარმატებით შეუძლია გოლის გატანა და საგოლე გადაცემების კეთება. ბრწყინვალე შენაძენია, სიხარულისგან სიტყვებს ვერ ვპოულობ. ერთი სული მაქვს, როდის გავალ მინდორზე და მეტოქე მცველებს კასანოსთან ერთად შევუტევ".*

კასანო-ბრაჰიმოვიჩის ტანდემზე რა გითხრათ და აი გატუზო-კასანოს წყვილი კი მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა. ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებს **რობერტო დონადონი** წვრთნიდა, რომელიც მაშინდელ მოვლენებს ასე იხსენებს: *„არ მიეკუთვნები იმ მწვრთნელთა კატეგორიას, რომლებიც ზედმეტად მკაცრად უდგებიან საქმეს და ფეხბურთელები მუდმივ წნეხში ჰყავთ. თუმცა, ის, რასაც გატუზო და კასანო ერთად ჩადიოდნენ, გამოგიტყდებით და ნერვებს მიშლიდა. ყველას აშაყირებდნენ და შემდეგ იხოცებოდნენ სიცილით - ასეთ რთულ ტანდემთან ჩემს ცხოვრებაში არ მიმუშავია".*

აი ასეთ შარში გაეხვია **მასიმილიანო ალეგრი** და ვინძლო ინანოს კიდეც, რომ კასანოს გადასაბირებლად ყველაფერი გააკეთა. თუმცა, ჯერჯერობით მხოლოდ კმაყოფილებას გამოხატავს: *„ფილიპო ინძაგის მძიმე ტრავმამ გვიბიძგა იმისკენ, რომ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში თავდამსხმელი გადაგვებირებინა. რამდენიმე ვარიანტზე ვფიქრობდით, რომელთა შორის ანტონიო კასანო გამოვარჩიეთ. ძალიან დიდი გამოცდილება აქვს, თუმცა ჯერ ისევ ახალგაზრდაა და კიდევ დიდ ხანს ითამაშებს უმაღლეს დონეზე. მასთან ერთად „მილანის" შეტევები უფრო მრავალფეროვანი და ამოუცნობი გახდება, რაც ჩვენს საჩემპიონო შანსებს ერთი-ორად გაზრდის".*

მოკლედ, კასანოს ტრანსფერით ალეგრიც მეტად კმაყოფილია. ანტონიოს დებიუტი კი ალბათ დუბაიში შედგება, სადაც „მილანი" მოსამზადებელ შეკრებას გაივლის და რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს - მათ შორის ერთს კი **ფაბიო კანავაროს** „ალ აჰლისთან". სწორედ აზიის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდთან უნდა შედგეს ანტონიოს დებიუტი „მილანის" შემადგენლობაში.

**ლაშა წიკლაური**



ანტონიო კასანო



მალდინი და ლეონარდო

● კონფლიქტი

# ლეონარდო ზღვარს გადავიდა

## თანაშემწედ მალდინი მოისურვა

„ინტერის" ახალი მთავარი მწვრთნელი **ლეონარდო** აშკარად „მილანის" მესვეურების ნერვებზე თამაშობს. როგორც ჩანს, ძალიან ნაწყენია იმაზე, რომ გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგი (მე-3 ადგილი) არ დაუფასეს და **მასიმილიანო ალეგრით** ჩაანაცვლეს. სხვას რას უნდა მივაწეროთ ის, რომ ლეონარდომ „ინტერში" **პაოლო მალდინისთან** ერთად მუშაობის სურვილი გამოთქვა. ბრაზილიელი სპეციალისტი თანაშემწეს ეძებს და ამ პოსტზე ლეგენდარული „მილანისტას" მიწვევის სურვილი გაუჩნდა. ამის შესახებ მან ღიად განაცხადა პრესასთან საუბარში. თავიდანვე გამორიცხული იყო, რომ მალდინის წინადადება მიეღო - ეს კარგად იცოდა ლეომ, მაგრამ განცხადება მაინც გააკეთა.

ჟურნალისტები **პაოლო მალდინისაც** შეეხმიანენ და შეთავაზებასთან დაკავშირებით მისი მოსაზრება მოისმინეს: *„მწვრთნელობაზე ჯერჯერობით არ ვფიქრობ და შესაბამისად, ლეონარდოს წინადადებას ვერ მივიღებ. ის ჩემი ახლო მეგობარია და მინდა, რომ „ინტერში" დიდი წარმატებები ვუსურვო, თუმცა ამ გუნდში ჩემი ადგილი არ არის. მთელი საფეხბურთო კარიერა „მილანში" გავატარე, ამ გუნდის კაპიტანი ვიყავი და არა მგონია, „ინტერში" მუშაობის დაწყება გონივრული ნაბიჯი იყოს - ამიტომ, ამ ნაბიჯს უბრალოდ არ გადავდგამ".*

აი ასე მოკლედ მოჭრა მალდინიმ და ისეთი პასუხი გასცა ლეონარდოს, როგორსაც ეს უკანასკნელი ალბათ ელოდა კიდეც. თუმცა, ამ ინიციატივამ თავისი საქმე გააკეთა, **ადრიანო გალიანი** წყობიდან გამოვიდა და ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: *„ლეონარდოს დიდ პატივს ვცემ და კარგი იქნება, თუ მისდამი ჩემი დამოკიდებულება არ შეიცვლება. წლების განმავლობაში „მილანში" თამაშობდა და შემდეგ უკვე კლუბის დირექტორატის წევრი იყო. ლეოს ადგილზე არასდროს დავთანხმდებოდი „ინტერის" გაწვრთნას და სიმართლე გითხრათ, მისი არ მესმის. მიუხედავად ამისა, არასდროს გამიკრიტიკებია და პირიქით, წარმატებაც კი ვუსურვე. თუმცა, პაოლო მალდინის „ნერაძურიში" მიწვევით ნამდვილად ზღვარს გადავიდა და ყველას გვაწყენინა. შესანიშნავად იცოდა, რომ პაოლო ამ წინადადებას არასდროს დათანხმდებოდა, თუმცა მიუხედავად ამისა, ეს შეთავაზება საჯაროდ გაცხადა. „მილანი" ერთი დიდი ოჯახია, სადაც თურმე არცთუ ღირსეული ადამიანებიც ხვდებიან".*

იმდენი ქნა ლეონარდომ, რომ ადრიანო გალიანისგან უღირსი ადამიანის ეპითეტი დაიმსახურა. ალბათ, დაახლოებით ანალოგიური აზრი აქვს **სილვიო ბერლუსკონისაც**, რომელსაც ლეო წლების განმავლობაში მეორე მამას ეძახდა.

**ლაშა წიკლაური**

● სავარაუდო ტრანსფერი

# ლაციო სანტა კრუსს ინათხოვრებს

სერია A-ს მიმდინარე გათამაშების პირველი ეტაპის შეჯამებაში ვწერდით, რომ „ლაციოს" ერთი კარგი გამტანი თავდამსხმელი არ აწყენდა. და აი, გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომაული კლუბის მესვეურები „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელის, **როკე სანტა კრუსის** მიმართულებით გააქტიურდნენ. პარაგვაელ ფორვარდს დიდი ხანია საკლუბო დონეზე თავი არ გამოუჩენია და ვერ გეტყვით, რამდენად არის გამტანი ფორვარდი, მაგრამ ფაქტია, რომ „ლაციო" თავდამსხმელს ეძებს და სრულიად საფუძვლიანადაც. ეძებს იმიტომ, რომ სკუდეტოსთვის მებრძოლი გუნდი ცენტრფორვარდის პოზიციაზე **სერჯო ფლოკარის** არ უნდა ათამაშებდეს. ეს ჩვენი მოსაზრება არ გეგონოთ, ამაზე უკვე დიდი ხანია იტალიაში საუბრობენ.

როკე სანტა კრუსი 29 წლის გახლავთ და „მანჩესტერ სიტიში" მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. „გაძეტა დელლო სპორტის" ცნობით, რომაელები პარაგვაელს სეზონის ბოლომდე იჯარის წესით აიყვანენ და თუ მხარეები კმაყოფილნი დარჩნენ თანამშრომლობით, ხანგრძლივვადიანი ხელშეკრულებაც გაფორმდება. აქედანვე ცნობილია, რომ რომაელებს სანტა კრუსის გამოსყიდვა 3 მილიონი ევრო დაუჯდებათ. უახლოეს დღეებში პარაგვაელი იტალიის დედაქალაქში უნდა ჩავიდეს და ეს საკითხიც საბოლოოდ გადაწყდება. სატრანსფერო გეგმებზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ედუარდო რეია** საუბრობს:

*„თავდამსხმელის გადაბირებას ნამდვილად ვცდილობთ და რამდენიმე ფეხბურთელთან გვაქვს მოლაპარაკებები. ერთ-ერთზე აუცილებლად შევაჩერებთ არჩევანს და ამ რგოლს გავაძლიერებთ. მცველის დამატებაც გვსურს, რადგან სტეფან რადუს დაშავების შემდეგ უკანა ხაზში სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. გუნდს, რომელიც მაღალი ადგილებისთვის იბრძვის, ერთი ფეხბურთელის მწყობრიდან გამოსვლის გამო, ასეთი პრობლემები არ უნდა შეექმნას. ასე რომ, როგორც მინიმუმ, ორი ფეხბურთელი აუცილებლად უნდა დავიმატოთ".*

აქვე ვთქვათ „ლაციოს" პრეზიდენტის **კლაუდიო ლოტიტოს** შესახებ, რომელსაც მყარად აქვს გადაწყვეტილი ედუარდო რეიასთან ხელშეკრულება გაახანგრძლივოს. ლოტიტოს თქმით, რეია მისი **ალექს ფერგიუსონია** და სურს, რომ ეს მწვრთნელი კიდევ მრავალი წლის განმავლობაში ედგეს სათავეში „ბიანკოჩელესტეს". პრეზიდენტის თქმით, ამ საკითხს სეზონის ბოლოს მიხედავს და რეიას ახალ ხელშეკრულებას შესთავაზებს, რომელიც 2015 წლამდე იქნება გათვლილი. კონტრაქტის გახანგრძლივების წინააღმდეგი წესით არც მწვრთნელი უნდა იყოს, რადგან ლოტიტო მას სრულ ფინანსურ მხარდაჭერას ჰპირდება.

**ლაშა წიკლაური**



როკე სანტა კრუსი

● ინგლისი

პრემიერლიგა. XXIX ტური

# ექვსქულიანი

**არსენალი–ჩელსი 3:1**

**არსენალი (4-5-1):** ფაბიანსკი – სანია, კოშელნი, დჯურუ, კლიში – უოლკოტი, სონგი, უილშერი, ფაბრეგასი, ნასრი – ვან პერსი

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი – ფერეირა, ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული – ესიენი, მიკელი, ლემპარდი – კალუ, მაკუდა, დროგბა

**გოლები:** 1:0 სონგი (44), 2:0 ფაბრეგასი (51), 3:0 უოლკოტი (53), 3:1 ივანოვიჩი (57)

**გაფრთხილება:** ვან პერსი, ფაბრეგასი – ე. კოული, კალუ, ლემპარდი

**კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 13-17; **კარში დარტყმა:** 10-12 (6-1); **თამაშგარე:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 60 112

„არსენალმა" დიდი ნაბიჯი გადადგა წინ - „ჩელსის" 3:1 ძლევით მხოლოდ თვითონ კი არ შეიმატა ქულები, მეტოქეც ძლიერ ჩამოიტოვა. ამაზე იტყვიან, ექვსქულიანი თამაში იყოო – ასეთ დროს სამ ქულას იგებ და სამსაც კონკურენტს ართმევ. პირველი ტაიმი დაძაბული, თუმცა უფრო ერთფეროვანი გამოდგა. „არსენალი" „ჩელსის" გასაქანს არ აძლევდა. საკმარისი იყო ლურჯფორმიან ფეხბურთელს ბურთი მიეღო, რომ „მასი წილი მეთოფე" ჩრდილივით აეკვრებოდა. ამიტომაც შეიზღუდა დასავლეთლონდონელთა სიმწვავე თუ სიმძლავრე და ტაიმის ბოლოს, როდესაც მასპინძლებმა თავიანთი ცეცხლიც დაანთეს, მოხდა ლოგიკური რამ – **არსენ ვენგერის** გუნდი დაწინაურდა. გოლი **ალექს სონგმა** შეაგდო.



შესვენების შემდეგ, წესითა და რიგით, „ჩელსის" გააქტიურების დრო უნდა დამდგარიყო, მაგრამ... 51-ე და 53-ე წუთებზე, თითქმის ერთსა და იმავე ადგილას – მოედნის შუაში, „ლურჯების" საჯარიმოსა და ცენტრს შორის - სტუმრებმა ორი თითქმის ერთნაირი შეცდომა დაუშვეს: ბურთი დაკარგეს და „არსენალს" სწრაფი და უმარტივესი კონტრშეტევის საშუალება მისცეს. ორივე ეპიზოდი გოლით დასრულდა. პირველ შემთხვევაში **სესკ ფაბრეგასმა** გაიტანა, მეორეში კი თეო უოლკოტმა. ამ ამბებიდან 4 წუთში „ჩელსიმ", უფრო ზუსტად კი **დიდიე დროგბამ** მარცხენა ფრთიდან ახალშესული **გაელ კაკუტას** წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ჩააწოდა და **ბრანისლავ ივანოვიჩმა** თავურით ბურთი კარში შეაგდო, მაგრამ მეტი სტუმრებმა ველარაფერი მოახერხეს.

**ილია ბაბუნაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 17 | 10 | 7 | 0 | 38:16 | 37 |
| 2. არსენალი | 18 | 11 | 2 | 5 | 37:20 | 35 |
| 3. სიტი | 19 | 10 | 5 | 4 | 28:16 | 35 |
| 4. ჩელსი | 18 | 9 | 4 | 5 | 32:15 | 31 |
| 5. ტოტენჰემი | 18 | 8 | 6 | 4 | 27:23 | 30 |
| 6. ბოლტონი | 19 | 7 | 8 | 4 | 32:25 | 29 |
| 7. სანდერლენდი | 19 | 6 | 9 | 4 | 21:20 | 27 |
| 8. სტოკი | 18 | 7 | 3 | 8 | 23:22 | 24 |
| 9. ნიუკასლი | 18 | 6 | 4 | 8 | 28:29 | 22 |
| 10. ლივერპული | 17 | 6 | 4 | 7 | 21:22 | 22 |
| 11. ბლექპული | 16 | 6 | 4 | 6 | 24:29 | 22 |
| 12. ვესტ ბრომვიჩი | 18 | 6 | 4 | 8 | 24:31 | 22 |
| 13. ბლექბერნი | 19 | 6 | 4 | 9 | 23:30 | 22 |
| 14. ევერტონი | 18 | 4 | 9 | 5 | 20:21 | 21 |
| 15. ასტონ ვილა | 18 | 5 | 5 | 8 | 20:30 | 20 |
| 16. უიგანი | 18 | 4 | 7 | 7 | 15:29 | 19 |
| 17. ბირმინგემი | 17 | 3 | 9 | 5 | 17:20 | 18 |
| 18. ფულჰემი | 18 | 2 | 10 | 6 | 17:23 | 16 |
| 19. ვესტ ჰემი | 19 | 3 | 7 | 9 | 19:32 | 16 |
| 20. ვულვზი | 18 | 4 | 3 | 11 | 19:32 | 15 |

სატრანსფერო ამბების აკიდო

# ბაპტიშტა მალაგაში, დიარები მიდიან

## რიგელი რუსი ანოეტას ჰაერიდან გააკონტროლებს

პრიმერადივიზიონის ერთ-ერთი აუტსაიდერი, მე-18 ადგილზე მყოფი „მალაგა“ „რომას“ 29 წლის ფორვარდ **ჟულიო ბაპტიშტას** შეუთანხმდა. „კორიერე დელო სპორტი“ გვამცნობს, რომ ბრაზილიელი ფორვარდი დათანხმდა ხელფასის შემცირებას და წელიწადში 2,5 მილიონ ევროს მიიღებს, არადა „სტადიო ოლიმპიკოზე“ მისი გასამრჯელო 3,2 მილიონი ევრო იყო. ბაპტიშტას კიდევ 18 თვე აკავშირებს „რომასთან“, მაგრამ უახლოეს დღეებში ის 2014 წლამდე გააფორმებს ხელშეკრულებას ანდალუსიურ კლუბთან. იმისთვის, რომ იტალიურ კლუბს სახელფასო სალარო დაეზოგოს, „რომა“ „მალაგას“ 2-მილიონიან სატრანსფერო შეთავაზებას დასჯერდა. არადა, ბაპტიშტა 2008 წელს „როსონერის“ წევრი 10 მილიონი ევროს საფასურად გახდა. მაშ ასე, „სან პაულუს“, „სევილიას“, „არსენალისა“ და „რეალის“ ყოფილი ფორვარდი ამიერიდან „მალაგასთვის“ გაიტანს.

თუკი ბაპტიშტას ტრანსფერის ოფიციალურ გახმაურებას, სულ მცირე, რამდენიმე საათი მაინც გვაშორებს, „რეალ სოსიედადმა“ უკვე წარადგინა ახალი შენაძენი. ზამთრის ტრანსფერის პირველი მერცხალი ბასკური გუნდისთვის ვინმე **ვადიმ დემიდოვია**. 24 წლის დემიდოვი ნორვეგიის ნაკრების წევრია და აქამდე „როსენბორგში“ თამაშობდა. დემიდოვი რიგელი რუსია, ცნობილი ხელბურთელის, **სერგეი დემიდოვის** ვაჟი, რომელიც დიდი ხანი მოღვაწეობს ნორვეგიაში სპორტის ამ სახეობის მწვრთნელად. ამიტომაც, ეს რუსი ბიჭი „რუნარის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილია და ნამდვილი ნორვეგიელიცაა. დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ 186 სმ. სიმაღლის დემიდოვი მცველია და საჰაერო ორთაბრძოლებში ძალზე ყოჩაღია.


ნორვეგიელი ვადიმ დემიდოვის პრეზენტაცია ანოეტაზე

„ეკიპი“ ამტკიცებს, რომ ფინანსურად შეჭირვებული „მალიორკა“ მალე მცველ **ივან რამისს** შეელევა, რომელიც „პარი სენ ჟერმენში“ გადავა. სხვათა შორის, რამისის ხელში ჩაგდება კიდევ ერთ კლუბს, კერძოდ, გლაზგოს „სელტიკს“ სურს.

„ბარსელონამ“ **იბრაჰიმ აფელაი** შეიძინა და კლუბში სავსებით არაორაზროვნად გამოაცხადეს, რომ ეს „ბლაუგრანას“ პირველი და უკანასკნელი ტრანსფერია ზამთრის სეზონში. მოკლედ, „ბლაუგრანას“ თავი ქუდში აქვს, პირველ ადგილზეა და სატრანსფერო სპეკულაციები ასე თუ ისე თავიდან აიცილა (გადავა თუ არა **ნოლიტო** „ბენფიკაში“, ნაკლებად მნიშვნელოვანია). აი, „რეალი“ კი ვერსად წაუვა ამ სპეკულაციებს. ჭორ-მართალის პირველი სალაპარაკო თემა **კაკაა**, რომელიც, სხვათა შორის, სრულად გამოჯანმრთელდა და სათამაშოდ მზად არის. „კაკა „რეალიდან“ „ინტერში“ გადადის“, - წაიკითხავთ მოწინავე გამოცემების ფურცლებზე, ინტერნეტში... ზოგი 50 მილიონ ევროს ასახელებს, ზოგი კი - იჯარას. ჩვენ ნაკლებად გვჯერა, რომ **ჟოზე მოურინიო** კაკას შეელიოს, მით უფრო, რომ გუნდის შემტევ პოტენციალს გაძლიერება ესაჭიროება.

გუშინდელი „მარკა“ იუწყებოდა, რომ „რეალი“ უახლოეს დღეებში, შეიძლება, სამმა ლეგიონერმა დატოვოს, ორმა დიარამ და არგენტინელმა **ესეკიელ გარაიმ. მაჰამადუ დიარას** რომ დიდი დღე არ უწერია „სამეფო კლუბში“, ცხადია - მალელს თამაში წყურია, ჟოზე კი ამის გარანტიას მას ვერ აძლევს. თურმე, „რეალმა“ დიარას „ბეშიქთაშიც“ კი შეურჩია, მაგრამ თავად მაჰამადუ არჩევანის უფლებას იტოვებს. ფრანგმა **ლასანა დიარამ** ბოლო მატჩებში **სამი ხედირას** აჯობა სასტარტოსთვის ბრძოლაში, ამიტომაც, ნაკლებად გვგონია, რომ ჟოზე მას შეელიოს, მაგრამ არის ერთი ამბავიც - „მანჩესტერ იუნაიტედი“ ლასანაში 14 მილიონ ევროს იხდის, ასეთ თანხაზე კი „რეალი“ უარს არ იტყვის. გარაის საბაზრო ფასი 10 მილიონია, მისი სავარაუდო ნავთსაყუდელი კი - „მილანი“ ან „შალკე“.

არგენტინული წარმოშობის იტალიის მოქალაქე **პაბლო ოსვალდომ** ამ სეზონში დიდებულად დაიწყო, რითაც ბევრი კლუბის ყურადღება მიიპყრო. ფეხბურთელის აგენტის ცნობით, 24 წლის ოსვალდოს შეძენა „იუვენტუსს“ და „რეალს“ არა (როგორც პრესაში დაიწერა), მაგრამ პრემიერლიგის რამდენიმე კლუბს კი სურს.

კი დავწერეთ, რომ „ბარსელონა“ აღარ მოხვდება სატრანსფერო სიახლეებში, მაგრამ „მარკას“ მაინც არ სჯერა „ბლაუგრანას“ ბოსების და ამტკიცებს, რომ ამ კლუბს „რეალთან“ სხვა ფრონტზეც დიდი ბრძოლა აქვს გამართული - ორივე გრანდს „ლას პალმასის“ 21 წლის დრიბლიორის, **ჯონათან ვიერას** ხელში ჩაგდება სწადია. სულ ბოლო ცნობა, ცოტა არ იყოს, ალოგიკურად ჟღერს - „დნიპროს“ „ალმერიას“ ლიდერი, არგენტინელი **პაბლო პიატი** მონდომებია. **ხუანდე რამოსი** ლამის მთელი „დნიპროს“ შეცვლას აპირებს, ამ კლუბს არც ფული აკლია, 21 წლის არგენტინელიც სასურველი ფეხბურთელია. მაგრამ, ვერ ვიჯერებთ, რომ ძალზე პერსპექტიული პიატი ფულს დახარბდება და ლა ლიგიდან გაცილებით დაბალი დონის ჩემპიონატში წავა. უკრაინელები „ალმერიას“ 11 მილიონ ევროს სთავაზობენ...

ინტერვიუ. იბრაჰიმ აფელაი

# რამ დააღებინა პირი ბარსას ახალწვეულს

2010 წლის შემტევი ნახევარმცველისთვის დიდებული წელიწადი გამოდგა - ჰოლანდიელი **იბრაჰიმ აფელაი** ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა. მან მუნდიალზე სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა, პსვ-ში კარგი თამაშით კი „ბარსა“ დააინტერესა და 24 დეკემბერს 3 მილიონი ევროს სანაცვლოდ კატალონიური გრანდის სრულუფლებიანი წევრი გახდა. მაროკოული წარმოშობის აფელაი „ბარსელონაში“ 20-ნომრიანი მაისურით ითამაშებს. გუშინ მასთან ინტერვიუ კლუბის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა.

**- რას ფიქრობთ, კლუბში გატარებული ერთი დღის შემდეგ?**

- ეს იყო დიდებული დღე, რომელიც ძალიან დიდხანს გაგრძელდა. უამრავი ტესტი გავიარე, შემდეგ, როცა სტადიონი ვნახე, ის ძალიან დიდად და ლამაზად მომეჩვენა.

**- რას ნიშნავს თქვენთვის „ბარსას“ ფეხბურთელობა?**

- ალბათ, ყოველ ფეხბურთელს სურს ერთხელ მაინც ითამაშოს „ბარსელონაში“ და როცა პირველად ვითამაშებ, ვიტყვი, რომ ოცნება ამიხდა.

**- „ბარსელონა“, პირველი რა ასოციაცია გაქვთ ამ სიტყვაზე?**

- რომარიო, რონალდო, კუმანის გოლი „უემბლიზე“ და კრუიფი, რასაკვირველია!

**- როცა პირველად გაიგეთ, რომ თქვენით „ბარსა“ დაინტერესდა...**

- ძალიან ბედნიერი ვიყავი, მენეჯერმა მითხრა, რომ ყველაზე დიდი შანსი „ბარსაში“ გადასვლის მქონდა. მოლაპარაკებებიც მალე დასრულდა, ყველაფერი კარგად იყო.

**- ადრე თუ წარმოგედგინათ, რომ აქ ითამაშებდით?**

- როცა ბავშვობიდან „ბარსელონას“ ფანი ხარ, ამაზე მილიონჯერ მაინც გაიფიქრებ, მაგრამ იზრდები და ხვდები, რომ „ბარსელონაში“ მოხვედრა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია.

**- პსვ-ში 17 წლისას გქონდათ დებიუტი...**

- ყველაფერი ახალი იყო ჩემთვის, თანაგუნდელები ჩემზე დიდები და ფიზიკურად ბევრად ძლიერები იყვნენ.

**- როგორ შეაფასებდით თქვენს კარიერას ეინდჰოვენში?**

- ის ხომ ერთადერთი კლუბია, სადაც მითამაშია. პსვ ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილია.

**- წლევანდელ „ბარსელონას“ თუ უყურებდით ხოლმე?**

- რა თქმა უნდა, „ბარსა“ მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს თამაშობს. „რეალთან“ მატჩს რომ ვუყურებდი, ერთი სული მქონდა, „კამპ ნოუზე“ ვყოფილიყავი.

**- ბევრი ამბობს, რომ ეს კლუბის საუკეთესო თამაში იყო, ეთანხმებით?**

- დიახ. ასევე დიდებული იყო 6:2 „ბერნაბეუზე“, ამ ორ მატჩში კლუბმა სხვა პლანეტის ფეხბურთი შემოგვთავაზა.

**- როგორ ფიქრობთ, მალე შეეგუებით ახალ გუნდს?**

- მე ძალიან ბევრს ვიშრომებ, თავს გადავვდებ. თავიდან, ალბათ, ძალიან გამიჭირდება, მაგრამ ჩემს ადგილს მაინც მოვიპოვებ.

**- თქვენ რამდენიმე პოზიციაზე შეგიძლიათ თამაში, უფრო კი სად მოგწონთ?**

- შუახაზში სადაც მწვრთნელი მეტყვის, იქ ვითამაშებ.

**- რა აზრი ჩამოგიყალიბდათ ხოსეპ გვარდიოლაზე?**

- დადებითი, მან ძალიან კარგად მიმიღო კლუბში.

**- რამ გაგაკვირვათ აქ ყველაზე მეტად?**

- სტადიონმა - „კამპ ნოუ“ დიდებულია. აქ არასოდეს ვყოფილვარ და პირველად ნანახმა დიდებული შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, პირდაღებული ვუყურებდი ტრიბუნებს...

ამბები


ჟოზეს ორი ფორვარდი ეცოტავება

# ფორვარდი გვესაჭიროება, მაგრამ...

## პესიმისტი მოურინიო

**ჟოზე მოურინიომ** აღნიშნა, რომ მსოფლიოს საუკეთესო საფეხბურთო კლუბი დღეისათვის მილანის „ინტერია“ და არა „ბარსელონა“. პორტუგალიურ „რეკორდთან“ ინტერვიუში განსაკუთრებულმა კვლავ არ აღიარა „ბლაუგრანას“ უპირატესობა, მიუხედავად იმისა, რომ „კლასიკოზე“ მისი გუნდი კატალონიელებთან 0:5 შერცხვა. *„არა, საუკეთესო გუნდი „ინტერია“. ამ კლუბმა ხომ ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო“.*

მოურინიომ „რეალის“ დღევანდელ პრობლემებზეც ილაპარაკა და კიდევ ერთხელ მკვეთრად განაცხადა - გუნდს ესაჭიროება ახალი თავდამსხმელი. *„გუნდს სჭირდება თავდამსხმელი. გონსალო იგუაინი და ქარიმ ბენზემა ძალიან მომწონს, მაგრამ ჩვენისთანა გუნდისთვის ეს საკმარისი არაა. მეტი ვარიანტი მსურს შეტევაში, როცა ერთი ფორვარდით ვთამაშობ, ორი მაინც უნდა მყავდეს რეზერვში, როცა გუნდი ორი ფორვარდით უტევს, ერთი მაინც უნდა იყოს სათადარიგოთა სკამზე, ეს ხომ ელემენტარულია. ახლა, როცა იგუაინი ტრავმირებულია, მით უფრო შეზღუდული ვარ - სეზონი ორი ფორვარდით დავიწყეთ, ახლა სულაც ერთი დაგვრჩა. რატომღაც, მგონია ეს პრობლემა დიდხანს გამყვება. მოკლედ, ცოტათი პესიმისტი ვარ - ერთია, რა გვჭირდება ჩვენ და მეორე - რას მოვიმოქმედებთ“.*

# ვილიამ ნადალს აჯობა

აშშ-ს სპორტის აკადემიამ წლის სპორტსმენად ესპანეთის ნაკრების ფორვარდი **დავიდ ვილია** დაასახელა. ასე დაუფასდა „ვალენსიასა“ და შემდგომ „ბარსელონას“ შემტევს მუნდიალზე გატანილი 5 გოლი. მეორე ადგილზეც ესპანელი სპორტსმენი გავიდა - ჩოგბურთელი **რაფაელ ნადალი**.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### ბარსელონა 2010/11 ციფრებში

| ფეხბურთელი | ას | პოზ | ნთ | თ | გ | სტ | გც | შც | სთ | ყვ | წ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვიქტორ ვალდესი | 28 | გ | 1440 | 16 | 0 | 16 | 0 | 0 | 0 | 3 | 0 |
| 13. ხოსე პინტო | 35 | გ | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 16 | 0 | 0 |
| 2. დანი ალვესი | 27 | მ | 1379 | 16 | 1 | 15 | 1 | 0 | 1 | 2 | 0 |
| 3. ჟერარდ პიკე | 23 | მ | 1125 | 13 | 1 | 12 | 1 | 0 | 3 | 6 | 1 |
| 5. კარლეს პუიოლი | 32 | მ | 1101 | 13 | 1 | 13 | 0 | 2 | 3 | 3 | 0 |
| 22. ერიკ აბიდალი | 31 | მ | 903 | 11 | 0 | 10 | 1 | 0 | 2 | 1 | 0 |
| 19. მაქსველი | 29 | მ | 849 | 10 | 0 | 9 | 1 | 1 | 7 | 2 | 0 |
| 18. გაბი მილიტო | 30 | მ | 198 | 3 | 0 | 2 | 1 | 1 | 5 | 1 | 0 |
| 21. ადრიანო | 26 | მ | 144 | 5 | 0 | 2 | 3 | 2 | 13 | 1 | 0 |
| 25. ანდრეუ ფონტასი | 21 | მ | 90 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 |
| 8. ანდრეს ინიესტა | 26 | ნ | 1358 | 16 | 4 | 16 | 0 | 6 | 0 | 1 | 0 |
| 6. ჩავი | 30 | ნ | 1029 | 14 | 3 | 13 | 1 | 10 | 1 | 1 | 0 |
| 16. სერხიო ბუსკეტსი | 22 | ნ | 1026 | 13 | 1 | 11 | 2 | 2 | 5 | 1 | 0 |
| 15. სეიდუ კეიტა | 29 | ნ | 671 | 15 | 1 | 7 | 8 | 3 | 9 | 1 | 0 |
| 14. ხავიერ მასკერანო | 26 | ნ | 445 | 12 | 0 | 5 | 7 | 2 | 10 | 3 | 0 |
| 30. ტიაგო ალკანტარა | 19 | ნ | 94 | 4 | 0 | 0 | 4 | 0 | 11 | 1 | 0 |
| 11. ჟეფრენ სუარესი | 22 | ნ | 5 | 3 | 1 | 0 | 3 | 0 | 6 | 0 | 0 |
| 7. დავიდ ვილია | 29 | თ | 1266 | 15 | 11 | 15 | 0 | 7 | 0 | 1 | 1 |
| 10. ლიონელ მესი | 23 | თ | 1260 | 14 | 17 | 14 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 |
| 17. პედრო | 23 | თ | 1093 | 16 | 6 | 12 | 4 | 9 | 4 | 0 | 0 |
| 9. ბოიან კრკიჩი | 20 | თ | 352 | 13 | 3 | 3 | 10 | 2 | 13 | 0 | 0 |
| 27. ნოლიტო | 24 | თ | 12 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 |

შენიშვნა: ას - ასაკი; პოზ - პოზიცია; ნთ - წუთი; თ - თამაში; გ - გოლი; სტ - სტარტი; გც - გამოცვალეს; შც - შეცვლაზე; სთ - სათადარიგო; ყვ - ყვითელი ბარათი; წ - წითელი ბარათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური ფეხბურთი

შალკე

# ნოიერს 30 მილიონადაც არ გავყიდი!

## მაგათმა მანუელს და ბაიერნს შეუღრინა

ცხადი იყო, რომ „შალკეს“ მთავარი მწვრთნელის, **ფელიქს მაგათი მანუელ ნოიერის** გამოხდომას, ახალ კონტრაქტს ხელი მაგათმა კი არა, მე უნდა მოვაწეროო, უპასუხოდ არ დატოვებდა. გელზენკირხენელთა მთავარი მწვრთნელი გერმანიის ნაკრების მეკარის გაყიდვას ისევ კატეგორიულად გამორიცხავს. „დესპოტი ფელიქსი“ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში იმეორებს, რომ ნოიერი მსოფლიოში საუკეთესო მეკარეა და რომ მისი გასხვისება „შალკეს“ ინტერესებში არ შედის. მაგათის თქმით, გელზენკირხენელები ნოიერს 30 მილიონ ევროდაც კი არ გაყიდიან.

*„ფული კარგია, ბევრი ფული უკეთესი, მაგრამ ფული ყველაფერი არ არის. ნოიერის სანაცვლოდ 30 მილიონიც რომ შემოგვთავაზონ, არ დავთანხმდები, რადგან მანუელი რომ გავყიდოთ, ჩვენი შანსი, გავხდეთ გერმანიის ჩემპიონები, შემცირდება და შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგაშიც ველარ გავიდეთ. ფული კი, თანაც ბევრი ფული, სწორედ ჩემპიონთა ლიგიდან შემოდის. ასე რომ, ნოიერის გაყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რადგან მირჩევნია, ფული სპორტული წარმატებების შედეგად ავიღოთ და არა გუნდის ლიდერის გაყიდვით,“* - განუცხადა მაგათმა „ბილდს“.



მანუელ ნოიერის მომავალი გერმანიაში მთავარი სალაპარაკო თემაა

შეგახსენებთ, რომ მანუელ ნოიერს „შალკესთან“ კონტრაქტი 2012 წლამდე აკავშირებს, რაც იმას ნიშნავს, რომ თუ ნასვლაა, მანუელი „შალკედან“ ან ახლავე უნდა წავიდეს, ანაც ზაფხულში, რათა გელზენკირხენელებმა მისი ტრანსფერიდან ფინანსური ხეირი ნახონ. მაგათი 2012 წლამდე მანუელის გაყიდვას გამორიცხავს და ბუნდესმეკარესთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება სურს. ნოიერი კი ჯერჯერობით უარზეა. სხვათა შორის, მანუელის „ბაიერნში“ გადასვლის არც „ბაიერნის“ საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** სჯერა...



მაინცის თავკაცი თომას ტუხელი და დორტმუნდის მწვრთნელი იურგენ კლოპი - ლიოვის აზრით, გერმანიის ნაკრების გაწვრთნა ორივეს შეუძლია

გერმანიის ნაკრები

# ლიოვის მერე ტუხელი ან კლოპი?

## იოგიმ თომასს და იურგენს თავისი ლეგიტიმური შემცვლელები უწოდა

გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** „მაინცის“ თავკაცი **თომას ტუხელი** და დორტმუნდის „ბორუსიას“ დამრიგებელი **იურგენ კლოპი** ქებით ცაში აიყვანა და ორივე მათგანს თავისი პოტენციური შემცვლელები უწოდა.

*„წინა სეზონში საუკეთესო მწვრთნელები უდავოდ ლუის ვან გაალი და ფელიქს მაგათი იყვნენ, რითაც თითქოს დადასტურდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამოცდილი სპეციალისტები ახალგაზრდებზე უკეთ მუშაობენ, მაგრამ მიმდინარე სეზონში თომას ტუხელმა და იურგენ კლოპმა ეს მოსაზრება ისევ გააბათილეს. ჩემი აზრით, კლოპსა და ტუხელს გერმანიის ნაკრების გაწვრთნა შეუძლიათ. ამ სპეციალისტებს თავისებური, თანამედროვე და ძალიან საინტერესო საფეხბურთო ფილოსოფიები აქვთ,“* - განაცხადა ლიოვმა „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

ტუხელსა და კლოპში ლიოვს ყველაზე მეტად ის მოსწონს, რომ როგორც იოგი, თომასი და იურგენიც ახალგაზრდა ფეხბურთელებს ანიჭებენ უპირატესობას, რითაც ბუნდესმწვრთნელის ფილოსოფიას ასი პროცენტით იზიარებენ.

*„2010 წლის მუნდიალზე დამტკიცდა, რომ ჩემ მიერ არჩეული გზა, უპირატესობა ახალგაზრდა და ნიჭიერ ფეხბურთელებს მივანიჭო, სწორია. თამამად ვიტყვი, რომ „მაინცში“, „დორტმუნდში“ და სხვათა შორის „ფრაიბურგშიც“, ჩემს მოსაზრებებს იზიარებენ. სამივე გუნდის თამაშის სტილი ძალიან ჰგავს გერმანიის ნაკრების თამაშის მანერას. გერმანიის ნაკრებთან ყველაზე მეტად მაინც „დორტმუნდის“ ფეხბურთი ასოცირდება. კლოპის საფეხბურთო მსოფლმხედველობაც სწრაფ, ტექნიკურ და კრეატიულ ფეხბურთზეა აგებული,“* - თქვა იოგიმ.

ისე როგორ იქნებოდა, რომ ლიოვისთვის გერმანიის ნაკრების კაპიტნის თემაზე კითხვა არ დაესვათ. აი, ლიოვის პასუხიც: *„მიხაელ ბალაკი იდეალური ფეხბურთელი და იდეალური კაპიტანია და თუ ლევერკუზენელი კარგ ფორმაში იქნება, ბუნდესგუნდში აუცილებლად ითამაშებს და გერმანიის ნაკრებს უკაპიტნებს კიდეც, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ფილიპ ლამი და ბასტიან შვაინშტაიგერიც ღირსეული კაპიტნები არიან,* - აცხადებს იოგი და იქვე დასძენს, *- ზოგადად, ჩემთვის მეორეხარისხოვანია, ვინ იქნება ბუნდესკაპიტანი, ბალაკი, ლამი თუ შვაინშტაიგერი. ცხადია, ფეხბურთელისთვის კაპიტნობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ პირადად ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ვიმეორებ, ნაკლებადმნიშვნელოვანია. გაცილებით საინტერესოა, რა ხდება მოედანზე და სხვათა შორის, ძალიან კარგია, რომ კაპიტნის სამკლავურის ტარება ერთდროულად სამ ფეხბურთელს შეუძლია და რომ სამივე ღირსეული კაპიტანი იქნება.“*

გერმანია. ბუნდესლიგა. სატრანსფერო ამბები

# შალკე და სისოკო ნაღდია!

## მაგათი ვაჭრობას აპირებს, ჯეკოს საგა გრძელდება, ბობადილიას თურქეთში უხმობენ, შტუტგარტი პოგრებნიაკს ვერ ელევა...

**ახლოვდება პირველი იანვარი და შესაბამისად, სატრანსფერო ორომტრიალიც დაიწყო. ექსპერტები გერმანული კლუბების უჩვეულო აქტიურობას წინასწარმეტყველებენ და მართლაც, ბუნდესლიგაში სატრანსფერო ციებცხელება დაიწყო: „შალკე“ მისთვის სასურველ ფეხბურთელებს იტალიაში ეძებს, „ვოლფსბურგს“ საინტერესო წინადადებით ინგლისიდან, კერძოდ, „ლივერპულიდან“ მიმართეს (ცხადია, საქმე ისევ ედინ ჯეკოს მოსალოდნელ ტრანსფერს ეხება), „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელები კი კატეგორიული ტონით აცხადებენ, რომ მათი გოლეადორი სრდიან ლაკიჩი არ იყიდება.**

### შალკემ იუვენტუსს მიმართა

„ბილდი“ სარწმუნო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ „შალკეს“ მთავარ მწვრთნელ და მენეჯერ **ფელიქს მაგათს** ტურინის „იუვენტუსის“ საყრდენი ნახევარმცველის, **მოჰამედ სისოკოს** გადაბირება უნდა. ჩვენი გერმანელი კოლეგები ირწმუნებიან, რომ მაგათმა ტურინში უკვე გაგზავნა მსტოვრები, რომლებსაც „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელებთან პირველი მოლაპარაკებების გამართვა დაევალათ. სისოკო, რომელმაც მიმდინარე სეზონში მოედანზე 90 წუთი მხოლოდ ერთ თამაშში დაყო, „იუვენტუსში“ 2007 წლიდან თამაშობს და ამ ხნის მანძილზე „იუვეს“ ძირითად შემადგენლობაში მყარად ვერ დამკვიდრდა.

იტალიური გამოცემა „ნაპოლი თუდეი“ კი გვამცნობს, რომ „შალკე“ „ნაპოლის“ ნახევარმცველ **ლუკა ჩიგარინისაც** ეპატიჟება, რომელიც ახლა „სევილიაშია“ განათხოვრებული.

### მაგათმა იენდრიშეკიც აითვალწუნა

ზაფხულში „შალკემ“ სხვა არაერთ ფეხბურთელთან ერთად, „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელი **ერიკ იენდრიშეკიც** გადაიბირა (სამწლიანი კონტრაქტი). მაგათი სლოვაკ ფორვარდზე დიდ იმედებს ამყარებდა, მაგრამ ფეხბურთელმა, რომელმაც წინა სეზონში მეორე ბუნდესლიგაში გაიბრწყინა, „შალკეში“ მასზე გაცემული ავანსები ვერ გაამართლა. შესაბამისად, მაგათი მიიჩნევს, რომ იენდრიშეკმა „შალკე“ უნდა დატოვოს.

*„ერიკმა მითხრა, წასვლა მინდაო, რადგან ხვდება, რომ „შალკეს“ ძირითად შემადგენლობაში ადგილს ვერ დაიმკვიდრებს. მე მესმის მისი და მზად ვარ, დავთმო. სხვათა შორის, ერიკს ძალიან ბევრი მთხოვნელი ჰყავს როგორც პირველი, ისე მეორე ბუნდესლიგიდან და უცხოეთიდანაც,“* - განუცხადა მაგათმა „კიკერს“. იენდრიშეკმა მიმდინარე სეზონში „შალკეს“ მაისურით მოედანზე მხოლოდ 29 წუთი დაყო.

### ჯეკო: ახლა ლივერპულიო

ახალი ამბავი **ედინ ჯეკოს** შესახებ: როგორც ირკვევა, „ვოლფსბურგის“ ბოსნიელი გოლეადორის გადაბირება „ლივერპულსაც“ მოუნდა და აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ ჯეკოს ყიდვა „იუვენტუსს“ და „მანჩესტერ სიტისაც“ სურთ. „ლივერპულის“ ბოსნიელი თავდამსხმელით დაინტერესების შესახებ კი ინგლისური გამოცემა „დეილი ტელეგრაფი“ წერს. როგორც ყველა სხვა დაინტერესებული კლუბის შემთხვევაში, ბუნდესლიგის წინა სეზონის ბომბარდირის სანაცვლოდ 40 მილიონი ევროს გადახდა არც მერსისაიდელებს შეუძლიათ და ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგს“ გარკვეულ თანხასთან ერთად, ორ ფეხბურთელს, ჰოლანდიელ თავდამსხმელ **რაიან ბაბელს** და დანიელ მცველ **დანიელ აგერს** სთავაზობენ.

### ბობადილია ბურსაში?

მიონხენგლადბახის „ბორუსიაში“ მწვრთნელ **მიხაელ ფრონტცეკის** მიერ ათვალწუნებული და დასჯილი თავდამსხმელი **რაულ ბობადილია**, შესაძლოა, თურქეთში წავიდეს და მოქმედი ჩემპიონის, „ბურსასპორის“ ფორმა მოირგოს. ფაქტი ერთია: ბობადილიას „გლადბახში“ მომავალი აღარ აქვს, „ბურსას“ ხელმძღვანელებს კი მისი გადაბირება ძალიან უნდათ.

### ლაკიჩს ვერ მიიღებთ!

ამას წინათ გაცნობეთ, რომ „ვერდერი“ „კაიზერსლაუტერნის“ თავდამსხმელ **სრდიან ლაკიჩით** (11 გოლი მიმდინარე სეზონში) დაინტერესდა. „წითელი ეშმაკების“ მთავარი მწვრთნელის, **მარკო კურცის** თქმით, ლაკიჩი არ იყიდება. *„ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ლაკიჩი მინიმუმ ზაფხულამდე შევინარჩუნოთ. ზამთარში მისი გასხვისება ასი პროცენტით გამორიცხულია,“* - უთხრა კურცმა „კიკერს“. სრდიან ლაკიჩს „ვერდერში“ **უგო ალმეიდას** შემცვლელად განიხილავდნენ. როგორც იცით, პორტუგალიელი თავდამსხმელი თურქეთში წავიდა.

### პოგრებნიაკი შტუტგარტში დარჩება

რუსული პრესის ინფორმაციით, „შტუტგარტის“ რუს თავდამსხმელ **პაველ პოგრებნიაკს** მოსკოვის „ლოკომოტივში“ ეპატიჟებიან. აღსანიშნავია, რომ პოგრებნიაკით თურქული კლუბები, „გალათასარაი“ და „ტრაბზონიც“ არიან დაინტერესებულები, მაგრამ შვაბური კლუბის სპორტული დირექტორი **ფრედი ბობიჩი** ამბობს, პაველს არსად გავუშვებთ, ის სეზონის მეორე ნახევარსაც აუცილებლად „შტუტგარტში“ გაატარებსო.

ამბები

### ფეე წასვლას გამორიცხავს

**არმინ ფეემ** უარყო მოარული ხმები იმის შესახებ, თითქოს ის „ჰამბურგის“ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადადგომას აპირებდეს. 49 წლის სპეციალისტმა განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას თვითნებურად არ აპირებს და ძალიან უნდა, რომ „ჰამბურგს“ მეორე წრეშიც უხელმძღვანელოს. ფეეს HSV-სთან კონტრაქტი 2012 წლის 30 ივნისამდე აკავშირებს. ჩვენი გერმანელი კოლეგები არ გამორიცხავენ, რომ ფეე მაინც უმუშევარი დარჩეს, რადგან „ჰამბურგის“ ხელმძღვანელების გარკვეული ნაწილი მას აღარ ენდობა.

### რობენი: ჩემი კარიერის უმძიმესი ფაზა

„ბაიერნის“ ჰოლანდიელი გარემარბი **არიენ რობენი** მიიჩნევს, რომ რამდენიმეთვიანი იძულებითი პაუზა, რაც მას გერმანიის მიმდინარე ჩემპიონატის პირველი წრის გამოტოვების ფასად დაუჯდა, მისი კარიერის უმძიმესი ფაზა იყო. *„როცა კარიერის პიკში ხარ და ამ დროს უმძიმეს ტრავმას მიიღებ, ამაზე დიდი საშინელება არ არსებობს,“* - განუცხადა მსოფლიოს 26 წლის ვიცე-ჩემპიონმა ჩვენს გერმანელ კოლეგებს.

შეგახსენებთ, რომ რობენმა უკვე დაიწყო მსუბუქად ვარჯიში და გადაწყვეტილია, რომ მიუნხენურ კლუბს მეორე წრისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე გაჰყვება.

### ფრანკფურტში სკიბე შეუყვარდათ

ფრანკფურტის „აინტრახტის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **ჰერიბერტ ბრუხჰაგენმა** განაცხადა, რომ მას გუნდის მთავარ მწვრთნელ **მიხაელ სკიბესთან** ახალი კონტრაქტის გაფორმება უნდა. წარმატებულ სპეციალისტს ფრანკფურტულ კლუბთან ხელშეკრულების ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს ეწურება და ბრუხჰაგენი მზადაა, სკიბესთან გაფორმებული კონტრაქტი ახალი, გაუმჯობესებული პირობებით, კიდევ ერთი წლით გაახანგრძლივოს.

*„სკიბეს მუშაობით ძალიან კმაყოფილები ვართ, რაც გახდა კიდეც იმის საფუძველი, რომ მას ახალი კონტრაქტი შევთავაზოთ,“* - უთხრა ბრუხჰაგენმა „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგს“.

### კელი: დორტმუნდი ჩემპიონი უნდა გახდეს

გერმანიის შემოდგომის ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას“ ტრავმირებული კაპიტანი **სებასტიან კელი** ფიქრობს, რომ მისი გუნდი გერმანიის ჩემპიონობას იმსახურებს. *„მიუხედავად იმისა, რომ მეორე წრეში უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, სასაცილო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ჩვენ ჩემპიონობისთვის არ ვიბრძვით. ვერ ვხვდები, რატომ არ უნდა იყოს „დორტმუნდისთვის“ მეორე წრე ისეთივე წარმატებული, როგორიც სეზონის პირველი ნახევარი იყო,“* - უთხრა 30 წლის კელმა გაზეთ „ველტ ამ ზონთაგს“.

შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდმა“ ბუნდესლიგის პირველი წრე ათქულიანი უპირატესობით („მაინცთან“ და „ლევერკუზენთან“) მოიგო. სებასტიანი მოედანზე დაბრუნებას იანვრის შუა რიცხვებში ან მაქსიმუმ მომავალი თვის ბოლოს გეგმავს და იმედი აქვს, რომ მეორე წრეში „ბორუსიას“ სრულყოფილად დაეხმარება. მიუხედავად იმისა, რომ „ბორუსია“ კელის გარეშეც ბრწყინვალედ ასპარეზობს, მისი კონკურენტი **სვენ ბენდერი** კი პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, სებასტიანი დარწმუნებულია, რომ ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბაიერნი

# ვან გაალის ოთხი ვარიანტი

## რომელიმე ნაკრების მწვრთნელი, აიაქსის სპორტული დირექტორი, ბაიერნი თუ პენსია?


ლუის ვან გაალი

2010 წელი ისე დამთავრდება, რომ მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელებს, ქომაგებსა და ხელმძღვანელებს არ ეცოდინებათ, რას აპირებს **ლუის ვან გაალი** მომავალში. 59 წლის ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, რომელსაც მიუნხენში ყველა აფასებს, „ფრანკფურტერ ალგემაინე ცაითუნგს" განუცხადა, რომ მას ოთხი ვარიანტი აქვს.

*„პირველი: შესაძლოა, რომელიმე დიდი ნაკრების მთავარი მწვრთნელი გავხდე. მეორე: დავთანხმდე ამსტერდამის „აიაქსის" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობას. მესამე: „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გავაფორმო, რაც 60 წელს მიახლოებული მწვრთნელისთვის სარისკო გადაწყვეტილებაა, რადგან ჩემთვის, როგორც ასაკში მყოფი მწვრთნელისთვის გაცილებით უკეთესია, რომელიმე ნაკრებში ვიმუშაო. და მეოთხე: გავიდე პენსიაში,"* - ამბობს ვან გაალი, რომელსაც „ბაიერნთან" კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულამდე აქვს გაფორმებული.

ამ განცხადებით ლუისი უარს ამბობს რეკორდმაისტერისთვის ერთგულების გამოცხადებაზე და იმასაც შეგახსენებთ, რომ დეკემბრის შუა რიცხვებში მან საჯაროდ თქვა, „აიაქსის" წინადადებაზე სერიოზულად ვფიქრობ, რადგან ამსტერდამულ კლუბში დაბრუნება ჩემთვის უდიდესი გამოწვევააო. არადა, ცოტა ხნის წინ „ბაიერნთან" ახალი კონტრაქტი გააფორმა **ბასტიან შვაინშტაიგერმა** და მიუნხენურ კლუბში 2016 წლამდე დარჩენის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სწორედ ვან გაალი დაასახელა.

„ფრანკფურტერ ალგემაინესთვის" მიცემულ ინტერვიუში ვან გაალმა იანვარში ახალი ფეხბურთელების შეძენა არ გამორიცხა, მაგრამ იქვე დასძინა: *„საჭირო ტრანსფერების განხორციელება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ერთი-ორ ფეხბურთელს გავყიდით. თანაც, ახალი მოთამაშეები უნდა სჯობდნენ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც ახლა გვყავს."*

ორი კვირაა, რაც გერმანულ პრესაში არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, იანვარში „ბაიერნი" გუნდის კაპიტანმა **მარკ ვან ბომელმა** დატოვოს. ზემოთ ხსენებულ ინტერვიუში რეკორდმაისტერის ჰოლანდიელ დამრიგებელს ამ თემაზეც დაუსვეს კითხვა, მაგრამ ლუისმა კონკრეტული პასუხის გაცემა არ ისურვა და მხოლოდ ის თქვა, სატრანსფერო საკითხებზე დეტალურად მხოლოდ ხელმძღვანელებთან ვსაუბრობ და სანამ კონკრეტული გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ვერაფერს გეტყვითო.

ვან გაალმა ბუნდესლიგის პირველი წრის გამარჯვებულზეც ისაუბრა. ლუისმა აღნიშნა, რომ დორტმუნდის „ბორუსიამ" სეზონის პირველი ნახევარი ფანტასტიკურად ჩაატარა და გუნდთან ერთად „შავ-ყვითლების" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლოპიც** აქო: *„ყოველთვის ვფიქრობდი, რომ „ბორუსიას" დიდი პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ თუ პირველ წრეს ასე შესანიშნავად ჩაატარებდნენ, ნამდვილად არ მეგონა. კლოპი ბრწყინვალე სპეციალისტია და მას უკვე უდიდეს პატივს ვცემ."*

კითხვაზე, შეძლებს თუ არა „ბაიერნი" ჩემპიონობისთვის ბრძოლას მიუხედავად იმისა, რომ პირველ წრეში „ბორუსიას" 14 ქულით ჩამორჩა, ლუისმა ასე უპასუხა: *„ჩვენი უპირველესი მიზანი, ანუ, პროგრამა მინიმუმი სამეულში მოხვედრა და ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა. „ბაიერნი" 2011/2012 წლების სეზონში ჩემპიონთა ლიგას არაფრისდიდებით არ უნდა დააკლდეს, ფინალი ხომ მიუნხენში გაიმართება."*

### რუმენიგეს ვან ბუიტენი დაავიწყდა

ამასობაში, „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტმა **კარლ-ჰაინც რუმენიგემ** „კიკერს" ინტერვიუ მისცა, სადაც საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა მიუნხენური კლუბის დაცვის ხაზის შესახებ. მოგეხსენებათ, ექსპერტები რეკორდმაისტერს ყველაზე ხშირად დაცვას უკრიტიკებენ.

*„პირადად მე „ბაიერნის" დაცვის ხაზს არ ვუყურებ ისე კრიტიკულად, როგორც სხვები. ჩვენ სამი ძალიან კარგი ცენტრალური მცველი გვყავს: ჰოლგერ ბადშტუბერი, ბრენო, ვიზე საუბრის დროსაც არაფრისდიდებით არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ რვა თვის მანძილზე ტრავმირებული იყო და ანატოლი ტიმოშჩუკი, რომელმაც ბოლო დროს პოზიტიურად გაგვაოცა. ყველაზე კარგი ის არის, რომ ტიმოშჩუკს საყრდენი ნახევარმცველის მოვალეობების შესრულებაც ძალიან კარგად შეუძლია. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც საჭიროების მიხედვით, ორ პოზიციაზე თანაბრად კარგად გამოიყურება,"* - განაცხადა რუმენიგემ.

თუ კალეს **დანიელ ვან ბუიტენი** არ დაავიწყდა (ვფიქრობთ, მას ეს მცველი მხედველობიდან არ გამორჩებოდა), გამოდის, რომ ბელგიელი უკანახაზელი რეკორდმაისტერში უკვე ჩამოწერილია. არგენტინელმა **მარტინ დემიკელისმა** „ბაიერნი" უკვე დატოვა და რუმენიგეს განცხადების შემდეგ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ვან ბუიტენიც მის ბედს გაიზიარებს.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური ფეხბურთი

● ბრაზილია



ფლუმინენსე საჩემპიონო თასით



დარიო კონკა

# მოლოდინის 26 წელი

**სამი კვირის წინ დასრულდა ბრაზილიის ჩემპიონატი. მისი გამარჯვებული გახდა ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი კლუბი ფლუმინენსე, რომლის ფანები ამ ტრიუმფს 26 წელი ელოდნენ**

დიდი ხანია, ბრაზილიის ჩემპიონატი კადრების ნამდვილ სამჭედლოდ იქცა. აქ იზრდებიან „ბრილიანტები", რომლითაც მთელი მსოფლიო მარაგდება. რთულია თუნდაც ერთი ქვეყნის დასახელება, სადაც ბრაზილიელი ფეხბურთელი არ თამაშობს!

ეს იმიტომ, რომ ბრაზილიელები საუკეთესონი არიან. თვითმყოფადები, რომლებიც ქუჩებში სწავლობენ თამაშს და ოცნებობენ თავიანთი კერპების სიმაღლეებს მიაღწიონ და აჯობონ მათ. ბევრისთვის ეს სიღარიბისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალებაა. შეიძლება ამიტომაც, აქ ტალანტები სოკოებივით იზრდებიან - სტიმული ყველა თასსა და მედალზე მაღლა დგას. სხვა მიზეზიც არსებობს - ბრაზილიაში ფეხბურთს მთელი წელი თამაშობენ, ყოველგვარი პაუზისა და შესვენების გარეშე. არც ერთ ქვეყანაში ასეთი რამ არ ხდება. ბრაზილიაში კი ეს ნორმაა.

უკვე იანვარში კლუბები ბრძოლას იწყებენ შტატების პირველობებში, ასეთი კი ქვეყანაში 27 (!) პირველობაა. ამის შემდეგ კი ნამდვილი შოუ იწყება, ფეხბურთი ნონ-სტოპით: ბრაზილიის თასი და ჩემპიონატი, კოპა ლიბერტადორესი, კოპა სუდამერიკანა... მხოლოდ დეკემბრის შუაში, როცა ფეხბურთელებს უკვე ნათამაშები აქვთ 70-80 მატჩი, ისინი მცირეხნიან საშობაო არდადეგებს იღებენ. ამდენ მნიშვნელოვან საშინაო თუ საერთაშორისო ტურნირებს შორის განსაკუთრებული ინტერესით სარგებლობს ბრაზილიის ჩემპიონატი, ანუ Brasiliero, როგორც მას ქვეყანაში ეძახიან.

ეროვნული პირველობა კაზუსებითა და პარადოქსებით არის სავსე. და ამაში მდგომარეობს მისი მომხიბვლელობა და ღირსება. ჩემპიონატი აბსოლუტურად არაპროგნოზირებადია. აქ პრაქტიკულად შეუძლებელია გამარჯვებულის წინასწარმეტყველება. ყოველი ახალი სეზონი - თითქოს ახალი ფურცელია ისტორიაში, რომელიც გულწრფელი ფეხბურთის ცხრათვიან მარათონს წარმოადგენს.

ეჭვგარეშეა, რომ „ფლუმინენსე" აბსოლუტურად დამსახურებულად გახდა ჩემპიონი. 38-მატჩიანი დისტანცია „ფლუმ" ლიდერთა ჯგუფში გაატარა. თუმცა მის თამაშში ნამდვილი ბრაზილიური გულწრფელობა ნაკლებად შეინიშნებოდა. ეს იყო „დუნგას სტილის" ფეხბურთი - ჩაკეტილი, ფრთხილი, კონტრშეტევებზე აგებული. თუმცა სხვას რას უნდა ელოდნენ გუნდისგან, რომელიც შარშანდელ სეზონში მხოლოდ ბოლო ტურში გადაურჩა სერია B-ში გავარდნას? მაგრამ თუ ბრაზილიის ნაკრებისთვის ასეთი ფეხბურთი გამოუსადეგარი იყო და სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე „სელესაო" სამარცხვინოდ გავარდა მეოთხედფინალიდან, „ფლუმინენე" ამ სტილით ბოლომდე მივიდა.

ტიტული, რომელიც გულშემატკივრებს ძალიან მოენატრათ (თავისი პირველი და ერთადერთი საჩემპიონო ჯილდო „ფლუმინენსემ" 1984 წელს დაიმსახურა), „ფლუმინენსემ" ბოლო ტურში, სერია B-ში გავარდნილ „გუარანთან" მატჩის 61-ე წუთზე გაინაღდა. „ოქროს ბურთის" ავტორობა **ემერსონს** ერგო - ზაფხულის მრავალრიცხოვანი ვარსკვლავური შენაძენებიდან ერთ-ერთს („ფლუში" უკვე მოთამაშე ნაკრების ექსწევრ **ფრედს** საზაფხულო კამპანიის დროს დაემატნენ **დეკუ** და **ჟულიანო ბელეტი** - „ჩელსისა" და „ბარსელონაში" ყოფილი პარტნიორები).

მაგრამ არც „შეიხი" (ასეთი მეტსახელი მისცეს გულშემატკივრებმა ემერსონს საამიროების კლუბ „ალ-აინში" მცირეხნიანი „მივლინების" გამო), არც დეკუ ან ფრედი გამხდარან „ფლუმინენსეს" საჩემპიონო გამოსვლის მთავარი შემოქმედნი. „ფლუსა" და მთლიანად ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე გახდა არგენტინელი პლეიმეიკერი **დარიო კონკა** - ერთადერთი მოთამაშე (მეკარეების გამოკლებით), რომელმაც ოცდათვრამეტივე მატჩში მიიღო მონაწილეობა (ასეთი შედეგი ჰქონდათ „სან პაულუსა" და „ვასკო და გამას" მეკარეებს - **როჟერიო სენისა** და **ფერნანდო პრასს**). კონკას როლი ამ ტრიუმფში ოფიციალურად 7 დეკემბერს გამართულ ცერემონიაზე აღიარეს, სადაც 2010 წლის სეზონის ლაურეატები დააჯილდოეს. ჩემპიონატის საუკეთესო ასისტენტი კონკა ორი ვერსიით გახდა „წლის მოთამაშე": CBF-ის (ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაცია) წევრებისა და ინტერნეტში გულშემატკივართა გამოკითხვის (Craque da Galera) შედეგად. შესაბამისად, ის ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა - მარცხენა ნახევარმცველის პოზიცია დაიკავა.

წლის მწვრთნელი გახდა „ფლუმინენსეს" დამრიგებელი **მურისი რამალიო** - ნანატრი ჩემპიონობის კიდევ ერთი შემოქმედი. შეიძლება ის ამ ზეიმის მთავარი „დამნაშავეც" იყო. სწორედ მას უნდა უმადლოდეს გუნდი თავის ჩაკეტილ თამაშს, რომელსაც ვერაფერი მოუხერხეს ვერც ვერცხლის პრიზიორმა „კრუზეირომ", ვერც მესამეადგილოსანმა „კორინთიანსმა" (აქ კარიერის ბოლო დღეებს ატარებენ ლეგენდარული **რონალდო** და **რობერტო კარლოსი**) და ვერც Brasiliero-2010-ის ყველაზე თვითმყოფადმა გუნდმა „სანტოსმა" (სადაც, როგორც იქნა, მთელი ძალით ათამაშდა თანამედროვე ბრაზილიური ფეხბურთის მთავარი იმედი, „ახალ პელედ" წოდებული - 18 წლის **ნეიმარი**).

რამალიოს კრიტიკა ნაკლებად აღელვებს. ის ზუსტად მიჰყვება ერთხელ არჩეულ სათამაშო სტრატეგიას და რაც ყველაზე მთავარია, თითქმის სულ გამარჯვებული რჩება. დღეს რამალიო ბრაზილიის ყველაზე წარმატებული მწვრთნელია, რადგან „ფლუმინენსესთან" ერთად ჩემპიონობა მეოთხე იყო მისთვის ბოლო ხუთ წელიწადში. მანამდე მან ზედიზედ სამჯერ (2006-08) „სან პაულუს" მოუტანა ქვეყნის მთავარი ტიტული. მწვრთნელმა ამ გუნდის თამაშის „გაფუჭებაც" მოასწრო მეტისმეტი პრაგმატიზმით.

ორიოდე სიტყვით იმ კლუბზე, რომელმაც რამალიოს „ოქროს" სერია შეწყვიტა - „ფლუმინენსეს" დაუძინებელ მტერ „ფლამენგოზე". შარშანდელმა ჩემპიონმა კინაღამ ბრაზილიის ყველა დროის ანტირეკორდი დაამყარა. მხოლოდ ბოლო ტურში „სანტოსთან" ფრემ შეუნარჩუნა „ფლამენგოს" სერია A-ში ადგილი და თავიდან ააცილა ისტორიაში პირველად ჩემპიონის რანგში ქვედა დივიზიონში გავარდნა. აი კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ ბრაზილიის ჩემპიონატი - ყველაზე არაპროგნოზირებადი და დამაინტრიგებელი ტურნირია.

## ნეიმარი

ეროვნება: ბრაზილია
დაბადების თარიღი: 05.02.92
დაბადების თარიღი: მოჟი დას კრუზესი
პოზიცია: ფორვარდი
სიმაღლე: 174 სმ
წონა: 60 კგ
სერია A: 64 მატჩი - 27 გოლი
პაულისტა: 31 - 17
ბრაზილიის თასი: 11 - 12
სუდამერიკანა: 2 - 0
ბრაზილიის ნაკრები: 2 - 1

# ახალი პელე



ნეიმარი ხავიერ ძანეტის წინააღმდეგ

მიმოხილვაში „ახალ პელედ" წოდებული **ნეიმარი** ვახსენეთ. ის „სანტოსის" აღზრდილია. ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავს ჯერ არ ჰქონდა ნათამაშები კლუბის ძირითად შემადგენლობაში, როცა ადრეული ასაკიდან მიიპყრო ევროპული გრანდების - „მანჩესტერ იუნაიტედის", „რეალის", „არსენალის", „ბარსელონას", „ჩელსისა" და „მილანის" ყურადღება, რომლებიც სკაუტების მეშვეობით ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ბიჭის თამაშს „კოპინიაში" - სან პაულუს შტატის ახალგაზრდულ ჩემპიონატში. იქ თავდამსხმელმა ნამდვილი ფურორი მოახდინა, რისთვისაც მეტსახელი მიიღო - „ახალი რობინიო" - სახელგანთქმულ ფორვარდ **რობინიოს** მსგავსი დრიბლინგის გამო. ნეიმარმა სამხრეთ ამერიკის 17-წლამდელთა ჩემპიონატში ნაკრების რიგებში თამაშითაც გაითქვა სახელი.

2008 წელს ნეიმარმა პირველი პროფესიული კონტრაქტი გააფორმა „სანტოსთან". ხელშეკრულება 2014 წლის ბოლომდეა ძალაში. კლუბმა ფეხბურთელს ისეთი ფასი დაადო, რომ ბევრმა პოტენციურმა მყიდველმა უკან დაიხია. გარიგების 40 პროცენტი კომპანია „გროპო სონდას" ეკუთვნის. თუმცა ზოგიერთმა კლუბმა განზრახვაზე ხელი არ აიღო, კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „რეალმა". თუმცა მადრიდულ კლუბს ფეხბურთელის შეძენაზე პრიორიტეტული უფლება აქვს, რადგან ნეიმართან წინასწარი კონტრაქტი აქვს გაფორმებული.

2009 წლის 7 მარტს ნეიმარმა პირველად ითამაშა „სანტოსის" ძირითად შემადგენლობაში - შეცვალა **მაურისიო მოლინა**. ამასობაში, ფორვარდზე პრეტენზია „მილანმაც" განაცხადა.

2010 წელს ფეხბურთის მეფემ - პელემ და ლეგენდარულმა რომარიომ ნეიმარის ნაკრებში შეყვანა და მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა მოითხოვა. იმავე წლის გაზაფხულზე ნეიმარმა პირველი ტიტული მოიგო - სან პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა „სანტოსის" შემადგენლობაში. გარდა ამისა, ის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს (19 მატჩში 14 გოლი გაიტანა).

2010 წლის 4 აგვისტოს ნეიმარმა ბრაზილიის თასი მოიგო. ამ ტურნირის 1/16 ფინალში „სანტოსმა" 8:1 მოუგო „გუარანის" და „ახალმა პელემ" ხუთი გოლი გაიტანა. ეს ტიტული „სანტოსს" 2011 წელს ლიბერტადორესის თასზე გამოსვლის უფლებას აძლევს.

წლევანდელ ჩემპიონატში გეიმარმა 31 მატჩში მიიღო მონაწილეობა და 17 გოლი გაიტანა, ამასთან 11-ჯერ დაიმსახურა მსაჯებისგან გაფრთხილება.

პელეს მოთხოვნის მიუხედავად, ნეიმარი სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრა, სამაგიეროდ, ბრაზილიის ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა - **მანო მენეზესმა** მიიწვია ამერიკასთან ამხანაგურ მატჩში. „სანტოსის" ფორვარდი 11-ნომრიანი მაისურით გავიდა მოედანზე და დებიუტი 28-ე წუთზე გოლით აღნიშნა. მეორე მატჩი ეროვნულ ნაკრებში არგენტინის ნაკრების (0:1) წინააღმდეგ ჰქონდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესია

# სეოკ-მა სეზონი შეაჯამა

## ნომინანტები არ დაასახელა, საუკეთესო არ გვყავსო

„ქორთიარდ-მარიოტში" გუშინ გამართული სეოკ-ის ყოველწლიური საანგარიშო სესია წინამორბედებისგან უჩვეულო სიმწვავით და პირდაპირობით გამოირჩეოდა. სეოკ-ის პრეზიდენტმა **გია ნაცვლიშვილმა** დაუფარავად ილაპარაკა პრობლემებზე და არც კონკრეტული გვარ-სახელების დასახელებას მორიდებია. საბედნიეროდ, პირდაპირობით და ღია ტექსტებით საუბარში მას არც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** ჩამორჩა.

სესიას ორმაგი განწყობა გასდევდა - სიხარული გუნდურ სახეობებში მოპოვებული წარმატებებით და იმედგაცრუება ინვიდუალურებში განცდილი კრახით. გუნდურებში ჩვენმა სპორტსმენებმა მართლაც თვალსაჩინო და, ხშირ შემთხვევაში, მოსალოდნელზე მეტ წარმატებასაც მიაღწიეს. მაგალითად, მორაგბეთა მსოფლიოს თასზე მორიგ გასვლას ველოდით, მაგრამ მოულოდნელობა იყო კალათბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. ასევე სასიამოვნო იყო ფეხბურთელთა გამოცოცხლება და წაუგებელი სერია, ძვრები წყალბურთში, მაგრამ მათ ინვიდიალურმა სახეობებმა მხარი ვერ აუბეს - აქ მხოლოდ ახალგაზრდულ გუნდებში გვქონდა წარმატებები.

სესიაზე ვრცლად ისაუბრეს ევროპის 2015 წლის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლად თბილისის გამოცხადებაზე, თუმცა ნაცვლიშვილმა სეოკ-ის მთავარ მოვლენად საერთაშორისო სტრუქტურებთან ურთიერთობების გაღრმავება-გამყარება მიიჩნია. მისი თქმით, ამის გარეშე არც ის გამარჯვება იქნებოდა, რომელმაც საქართველო ევროსტრუქტურების აქტიური წევრი გახადა. ნაცვლიშვილმა გაიხსენა იმ არჩევნებიდან ოთხ დღეში მონაკოში ვიზიტი, სადაც თურმე საქართველოსადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად შეცვლილი იყო და მას უკვე უყურებდნენ, როგორც თანასწორს. იქ თურმე ბევრი გამოუტყდა, რომ ჩვენი გამარჯვებისა არც კი სჯეროდათ. ასეთთა შორის ისეთებიც ყოფილან, რომლებიც არჩევნებამდეც თბილისის მხარდამჭერებად მოიაზრებოდნენ. საბედნიეროდ, ერთიანი, კონსოლიდირებული მუშაობით და სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურების ერთურთისადმი გვერდში დგომით მიზანს მივაღწით. ამ კონტექსტში ნაცვლიშვილმა რამდენჯერმე გადაუხადა მადლობა დედაქალაქის მერ **გიგი უგულავას**. *„იმ პირობებში ძალიან ძნელი იყო ჩვენი გეგმის დაჯერება, მაგრამ უგულავა გვენდო, აქტიურადაც ჩაერთო წინასაარჩევნო კამპანიაში და ამ გამარჯვებამდეც ასეთმა ერთსულოვნებამ მიგვიყვანა"* - განაცხადა ნაცვლიშვილმა. ერთსულოვნების თემას მოგვიანებით თავის გამოსვლაში უგულავაც შეეხო, ოღონდ მან მადლობა უკვე სეოკ-ს გადაუხადა.

სესიას ისინიც ესწრებოდნენ, ვინც 27 ნოემბერს ბელგრადში, ევროპის ოლიმპიურ კომიტეტთა გენერალურ ასამბლეაზე თბილისის პროგრამის პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ - ბავშვთა ანსამბლ „კავკასიონის" წევრები, **ანა ბარამიძე**, დუეტი „ჯორჯია" **მაკა ზამბახიძისა** და **რატი დურგლიშვილის** შემადგენლობით, კომპოზიტორი **რუსა მორჩილაძე** და კლიპის ავტორი **ბიბი კვაჭაძე**, მერე დარბაზს ეს კლიპიც აჩვენეს, „კავკასიონის" ბავშვებმა კი დოლით და იმ ცეცხლოვანი მელოდიით სესიის მონაწილენიც ასიამოვნეს. სესიაზე არაერთხელ გაიხსენეს, როგორ იმოქმედა ლამის მთვლემარე რეჟიმში გადასულ დარბაზზე „კავკასიონის" პატარების მიერ დოლით დანთებულმა ცეცხლმა და როგორ აატირა დამსწრენი ანა ბარამიძის ფრანგულ ენაზე გაკეთებულმა მიმართვამ; როგორ უკრავდა ამ ბავშვებს ტაშს მთელი დარბაზი და რამხელა ფურორი მოახდინა დამსწრეებზე ცოცხლად შესრულებულმა ნომრებმა; როგორ უთხრა სახელოვანმა მასპინძელმა, მსოფლიოს ყველა დროის უტიტულოვანესმა კალათბურთელმა **ვლადე დივაცმა** ბარამიძეს, ჩემი ხმა თბილისს შენს გამო მივეციო...

ერთხელ კიდევ გაიხსენეს ამ ფესტივალის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტებიც. ნაცვლიშვილმა განაცხადა, რომ ეს ღონისძიება შესაძლოა დიდ ეკონომიკურ მოგებას არ მოიტანს, თუმცა არც წამგებიანი იქნება და საკუთარ დანახარჯს აანაზღაურებსო. სამაგიეროდ, ის ქვეყანას ფასდაუდებელ დივიდენდს მოუტანს საერთაშორისო არენაზე გაცნობის თვალსაზრისით. ასევე შეუფასებელია პოლიტიკური თუ სხვა სახის ასპექტები - ამით ქვეყანა მიიღებს თანამედროვე ტიპის ინფრასტრუქტურას; ეს გზას გაგვიხსნის ნებისმიერი დიდი ტურნირის მასპინძლობისკენ, რადგან უკვე არ დაისმება კითხვა - შეძლებს კი ამხელა შეჯიბრების ჩატარებას საქართველო? რაც მთავარია, ესაა ევროკავშირის მიერ ჩვენი ქვეყნის აღიარების კიდევ ერთი, ადრინდელზე ბევრად უფრო ეფექტური ფაქტი.

დიდი ტურნირების მასპინძლობაზე საუბრისას ნაცვლიშვილმა საინტერესო ფაქტიც გაგვიმხილა - ევროპა აპირებს პანამერიკული თუ აზიური მსგავსი რეგიონალური თამაშების ჩატარებას. მართალია, ამას დიდი წინააღმდეგობა ხვდება სოკ-ის მხრიდან, რადგან ის ამით გავლენიან სპონსორთა დიდ ნაწილს დაკარგავს, მაგრამ ნაცვლიშვილს არ ეეჭვება, რომ სამ-ოთხ წელიწადში ევროპა თავისას გაიტანს, ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი ამ იდეის ავტორთა ვინაობაა - ევროპის ეოკ-თა ამჟამინდელი პრეზიდენტი **პატრიკ ჰიკი** თავის ჯგუფთან ერთად, ის კი საქართველოს დიდი მეგობარია და ჩვენც ამ ჯგუფში მოვიაზრებით. ასევე - ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის რუმინელი პრეზიდენტი და ქართველების დიდი მეგობარი **მარიუს ვიზერი**, რომელიც აქტიურად ლობირებს ევროპული ოლიმპიადის იდეას. სამომავლო პერსპექტივაში საქართველოსაც ექნება ამ თამაშების ჩატარების შანსი, საამისოდ კი 2015 წლის ფესტივალი კარგი მოთელვა გამოვა. მით უფრო, იქ ზუსტად იმ ტიპის საორგანიზაციო სამუშაოებია მოსაგვარებელი, რაც - დიდ ოლიმპიადებზე. მაგალითად, კვება, ტრანსპორტი, უსაფრთხოება, ვალანტიორები ანუ მოხალისენი...

ოლიმპიური ფესტივალის თემატიკის ამოწურვის შემდეგ ნაცვლიშვილმა სეოკ-ის წლევანდელ პრიორიტეტებზეც ილაპარაკა და გაკეთებულ საქმეთა შორის თერთმეტი ძირითადი მიღწევა დაასახელა: ვეტერანი და მოქმედი სპორტსმენების უფასო მკურნალობა „ავერსის" დახმარებით (ამ სიკეთით 60-მდე კაცი სარგებლობს), სეოკ-ის ახალი ოფისი, საწყლოსნო კომპლექსის მშენებლობა, ცენტრალური ბიუჯეტიდან სეოკ-ის პროგრამული დაფინანსება (რაც 70 სპორტსმენისა და 14 მწვრთნელის პრემიას ხმარდება), ქართული ჭიდაობის პროპაგანდა და ამ მიზნით რამდენიმე ძლიერი ტურნირის გამართვა, ჩოგბურთის პოპულარიზაციის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროსთან ერთად თელავის საერთაშორისო ტურნირის საპრიზო ფონდის გაზრდა 50 ათას დოლარამდე, სპორტსმენთა სოციალური პრობლემების გადაჭრა (ეს საქმე სახელფასო სისტემის მოწესრიგებით მეტ-ნაკლებად მოგვარდა), სოკ-ის სოლიდარობის პროგრამაში ჩართვა, ჟურნალისტ **თამარ ბალავაძის** მიერ ოლიმპიურ ჩემპიონებზე მომზადებული ფილმები (უახლოეს ხანებში სეოკ-ი ამ მიზნით სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციასაც დაეხმარება წიგნების გამოცემაში), დუშეთის ოლიმპიური ცენტრის ამოქმედება და სოკ-ის სტიპენდიებით 30 კაცის დაფინანსება. სოკ-ის ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამა ფარიკაობაში, ცურვაში, ტაეკვანდოსა და ჩოგბურთში მოკლევადიან პროექტებს ითვალისწინებდა, რაც უკვე განხორციელდა, მშვილდოსნობაში კი გრძელვადიანი იგეგმებოდა და პირველი ეტაპი ნოემბერში უკვე ჩატარდა, მეორე კი იანვარში დაიწყება. თან ლამის გადაჭრილია, რომ კონსულტანტად მოწვეული კორეელი სპეციალისტი ამ პროგრამის დასრულების შემდეგ ნაკრებში მთავარ მწვრთნელად დარჩება.

მიღწეულზე საუბრის შემდეგ ნაცვლიშვილი ლონდონის ოლიმპიადასაც შეეხო - მზადებას, გეგმებს, იმედებს და სიმართლეს თვალი ბოლომდე გაუსწორა. კერძოდ, აღნიშნა, რომ ლონდონისთვის რაოდენობრივად უფრო მეტ ლიცენზიას კი ელოდება, ვიდრე - პეკინში გვქონდა, მაგრამ პირდაპირ განაცხადა, სადღეისოდ ოქროს მოპოვების პერსპექტივას ვერ ვხედავო. მოგვიანებით დაახლოებით იგივე განაცხადა სპორტის მინისტრმა ვარძელაშვილმაც - მხოლოდ მონაწილეობა არაა საკმარისი, ხარისხიც გვაინტერესებსო. ცხადია, ყველაზე მეტი კრიტიკა საჭიდაო სახეობებს და ძიუდოს ხვდათ, როგორც ყველაზე დიდი იმედგაცრუების ავტორებს. სხვა სახეობებში მედლებს არც ველოდით და ამათი წარუმატებლობის გამო სეოკ-მა არც ნომინანტები დაასახელა. მიგვაჩნია, რომ ასეთი შედეგებით საუკეთესოებზე არ უნდა ვილაპარაკოთ, ხოლო რადგან არაა სპორტსმენი, იქ არც გუნდი და სპორტსმენიაო, განაცხადა ნაცვლიშვილმა. მისი თქმით, როცა ათლეტი, რომელსაც ბევრად მეტი შეუძლია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრინჯაოს ამარა რჩება, არ შეიძლება, საუკეთესოდ დავასახელოთო, კონკრეტულად კი ორი გვარ-სახელი გამოყო - **ირაკლი ცირეკიძე** და **რამაზ ნოზაძე**. მათ ყველანაირი პირობა შევუქმენით, მაგრამ რა უნდათ, რატომ არ ვარჯიშობენ, ვერ გავიგეთო. ზოგადად ისიც ითქვა, ოლიმპიური ჩემპიონები სათანადოდ არ ემზადებიანო. ძიუდოს ასეთი შეფასება მისცეს - ახალ ხელმძღვანელობას საორგანიზაციო საკითხები კარგად კი მიჰყავს, მაგრამ გუნდი მაინც ვერ შეიკრიბაო და მაგალითად მსოფლიოს გუნდურ პირველობაზე განცდილი მარცხი დაასახელეს. ითქვა ისიც, რომ საერთო შეთანხმებით, სამივე ნაკრებში ამ ეტაპზე რადიკალურ სამწვრთნელო გადაწყვეტილებებს მოერიდნენ, მაგრამ ელოდებიან ევროპის პირველობას, სადაც მორიგი ჩავარდნა არავის შერჩება.

წარმატებული ფედერაციებიდან ბოლო ხანებში გამოცოცხლებისთვის მადლობა დაიმსახურა მშვილდოსნობამ და ტყვიის სროლამ, სადაც ლეგენდარულად მოხსენიებულ ოლიმპიურ ჩემპიონ **ნინო სალუქვაძისგან** ახლაც ლიცენზიას ელოდებიან, მშვილდოსნებისგან კი სულაც ოთხისა ეიმედებათ. ოპტიმიზმის საფუძველს ლიცენზიების განაწილების ახალი წესი იძლევა. ასევე ქება დაიმსახურა წყალბურთმა, სადაც 13-15-წლიანი შესვენების შემდეგ აღსდგა ეროვნული ნაკრები, ეროვნული ჩემპიონატი. წყალბურთი და შვიდკაცა რაგბი დასახელდა იმ გუნდურ სახეობებად, რომელთაგანაც ლონდონში ნაკლებად, მაგრამ 2016 წელს რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე მოხვედრას კი რეალურად ელოდებიან.

კარგი ბევრი რამ კეთდება ფედერაციებში და ადრინდელთან შედარებაც არაა, მაგრამ ბოლომდე სასიკეთო სურათი მაინც ვერაა - კრივი, ძალოსნობა, საწყლოსნო სახეობები, , ტანვარჯიში, ფრენბურთი... კრივში მედლები არის, მაგრამ უკმაყოფილება გამოითქვა პროფესიონალებში სპორტსმენთა გადინების გამო (მით უფრო, არც იქაა ხელშესახები წარმატებები). ტანვარჯიშში რამდენადაც კარგი სურათია ბატუტზე ხტომაში, იმდენად არასახარბიელოა მხატვრულ ტანვარჯიშსა თუ სხვა დისციპლინებში. ძალოსნობა ერთ-ერთი წამყვანი სახეობა იყო, მაგრამ ორი წამყვანი სპორტსმენის დაკარგვამ ვითარება გააუარესა - **არსენ კასაბიევი** პოლიტიკური მოტივების გამო იძულებული გახდა, დაეტოვებინა საქართველო (მის ოჯახს ოსი სეპარატისტები ემუქრებოდნენ), **ალბერტ კუზილოვი** კი დოპინგისთვის მიღებულ სასჯელს იხდის. ამის მიუხედავად, მათგან მაინც ელოდებიან ლიცენზიებს, როგორც - ფრენბურთელებისგან, თუმცა აქ პლაჟის ფრენბურთში მოთამაშე ბრაზილიელებისა ეიმედებათ, დიდ ფრენბურთში კი ვითარება ისევ მძიმეა. საწყლოსნო სახეობებში წყალში ხტომაში ვითარება იმდენად გამოსწორდა, მათგან საგზურებს ელოდებიან, მაგრამ სერიოზული ჩავარდნაა ცურვაში.

რთული მდგომარეობა - გუშინდელ სესიაზე მსგავსი შეფასება ფედერაციათა ყველაზე დიდმა ჯგუფმა მიიღო. აქ მოხვდნენ ჩოგბურთი, მძლეოსნობა, ველოსპორტი, თანამედროვე ხუთჭიდი, აფროსნობა, ნიჩბოსნობა, ბადმინტონი, მაგიდის ჩოგბურთი, ხოლო კეტბურთი, ტაეკვანდო, ფარიკაობა, ბალახის ჰოკეი და კიდევ რამდენიმე ისეთ სფეროებად დაასახელეს, სადაც მუშაობა სასიკეთოდ იცვლება და ახალი ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებს პროგრესისთვის, ზოგიერთი მათგანისგან კი ლიცენზიებსაც ელოდებიან.

ქართულ სპორტს ძალზე საინტერესო მესიჯები გაუგზავნა ვარძელაშვილმაც, რომელთაგანაც სამედიცინო ცენტრის შექმნის დაპირებას გამოვარჩევთ. მინისტრის თქმით, საგაისოდ სხვადასხვა პროგრამას მოაკლეს თანხები და იმ ცენტრის ასაშენებლად გადადეს, რომელიც გლდანში, ახლანდელი ოლიმპიური მზადების ცენტრის ბაზაზე შეიქმნება. ის ორმაგი დანიშნულებისა იქნება - სამკურნალო-დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო, მომავალში კი მისი გაფართოებაც იგეგმება. ამჟამად სათანადო სტრუქტურებთან მიმდინარეობს მოლაპარაკება იქ შესახლებული დევნილების ალტერნატიული საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილებაზე, რის შემდეგაც ცენტრის მშენებლობაც დაიწყება. საინტერესო იყო მინისტრის საუბარიც უცხოელი მწვრთნელებისა და ფიზმომზადების სპეციალისტების მოწვევაზე. მისი თქმით, ფიზმომზადებაშიც კატასტროფულად ჩამოვრჩით და თანამედროვე მეთოდიკაშიც, რისი აღმოფხვრაც უცხოელთა მოწვევით შეიძლება. მინისტრმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ინფრასტრუქტურის, სპორტული ბაზების სავალალო მდგომარეობას და მისი გამოსწორების აუცილებლობაზეც ილაპარაკა.

ისე, ბევრი დრო არ რჩება ოლიმპიადამდე და, თუ იქ წარმატებით გამოსვლა გვინდა, უკვე იანვრიდან ინდივიდუალურად უნდა დავიწყოთ სპორტსმენებთან მუშაობაო, სესიის მონაწილეებს პრაქტიკული რჩევა მისცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და პარლამენტარმა **გიორგი ასანიძემ**. თუმცა ვერც ის გაექცა იმის აღიარებას, რომ გუნდურ სახეობებს, წარმატებების მიუხედავად, ლონდონში მოხვედრის შანსი თითქმის არ აქვთ და იქ მაინც ინდივიდუალურების იმედად ვიქნებით. ყველაზე მთავარი, რაც ასანიძემ გვაცნობა, ის იყო, რომ **ვანო გრიქუროვმა** თვითონ გამოთქვა საქართველოში დაბრუნების და ქართულ ძალოსნობაში სამსახურის სურვილი...

გუშინდელ სესიაზე ვანკუვერის ოლიმპიადაც შეაჯამეს და ისინიც გაიხსენეს, რომლებიც წლეულს გამოაკლდნენ ქართულ სპორტულ ოჯახს. ცხადია, უპირველესად ვანკუვერშივე დაღუპულ **ნოდარ ქუმარიტაშვილს** მიაგეს პატივი, აგრეთვე - **შოთა ჩოჩიშვილს, დიტო შანიძეს, ლევან ინწკირველს, ნარგიზა მესხს**. მიზეზთა გამო, ცვლილებებია სეოკ-ის აღმასკომშიც - გამოკლებულ წევრთა ნაცვლად მის შემადგენლობაში ვარძელაშვილი, **გიორგი რამიშვილი**, **პეტრე ცისკარიშვილი** და **გივი ონაშვილი** აირჩიეს. ჯერჯერობით ვაკანტურია კიდევ ერთი ადგილი, რომელსაც ძიუდოს ფედერაციის არჩეული პრეზიდენტი დაიკავებს (ჯერ იქ მოვალეობის შემსრულებელია). სესიამ ეს ცვლილებაც დაამტკიცა, საკუთარი წესდების ახალი რედაქციაც, ბოლოს სეოკ-ის მხცოვან თანამშრომელ **დავით კინწურაშვილს** ამ სტრუქტურაში საქმიანობის 25 წლისთავი მიულოცა, სეოკ-ის საპატიო მედლითაც დააჯილდოვა და ამით მუშაობაც დაამთავრა.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები


გია ნაცვლიშვილი


მარცხნიდან: ოლიმპიური ჩემპიონები - ვაჟა კაჭარავა, შოთა ხაბარელი, კახი კახიაშვილი რაფაელ ჩიმიშკიანი

ქართული სპორტი

ინტერვიუ გიორგი გოგშელიძესთან

# ჩემზე მეტად ვის უნდა გოგშელიძის ჩემპიონობა?

## ბრძოლა ფალავნებთან, მსაჯებთან, რუსებთან და უსაფუძვლო ჭორებთან...

**საქართველოში ბოლო წლების გამორჩეულ სპორტსმენთაგან ერთ-ერთი გიორგი გოგშელიძეა. მისგან ქართული სპორტის ქომაგი ყოველთვის დიდ გამარჯვებებს მოელის. გიორგიმ წლეულს გულშემატკივარი ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლებით გაახარა. მიუხედავად ამისა ზოგიერთ სპეციალისტს „დელიკატური" საყვედურები არ დაუკლიათ გოგშელიძესთვის, შესაბამისად მის მიმართ კითხვებიც გაჩნდა.**



— ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კონტინენტის ჩემპიონატისთვის საწვრთნელი პროცესი არასრულფასოვნად გავიარე, მაგრამ შეჯიბრებაზე ცუდად არ გამოვსულვარ. ფინალამდე დამაჯერებელი გამარჯვებებით მივედი, ყველას ისე მოვუგე, ქულა არ დამიკარგავს. გადამწყვეტი შეხვედრა კი აზერბაიჯანელ ხეტაგ გაზიუმოვთან მქონდა და... მეორე ადგილით დაკმაყოფილება მომიხდა — გვითხრა გიორგიმ.

**— გაზიუმოვთან სადავო ეპიზოდებზე საუბრისას ქართველი სპეციალისტები მსაჯის არაობიექტურობას უსვამდნენ ხაზს...**

— ჭიდაობისას არის მომენტები, როდესაც მსაჯმა შეიძლება თქვას, მოცემული რაკურსიდან როგორც დავინახე, ისეთი გადაწყვეტილება მივიღეო, მაგრამ იმ ფინალური შეხვედრისას ყველაფერი ძალიან მარტივად იყო, სადავო ეპიზოდში გაზიუმოვს ფეხი ნახევარი მეტრით ჰქონდა წითელ ხაზს მილმა გადგმული. იქ უბრალოდ უნდა დაფიქსირებულიყო ზონის დატოვება და შესაბამისად მომგებიანი ქულა ჩემს სასაგებლოდ.

**— მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მოემზადე?**

— მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ნაკრებმა მომზადების ოთხი ეტაპი გაიარა. პირველი სამი ჩემთვის უაღრესად ნაყოფიერი იყო, ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს, დაგეგმილზე მეტსაც ვვარჯიშობდი, მაგრამ მეოთხე დასკვნითი ეტაპის წინ ავტოავარიაში მოვყევი - კისრის ტრავმა და ტვინის შერყევა მივიღე. 21-დღიანი წოლითი რეჟიმი დამინიშნეს, მაგრამ უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება ახლოვდებოდა და საკუთარ თავს ერთ კვირაზე მეტ ხანს დასვენების უფლება არ მივეცი. მოკლედ, გამოჯანსაღების პროცესი არასრულფასოვნად წარიმართა. მოსკოვში გამარჯვების უდიდესი სურვილი მქონდა, მაგრამ მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დავჯერდი.

კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სპორტსმენისთვის ყველაფერთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტულ იღბალს...

**— რომელიც თქვენ არა გაქვთ?**

— სწორედ რომ არა მაქვს! აბა სხვა რა ვიფიქრო, როდესაც 2001 წლის შემდეგ, როდესაც მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, დღემდე, ამდენი წლის მანძილზე (თუ არ ჩავთვლით რუსეთიდან საქართველოს ნაკრებში დაბრუნებასთან დაკავშირებულ მცირეხნიან იძულებით პაუზას – ვ.ბ.) უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებებზე გამუდმებით საპრიზო ადგილებზე გავდივარ და მხოლოდ ერთხელ (2008 წელს) გავხდი ევროპის ჩემპიონი, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატსა და ოლიმპიადაზე არ მიმართლებს. ცოტა ფორტუნაც რომ მწყალობდეს მეტი უმაღლესი ტიტული მექნებოდა.

**— ხშირად ამბობენ, რომ უმაღლესი ტიტულების მოსაპოვებლად თქვენთვის გორიდან თბილისში გადასვლაა აუცილებელი.**

— სამწუხაროდ, რატომღაც, ნაკრების ხელმძღვანელობა თვლის, რომ თუ მე თბილისში ანუ მათ თვალწინ ვვარჯიშობ, ე. ი. ნამდვილად ვვარჯიშობ, თუ არა, მაშასადამე უქმად ვარ. როდესაც ეს ითქმება რამდენიმეგან, მერე თავისთავად მედიითაც ვრცელდება და, მორჩა, უკვე ჭიდაობის ქომაგებს ექმნებათ შთაბეჭდილება, თითქოს გოგშელიძე რიგიანად არ მოემზადა კონკრეტული შეჯიბრებისთვის, თორემ ჩემპიონი უნდა გამხდარიყოო. მინდა გარკვევით და ყველასათვის გასაგებად აღვნიშნო, რომ მე თბილისში ჩემს სპარინგ-პარტნიორებთან ძალიან ნაყოფიერად ვვარჯიშობ, მაგრამ ფიზიკური მომზადების ეტაპებს უფრო უკეთ მშობლიურ გორში გავდივარ. სხვათა შორის, ვიდრე რუსეთში ვიყავი, ფიზიკური მომზადების პროცესები ბევრჯერ სწორედ გორში მაქვს გატარებული, რის შემდეგაც სულაც არ ვასპარეზობდი ურიგოდ!

და კიდევ, არასწორია, როდესაც, მაგალითად, თბილისში დღეში ერთხელ სავალდებულო ვარჯიში ვარჯიშად მიაჩნიათ, გორში კი თუნდაც დღეში ორჯერ ვარჯიში — თითქმის არაფრად!

**— ზოგი იმასაც ამბობს, თითქოს სხვაობის მოსაჩვენებლად ვარჯიშობთ.**

— პირიქით, სწორედ რომ არავის მოსაჩვენებლად არ ვვარჯიშობ. ეს არასოდეს მიცდია. ჩემთვის უმნიშვნელოვანესია საწვრთნელი პროცესი და დასახული მიზნისთვის ბრძოლა. იშვიათი გამონაკლისის გარდა, არც ოპონენტებთან დისკუსიისთვის ვკარგავ დროს. საერთოდ, როცა სპორტსმენი ვინმეს მოსაჩვენებლად იწყებს ვარჯიშს, ან რამეზე თავის მართლება უწევს — იქ მისი კარიერა დამთავრებულია!

**— პირველი ადგილის გარდა სპორტის მესვეურთა გარკვეული ნაწილისთვის თქვენი შედეგები სათანადოდ აღარ ფასობს?**

— ერთი მხრივ სასიამოვნოა, როდესაც მუდამ უმაღლეს ტიტულს გისახავენ მიზნად, მაგრამ მეორე მხრივ ვერაფერი სახარბიელოა, როცა ვერცხლის ან ბრინჯაოს მედლები ზოგიერთებისთვის აღარაფრად მიიჩნევა და მის მოსაპოვებლად გაწეული შრომა ლამის წყალში ჩაყრილად ჩაითვალოს! წლების მანძილზე სტაბილურად მსოფლიო ლიდერებს შორის ტრიალი ვინმეს იოლი ჰგონია? ან ჩემზე მეტად ვინმეს უნდა გოგშელიძის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ასვლა?

**— 96 კგ-ში ჩვენთან არსებული კონკურენციის დონეს ხომ არ შეადარებდით, მაგალითად, კონკურენციას თქვენთვის კარგად ნაცნობ რუსეთის ნაკრებში?**

— რა თქმა უნდა, სხვაობა არსებობს. რუსეთის ნაკრების ლიდერებს სხვა ვითარებაში უწევთ წრთობა. მე არ ვამბობ, რომ ჩვენთან კონკურენტუუნარო ფალავნები არიან. საქმე ისაა, რომ იქ 4-5 მოჭიდავეს შეუძლია ისეთივე შედეგის ჩვენება, რასაც ლიდერები აღწევენ ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე. რა თქმა უნდა, ჩვენი ბრალი არაა, რომ რუსეთი უფრო მრავალრიცხოვანია, რომ იქ ყველა საკონტროლო შეხვედრა სერიოზული გამოცდაა და კონკურენტები გამუდმებით ფხიზლად ყოფნას გაიძულებენ. მიუხედავად ამისა, რა თქმა უნდა, არც რუსი და არც სხვა ქვეყნის წარმომადგენელი ფალავნის დამარცხება არაა შეუძლებელი!

**— გასათვალისწინებელია რუსეთის და არა მხოლოდ მათი გავლენა ფილაზე, მსაჯთა კორპუსზე...**

— განა შემთხვევითია, რომ ევროპისა თუ მსოფლიოს ნებისმიერ ჩემპიონატზე რუსი და აზერბაიჯანელი მოჭიდავეები იოლ კალათაში ხვდებიან, ვიდრე სხვა ფავორიტები? ასეთ დროს, ისინი ფინალურ სტადიამდე ისე მიდიან, რომ ერთ დაძაბულ ორთაბრძოლას არ ატარებენ, დანარჩენებს კი, ვიდრე ნახევარფინალში გავალთ, ისეთი ორთაბრძოლები გვიწევს, „ვჭამთ" ერთმანეთს და მერე გამოწურულ ლიმონს ვემსგავსებით! ყველა შეჯიბრებაზე ვიცი, რომ მომიწევს არა მხოლოდ უშუალოდ ფალავანთან, არამედ რუსეთის მთელ გუნდთან, მამიაშვილთან, მსაჯებთან პაექრობა. ამისთვის ყოველთვის შემზადებული ვარ. მეტიც, ყველა მნიშვნელოვანი შეჯიბრების წინ სპარინგპარტნიორად ვირჩევ მეგობარ ფალავანს, რომელსაც ვთხოვ ჩემი ჭიდაობის პასუხად აგრესიულად, უხეშად, წესების დაუცველად მეპაექროს, რადგან ვიცი, დიდ შეჯიბრებებზე ამისი ატანაც მომიწევს! სხვათა შორის, მე ვერც იმას ვიტყვი, რომ ოლიმპიადაზე თვალის დაზიანების დროს მეტოქის მოქმედებამ გამაკვირვა, თუმცა მაშინ მაინც ვერ შევიკავე ემოცია, რადგან მართლაც აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს?!

**— ქართული სპორტის მესვეურებმა ბოლო ხანს ბრძოლა გამოუცხადეს ტიტულოვან სპორტსმენთა მიერ საქართველოს ჩემპიონატის გამოტოვების ტენდენციად ქცეულ მოვლენას...**

— მისასალმებელია ასეთი პრინციპულობა. მე არასდროს მოვკიდებივარ საქართველოს ჩემპიონატს უგულოდ. ახლაც, რომ არა კისრის, მუხლის და ხელის ტრავმები ერთდროულად, საქართველოს ჩემპიონატზე აუცილებლად ვიჭიდავებდი. ეს შეჯიბრება იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ჩვენი გულშემატკივარის თვალწინ გავდივართ ხალიჩაზე და გულიანად ჭიდაობა პირველ რიგში მათ პატივსაცემად მოგვეთხოვება.

**— ბოლოს კი მინდა მოგილოცოთ, რომ გორში გაზეთ „ლელოს" და სპორტის სამინისტროს ვებგვერდის საკორესპონდენტო პუნქტების ერთობლივი გამოკითხვით, ჩვენთან მომუშავე სპეციალისტმა გორის 2010 წლის საუკეთესო სპორტსმენად, თქვენი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი კი საუკეთესო მწვრთნელად დაგასახელათ.**

— ძალიან გამიხარდა! ულრმესი მადლობა ყველას. მშობლიური ქალაქის მხარდაჭერა ჩემთვის მუდამ პატივსაცემი და მნიშვნელოვანია!

მადლიერება გამოხატა **ნუგზარ სხირელმაც,** გიორგი გოგშელიძესთან დაკავშირებით კი გვითხრა: *„გიორგის დარ სპორტსმენს აუცილებლად სჭირდება სათანადო ხელშეწყობა, რასაც ჩვენი სპორტის მესვეურნი აკეთებენ კიდეც. თქვენთან საუბარში თქვა კიდეც, რომ თბილისში სპარინგ-პარტნიორებთან ნაყოფიერად ვარჯიშობს, მაგრამ ფიზიკური მომზადების ეტაპებს გორში უკეთესად გადის. არც გორის დარბაზში მეცადინეობებს ჩაუვლია მისთვის უკვალოდ. ვინც გორის დარბაზში მის ვარჯიშს უნაყოფოდ მიიჩნევს, ჩვენს შეგირდთა შედეგებს გადახედოს. ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე დიდებში მოპოვებული ხუთი მედლიდან სამი გორელებისაა, ახალგაზრდებში — ათიდან ხუთი! ვისაც ვითომდა გოგშელიძეზე გული შესტკივა, ნუ დაავიწყდებათ, როგორ დარბაზში ვარჯიშობენ აქ ჩვენი ტიტულოვანი ფალავნები. გიორგის დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, როცა იგი დარბაზში მოდის, იქაურობას სხვა მომეცადინეებისაგან ვერ დავცლი. ჰოდა, ასეთი ტიტულების პატრონს უწევს პატარა და გადატვირთულ დარბაზში 2 კვადრატულ მეტზე ვარჯიში, ნაცვლად 10-12 კვადრატული მეტრისა. შეადარეთ, ეს ნორმალურია? ჯობია იმაზე ილაპარაკონ, რომ გორში ნორმალური თავისუფალი ჭიდაობის დარბაზია ასაშენებელი, რომელიც ჩვენი მიუღწეველი ოცნება გახდა!"*

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ბატუტზე ხტომა

# იქ, ამერიკაში, საქართველოზე ფიქრით...

მამა-შვილი **კონსტანტინე** და **კოტე გულისაშვილები** ჭაბუკობისას ტანვარჯიშში საქართველოს ნაკრების წევრები იყვნენ: უფროსმა კონსტანტინემ მოგვიანებით ვეტერანთა შორის მრავალჭიდში საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც კი მოიპოვა. აქტიურ სპორტთან განშორების შემდეგ ორივემ მწვრთნელობას მიჰყო ხელი, ერთხანს ბატუტზე მხტომელებსაც კი ავარჯიშებდნენ. მათი პირველი მოსწავლე გახლდათ **თენგიზ კოშკაძე,** რომელიც დღეს ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მოპოვების ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნევა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში მამა-შვილი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა სამუშაოდ. აკრობატიკაში მათმა გაწვრთნილმა კვარტეტმა (დევიდ პრინსი, ქევინ გრიერი, იური კოსტოვეცკი, მაიკლ ნასიგანი) ჯგუფურ ვარჯიშში ორჯერ აშშ-ის ჩემპიონობა მოიპოვა, სპორტულ ტანვარჯიშში კი ბრაიანა გაიმ ამერიკის პირველობაზე თანატოლ გოგონებს აჯობა.

უფროსი გულისაშვილი ამჟამად Marvateens Gymnasics-ში მუშაობს მწვრთნელად, უმცროსი — Fairland-ში. მისი ორი შეგირდი (ივანა ანტეზანა, დიანა ფერისი) წლეულს ბატუტზე მხტომელთა მსოფლიოს პირველობაში მონაწილეობდა მეცში (საფრანგეთი), სადაც ჩვენმა **ანა ოდიშვილმა** კადეტებში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა. მისი გამოსვლით აღფრთოვანებულმა უმცროსმა გულისაშვილმა, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია, თანამემამულე გოგონას ამერიკის ნაკრების ფორმა უსახსოვრა. ამ დღეებში მამა-შვილი თბილისში ჩამოვიდა ოჯახის წევრების, ახლობლებისა და მეგობრების მოსანახულებლად, ბატუტზე მხტომელ გოგონებსა და ბიჭებს საჩუქრად ფორმები ჩამოუტანეს და ამ სახეობაში გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დარბაზში თბილისის პირველობასაც დაესწრნენ. შეჯიბრებაში 43 ახალგაზრდა მონაწილეობდა. როგორც ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ზაურ სულაშვილმა** გვითხრა, ფავორიტებს — წლევანდელი მსოფლიოს პირველობის გამარჯვებულ ანა ოდიშვილს, ასევე, **თამარ პაპაშვილს, ნანა გოგაშვილს, თინათინ ჩადუნელს, თეონა ჯანჯღავას, გიორგი ფუტკარაძეს, ზურაბ ნოზაძეს, დიმიტრი ზუტიკოვს, რუსტამ კალოევს** და **თემურ სონღულაშვილს** დასვენების უფლება მიცეს.



მამა-შვილი გულისაშვილები თბილისის პირველობის გამარჯვებულებთან და პრიზიორებთან

ლიდერთა არყოფნის მიუხედავად, პაექრობები დაძაბულად წარიმართა. ოსტატობის კანდიდატის პროგრამით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: **გოგონები.** 1. მარიამ მწითური, 2. მეგი ცხადაძე, 3. ანა სოლოლაშვილი; **ვაჟები.** 1. ლაშა გაბაშვილი, 2. გიორგი ავლოხაშვილი, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი. **I თანრიგი. გოგონები.** 1. ნათია მწითური, 2. ქრისტინე სორდია, 3. ნუცა ჭკუასელი. **ვაჟები.** 1. სერგო ავეტისიანი, 2. ნიკა ჯალაბაძე. ორი მონაწილე იყო სპორტის ოსტატის პროგრამით ასპარეზობაშიც — ტყუპი ძმები: ვალერი და სერგო ბიძიშვილები, რომლებმაც პირველ-მეორე ადგილი ერთმანეთში გაინაწილეს. ასაკობრივ ჯგუფებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: გიორგი ნაცვლიშვილი, ნათია მწითური, კოტე რაზმაძე, სოფო დაშნიანი, გიორგი გულიაშვილი, მეგი ფარულავა და კოტე ლობჟანიძე.

*„ამ შეჯიბრებით, რომლის მონაწილეთა უმრავლესობას გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის აღსაზრდელები წარმოადგენდნენ, წლევანდელი სეზონი დავასრულეთ. ახლა ცოტას დავისვენებთ და ნაახალწლევს ახალი შემართებით შევუდგებით მზადებას, რადგან 2011 წელი ამ ოლიმპიურ ციკლში ჩვენთვის გადამწყვეტია - ნოემბერში ლონდონი სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს და ყველაფერი უნდა ვილონოთ 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად",* - გვითხრა ზაურ სულაშვილმა.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

● კალათბურთი. ლეგიონერი



ვიქტორ სანიკიძე (მარცხნივ)

# რამდენი ოვერტაიმი ჩაატარა ვირტუსმა...

## ...თუ სანიკიძემ ძირითადი დროის შემდეგ 12 წუთი ითამაშა?

გასულ კვირას იტალიურმა წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ **ვიქტორ სანიკიძეს** იდაყვის ტრავმის გამო მინიმუმ ერთი თვე უნდა დაესვენა. ეს ცრუ განგაში აღმოჩნდა, ვიქტორმა იტალიის ჩემპიონატის მე-11 ტურში „კრემონას" წინააღმდეგ ითამაშა. იგი მიედანზე მე-17 წუთზე გამოჩნდა, თუმცა მწვრთნელი მას 40 წუთის განმავლობაში ზედმეტად არ ტვირთავდა - ხშირად ასვენებდა. ვიქტორმა შეუცვლელად 43-ე წუთის შემდეგ ითამაშა... მას მერე ქართველმა მოედანზე 12 წუთი გაატარა!

მარტივი არითმეტიკაა: ყოველი მატჩი 40 წუთს გრძელდება. თუ ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, დამატებითი ხუთწუთიანი პერიოდი ინიშნება, ხოლო თუ სანიკიძეს 43-ე წუთის შემდეგ კიდევ 12 წუთით მოუწია თამაში, იოლი მისახვედრია, რომ „ვირტუსი"-„კრემონას" მატჩში სამი ოვერტაიმი დაფიქსირდა. მან ხუთივე ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო), 4 მოხსნა და თითო პასი-დაფარება სწორედ ამ 12-წუთიან მონაკვეთში მოაგროვა. მხოლოდ ფაქტი, რომ სანიკიძემ მოედანზე გადამწყვეტი წუთები გაატარა, მის ფასეულობაზე მეტყველებს. თუმცა უნდა დავკონკრეტდეთ: 43-ე წუთისთვის, როცა ქართველი ფორვარდი მოედანზე დაბრუნდა, კრემონელი **დერკოლე** საჯარიმოს ხაზთან იდგა და ზუსტი ტყორცნებით თანაგუნდელები 77:72 დააწინაურა. ამას მოჰყვა **როულანდის** ორქულიანი და - 79:72. „კრემონას" არ დანებდა ფინელი **პეტრი კოპონენი**, რომელმაც ერთ წუთში 7 ქულა ჩააგდო და მატჩი მეორე ოვერტაიმში გადაიყვანა - 81:81. მეორე დამატებულ დროში „ვირტუსი" წაგებისგან სანიკიძემ იხსნა, რომელმაც ბოლო წამებზე ბურთი საკუთარი ფარიდან მოხსნა, კოპონენს გადააწოდა და ფინელმაც ვინ მოსთვლის, მერამდენედ გაათანაბრა - 100:100. მესამე ოვერტაიმში მხოლოდ ბოლონიელები თამაშობდნენ, 16:0 მოიგეს, საბოლოოდ 116:100.

მატჩის გმირი კოპონენი იყო, რომელმაც 36 ქულა ჩააგდო. ვიქტორმა 20 წუთი ითამაშა, 5 ქულა, 7 მოხსნა, 1 პასი და 1 დაფარება ჩაიწერა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ჭადრაკი

# ომსთან ომი მოიგო

სარაგოსაში მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირზე შესანიშნავად თამაშობს ქართველი დიდოსტატი **ანა მათნაძე**, რომელმაც ნამდვილი ომი გაუჩაღა ვაჟებს. გუშინ მან შავი ფიგურებით **ჯოშეფ პალისე ომსთან** ორთაბრძოლის შემდეგ გათამაშების ცხრილში მე-4 გამარჯვება ჩაიწერა ერთ ყაიმთან ერთად, მოაგროვა 4,5 ქულა და პირველ-მეხუთე ადგილებს იყოფს. დაზავდნენ **დრაგან პაუნოვიჩი** (სერბეთი)-**რობერტო კიფუენტესი** (ესპანეთი), **დიეგო ადლა** (არგენტინა)-**მიგელ ენტოლი** (ესპანეთი); **ოლეგ კორნეევი** (რუსეთი)-**დანიელ ფორკენი** (ესპანეთი) 1:0, **სერხიო გარსია** (ესპანეთი)-**არტურ კოგანი** (ისრაელი) 0:1. მათნაძეს, პაუნოვიჩს, კიფუენტესს, კორნეევსა და კოგანს 4,5-4,5 ქულა აქვთ.

ათმა მოჭადრაკემ 4-4 ქულას მოუყარა თავი. მათ შორისაა **სოფიკო გურამიშვილი**. მეხუთე ტურში მან შავებით მასპინძელ **პაბლო მასას** მოუგო.

დღეს მე-6 ტურში მათნაძე კორნეევს შეხვდება, გურამიშვილი კი კუბელ **ფიდელ კორალესს** ეთამაშება.



სოფიკო გურამიშვილი

# აზმაიფარაშვილი ერთპიროვნულად დაწინაურდა

უკვე გაუწყეთ, რომ ქართველი დიდოსტატი, ევროპის 2003 წლის ჩემპიონი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** სინგაპურის სახელით აზიის ღია ჩემპიონატში მონაწილეობს. მე-4 ტურში მან შავი ფიგურებით ფილიპინელ **პაულ გომესს** სძლია და 3,5 ქულით ერთპიროვნულად დაწინაურდა. ლიდერთან გათანაბრების შანსი კიდევ სამ მოჭადრაკეს ჰქონდა, მაგრამ დიდოსტატები — **სუსანტო მეგარანტო** (ინდონეზია), **ჰაი დიენ დაო** (ვიეტნამი) და საერთაშორისო ოსტატი **ოლივერ ბარბოსა** (ფილიპინები) მეტოქეებს დაუზავდნენ და ახლა სამ-სამი ქულა აქვთ, როგორც **რიჩარდ ბიტუნსა** (ფილიპინები) და **ვან ნგუენს** (ვიეტნამი). აზმაიფარაშვილი დღეს მეგარანტოს დაუპირისპირდება.

# ბიჭებთან მეტი სიმჭიდროვეა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება თეიმურაზ ლომაიას მემორიალი, რომელშიც 8-16 წლის მოჭადრაკეები მონაწილეობენ. გუშინ მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა. 8-წლიან გოგონებში უდანაკარგოდ მიიწევს წინ **ლალი გარსიაშვილი**. მას თითო ქულით ჩამორჩებიან **თამარ ლაგაზაური, ტატა პაპაშვილი, ელენე ჩხაიძე** და **ანასტასია სიდამონიძე**. ვაჟთა შორის მეწინავეთა ჯგუფში უფრო მეტი სიმჭიდროვეა - აქ 4-4 ქულით ერთბაშად ხუთი ლიდერია. ესენი არიან: **შოთა ხოდაშნელი, დიმიტრი ჯიბუტი, ლაზარე ლომსაძე, ანრი შენგელია** და **ედგარ ვარდანიანი**. დანარჩენ ასაკობრივ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:

**10-წლიანები.** ნატა ჯიბუტი-4, **თამარ ლაგაზაური, სალომე სანიკიძე, მარიამ შავშიშვილი-3-3; გიორგი ვარაზაშვილი, თამაზ კიკნაველიძე, ნიკოლოზ პეტრიაშვილი, ნიკოლოზ ცომაია-4-4, გურამ ჭელიძე-3,5 ქულა.**

**12-წლიანები. ნინო ხომერიკი-4, მარიამ ჯავახიშვილი-3, ელენე ჯაფარიძე, მაია მუმლაძე, სალომე ხუცურაული,** ელენე საფანაძე, თამარ ბარნაბიშვილი, მარიამ შუბითიძე, დალი ნანეიშვილი-2,5-2,5; **გიორგი სიბაშვილი, ლევან ხიზანიშვილი, საბა ამირიძე-4-4, რევაზ ტატუნაშვილიმიხეილ მუხიგული, გურამ ჭელიძე, იაკობ ლაჩაშვილი-3-3 ქულა.**

**16-წლიანები.** აქ გოგონები და ვაჟები ერთმანეთს უპირისპირდებიან. ჯერჯერობით მცირეოდენი უპირატესობა ბიჭების მხარესაა. **ალექსანდრე ებრალიძე, შალვა ნადირაშვილი-4-4, ნიკა ვოლკოვი, ირაკლი კელეპტრიშვილი**-3,5-3,5. ცხრა მოჭადრაკეს 3-3 ქულა აქვს, მათ შორის არიან გოგონები: **მაია მუმლაძე, ანა კუჭავა, თეკლა მაჭარაშვილი, ნინო და ქეთევან ხომერიკები.**

დღეს მეხუთე ტურის პარტიები გაიმართება.

# ლიდერებს კვალში მიჰყვება

გრონინგენის საჭადრაკო ფესტივალის A კატეგორიის ტურნირის მე-5 ტურში **დავით ლობჟანიძე** სომეხ **ზავენ ანდრიასიანს** შეუთანხმდა ყაიმზე და 4 ქულას მოუყარა თავი. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **დეიან ბოიკოვი** (ბულგარეთი)-**ილია ნიჟნიკი** (უკრაინა) 0,5:0,5, **აბჰიჯეთ გუფტა** (ინდოეთი)-**არკადი როტსტეინი** (გერმანია) 0:1, **პეტერ პროხასკა** (უნგრეთი)-**სიპკე ერნსტი** (ჰოლანდია) 1:0, **მარკ ბუუშტეინი** (კანადა)-**რობინ ვან კამპელი** (ჰოლანდია) 1:0, **დაან ბრანდენბურგი** (ჰოლანდია)-**იან ვერლე** (ჰოლანდია) 1:0, **ფრისო ნიჯბოერი** (ჰოლანდია)-**როელან პრაიჯერსი** (ჰოლანდია) 1:0.

ექვსი მოჭადრაკე 4-4 ქულით ლიდერობს.

**ვაჟა დანელია**

● ქართველი NBA-ში





# დრიუს ავიწყდება...

ოთუ „ატლანტა ჰოქსმა" თამაში ასე განაგრძო, შუა სეზონში გუნდში მწვრთნელის ცვლილება არ არის გამორიცხული. „ნიუ ორლეანთან" მატჩში ჯორჯიელებს ნამდვილად არ ეტყობოდათ, რომ აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალისთვის იბრძვიან. არადა, ამ ზაფხულს მწვრთნელად **ლარი დრიუ** რომ დაინიშნა, მიზნად წინამორბედი **მაიკ ვუდსონის** შედეგის გაუმჯობესება დაუსახეს. „ატლანტამ" ორლეანელებთან განსაკუთრებით უფერულად მეორე ტაიმი ჩაატარა. მესამე პერიოდის 5-წუთიან მონაკვეთში „ნიუ ორლეანმა" 11 ქულა ჩააგდო, „ჰოქსის" კალათბურთელები კი ტყორცნას ტყორცნაზე აცილებდნენ და მეტოქეს 11:0 გაქცევის უფლება მისცეს. მას მერე მასპინძლებმა ატლანტელებს პერიმეტრი გადაუკეტეს, საშუალო დისტანციიდან ორქულიანებსაც თავისუფლად არ ასროლინებდნენ და მშვიდად მიაღწიეს გამარჯვებას. საინტერესოა, რომ მწვრთნელმა ლარი დრიუმ მეორე ტაიმში დაივიწყა **ზაზა ფაჩულია**, რომელიც პირველ ნახევარში ერთი-ორჯერ ფარქვეშ კარგად გაიხსნა. არადა, „ატლანტას" სამწამიანი ზონიდან ჩამგდები ნამდვილად სჭირდებოდა (კოლინზმა ფარქვეშიდან ერთი ისროლა და მატჩის კომენტატორი გაოგნდა, როგორ ვერ ჩააგდოო), მომხსნელზე აღარაფერს ვამბობთ. თავად განსაჯეთ, „ნიუ ორლეანმა" სტუმრებს მოხსნებში 47:38 აჯობა, ხოლო მესამე პერიოდისთვის სამწამიანი ზონიდან 38 ქულა ჰქონდა მოგროვილი („ატლანტას" - 16).

**ნიუ ორლეანი-ატლანტა 93:86**

ზაზა ფაჩულია: 9:48 წუთი, 3 ქულა (2-დან 1 ორქულიანი, 3-დან 1 საჯარიმო), 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 1 ფოლი, 2 შეცდომა

**I პერიოდი**

04:14 ზაზამ ბიბი შეცვალა
02:53 შეცდომა: 1
02:51 ჩაჭრა: 1 (სმიტს ჩაუჭრა)
02:23 შეცდომა: 2

**II პერიოდი**

10:46 ფოლი: 1
10:11 ორქულიანი: არაზუსტი
09:41 ორქულიანი: 2ძ (34:32)
09:41 საჯარიმო: 1/1 (35:32)
09:06 მოხსნა: შეტ-1, დაც-0
09:06 საჯარიმოები: 2/0
06:26 უილიამსმა ზაზა შეცვალა

**ვაჟა სიმონიშვილი**

● ფარიკაობა

# მოხმალავენი საუკეთესოდ ცნეს

ახალგაზრდა ქართველმა მუშკეტერებმა წლეულს რამდენიმე შეჯიბრებაში იყოჩაღეს. განსაკუთრებით მოხმალავეებმა — თბილისელმა **თეოდორა კახიანმა** და ქუთაისელმა **მიხეილ მარდალეიშვილმა** გამოიჩინეს თავი. თეოდორამ საქართველოს პირველობა ჯერ კადეტებში, შემდეგ უფროსებშიც მოიგო, ქვეყნის თასსაც გამოჰკრა ხელი. თურქეთის თასიც დაიმსახურა, ხოლო ევროპის თასის ერთ-ერთ ეტაპზე სოფიაში მესამე ადგილზე გავიდა. მარდალეიშვილმა საქართველოს ჩემპიონატში, ირანის თასსა და ახალგაზრდებში მსოფლიოს თასის ეტაპზე მესამე ადგილები დაიკავა, კონტინენტის თასის გათამაშებაზე ორჯერ რვა საუკეთესოში მოხვდა. ამჟამად ევროპელ თანატოლთა შორის რეიტინგით მეცხრამეტეა. საქართველოს ფარიკაობის ფედერაციამ 2010 წლის შედეგების შეჯამების შემდეგ ორივე მოხმალავე წლის საუკეთესო მოფარიკავედ დაასახელა. ახლა ისინი ახალი სეზონისთვის მონდომებით ემზადებიან თბილისში. მარდალეიშვილი თანაგუნდელებთან და უკრაინის ნაკრების წევრებთან ერთად ნაახალწლევს ბაკურიანს გაემგზავრება საერთო ფიზიკური მომზადების გასავლელად, 15 იანვრიდან კი უკრაინელ კოლეგებთან ერთად კიევში განაგრძობს ერთობლივ წვრთნას. საგულისხმოა, რომ უკვე 7-8 იანვარს კახიანი იტალიაში ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს თასის ეტაპზე გამოვა, მარდალეიშვილი კი იანვრის ბოლოს ლონდონში ევროპის თასის ეტაპზე იასპარეზებს.

...

საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის **შოთა დარასელიას** ქალიშვილი — რაპირაში სპორტის ოსტატი **მანანა დარასელია** რამდენიმე წლის წინათ ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისი მეგობრებისა და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის ინიციატივითა და თანადგომით მეორედ გაიმართა მანანა დარასელიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ვეტერანთა შორის. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ხათუნა ჭუმბურიძე**, 2. **ინგა ფრანგიშვილი**, 3. **ირინა სალუქვაძე** და **ხათუნა მამუკაშვილი**.

**ვაჟა დანელია**

● ჭიდაობა

# მსოფლიოს ჩემპიონი გადარჩა

კვირა საღამოს მძიმედ დაჭრეს თავისუფალ ჭიდაობაში ბულგარელი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **მიხაილ განევი** (84). ინციდენტი ბულგარეთშივე, ქალაქ გაბროვოს ცენტრში ღამის კლუბ „ტეკილაში" მოხდა. ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზით, კლუბში ჩხუბი ატყდა. ბულგარული წყაროები მის მონაწილეებს ხულიგნებად მოიხსენიებენ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ჩხუბში ჩარეულია მსოფლიოს ჩემპიონი, ამაზე არაფერს წერენ. განევთან ერთად დაიჭრნენ მისი ძმა **პეტრ განევი** და მათი მეგობრები, თუმცა ყველაზე მძიმედ სპორტსმენი იყო დაჭრილი. მას სამი მძიმე ჭრილობა ჰქონდა, ძირითადად ზურგისა და ხერხემლის არეში, რის გამოც დაუყოვნებლივ გადაიყვანეს გაბროვოს ერთ-ერთ კლინიკაში და პირდაპირ საოპერაციოში შეიყვანეს. ეს ამბავი კვირა ღამესვე მოექცა მსოფლიოს საინფორმაციო სააგენტოების ახალ ამბებში. მაშინ წერდნენ, რომ მას სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები ჰქონდა, თუმცა უკვე გუშინ გავრცელდა ექიმ **პიტერ პანაიტოვის** განცხადება, რომ ჭრილობები არც ისე საშიშია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. მეტიც - პანაიტოვის თქმით, განევს რეანიმაციაში მხოლოდ ორი დღით დატოვებენ, მერე კი მისი სოფიაში გადაყვანაც იქნება შესაძლებელი. „ჩვენ ყველანი შოკში ვართ. არც კი ვიცი, ასეთი რამე ჩვენს ქვეყანაში როგორ უნდა მოხდეს. ამაზე რა კომენტარი უნდა გავაკეთო? სასიკვდილოდ გაიმეტეს. არადა, ის ძალიან წყნარი ადამიანია" - თქვა ეროვნული ნაკრების თავკაცმა **სიმეონ შჩერევმა**, რომელიც ბულგარელმა ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს. მათი გამოკითხვით, განევი ბულგარეთის ნომერ მეორე სპორტსმენად დასახელდა და მხოლოდ იქაურთა სახელოვან მოჭიდავე ქალბატონს, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონს, ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ **სტანკა ზლატევას** ჩამორჩა. განევი მსოფლიოს ჩემპიონი სექტემბერში მოსკოვში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გახდა, სადაც ფინალში უზბეკი **ზაურბეკ სოხიევი** დაამარცხა. მაშინ უზბეკმა მოიგო პირველი პერიოდი, დაწინაურდა მეორეშიც და თითქოს ძალზე ახლოს იყო მსოფლიოს ჩემპიონობის ზედიზედ მეორედ მოპოვებასთან, მაგრამ 25 წლის ბულგარელმა ლამის სასწაული მოახდინა და კარიერაში უდიდეს წარმატებას მიაღწია.



მიხაილ განევი

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოება

# PLANETRUGBY-ს პრემიის ლაურეატები



მაა ნონუ

PLANETRUGBY ყოველი სეზონის ბოლოს საუკეთესო მორაგბეების, მწვრთნელებისა და გუნდების საკუთარ ვერსიას აცხადებს. მოდი, ჯერ სერიოზული ნომინაციები დავასახელოთ:

**წლის საუკეთესო გუნდი:** ვინ მოიგო სამი ერი? ვინ მოიარა ტრიუმფით ევროპა და დიდი სლემი შეასრულა? პასუხი: ახალი ზელანდიის ნაკრებმა. „ოლ ბლექსმა" 14 თამაშიდან 13 მოიგო და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა ჰონკონგში, ავსტრალიის ნაკრებთან „ბლედისლოუს თასის" მატჩში. წლეულს ახალზელანდიელებზე უკეთესი შედეგი არავის აქვს.

**წლის საუკეთესო მწვრთნელი:** ყველაზე ხშირად წლეულს **პიტერ დე ვილიერსს** ახსენებდნენ, მაგრამ მისთვის სამწუხაროდ, მხოლოდ უარყოფით კონტექსტში. IRB-მ წლის საუკეთესო მწვრთნელად მეოთხედ დაასახელა ახალი ზელანდიის ნაკრების თავკაცი **გრემ ჰენრი.** planetrugby მსოფლიო რაგბის მამებს ეთანხმება.

**წლის საუკეთესო მოთამაშე:** ჩვენ არც ახალზელანდიელი **რიჩი მაკქოუ** ავირჩიეთ და არც ავსტრალიელი **დევიდ პოკოქი.** 2010 წელს საუკეთესო „ოლ ბლექსის" მესამეხაზელი **კირან რიდია,** რომელიც შერკინების უკან კედელივით იდგა.

**ყველაზე დიდი პროგრესი:** სეზონი ისე დაიწყო, რომ „ლესტერის" ცხრა ნომერი **ბენ იანგზი** ინგლისის ნაკრებში, ამ პოზიციაზე მესამე ნომრად მოიაზრებოდა. ის სწრაფად წავიდა მაღლა, მწვერვალისკენ და 2010 წელი „პომების" ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ დაასრულა.

**წლის საუკეთესო ლელო (ჩრდილოეთ ნახევარსფერო):** კრის ეშტონმა ინგლისისა და ავსტრალიის ნაკრებების მატჩში 95 მეტრი ირბინა და ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ლელო გაიტანა, რომელიც „თვიქნემს" ოდესმე უნახავს.

**წლის საუკეთესო ლელო (სამხრეთ ნახევარსფერო):** ზე 14-ის გათამაშების შეხვედრა „ჩიფსსა" და „სტორმერზს" შორის დაძაბულად მიმდინარეობდა. ჩიფსელები გაჭირვებით უმკლავდებოდნენ მეტოქის შეტევებს, თუმცა სამხრეთ აფრიკის ნაკრების გარემარბის **ბრაიან ჰაბანას** 60-მეტრიან სოლო რეიდს ვერაფერი დაუპირისპირეს.

**ევროპული რაგბის მეფე:** ფრანგული რაგბის გრანდი „ტულუზი" ევროპაში ყველაზე ტიტულოვანია. 2010 წელს ტულუზელებმა ყველაზე პრესტიჟული ევროპული ჯილდო, „ჰეინეკენის თასი" მეოთხედ მოიგეს.

## ახლა კი სახუმარო...

**გაქცევა შოუშენკიდან:** ბრისბენის „რედსის" მგეზავ **ქუადე კუპერს** ბრალს ძარცვაში სდებდნენ. ის რამდენიმე სასამართლო პროცესის შემდეგ უდანაშაულოდ ცნეს. მისთვის ამას ხელი არ შეუშლია ,"რედსში" შესანიშნავი სეზონი ჩაეტარებინა. მეტიც, კუპერმა „ვოლაბებში" მგეზავის პოზიციაზე **მეთ გიტო** შეავიწროვა.

**მაჩვენეთ ფული:** ახალი ზელანდიის ნაკრების შერკინების ყოფილი ბურჯი **კარლ ჰეიმენი,** რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველ მარჯვენა ბურჯად მიიჩნევა, ფრანგულ „ტულონში" გადაბარგდა. ტულონელთა მულტიმილიონერმა პრეზიდენტმა **მურად ბურჯელალმა** მისთვის წელიწადში 620 ათასი ევრო გადაინახა.

**ბოლო წამის ლაურეატი:** ეს ჯილდო ორ მორაგბეს ეკუთვნის და ორივე ავსტრალიელია. **ქართლი ბეილიმ** „ვოლაბებს" სამხრეთ აფრიკასთან მატჩში ბოლო წამებზე მოაგებინა - 41:39, რითაც „ბოკსთან" რვამატჩიანი წარუმატებელი სერია შეწყვიტა. მეორე ლაურიატი **ჯეიმზ ოკონორია,** რომელმაც თავისივე გატანილი ლელო გარდასახა და ჰონ კონგში, „ბლედისლოუს თასზე" ახალ ზელანდიასთან მატჩში „ვოლაბებს" გამარჯვება მოუტანა.

**ყველაზე უტაქტო:** ამ პრიზის მფლობელი ახალი ზელანდიის ნაკრებისა და „ჰარიკენზის" შუამარბი **მაა ნონუა.** ზე 14-ის გათამაშებაში, „ჩიფსთან" მატჩის შემდეგ კომენტარში, პირდაპირ ეთერში მან დაახლოებით ასე ილაპარაკა: „ეს თამაში ერთ-ერთი იყო იმ მატჩებიდან, რომელიც რაგბის ყველასთვის მიმზიდველს ხდის. როდესაც ისინი 24:8 დაწინაურდნენ......(გინება), ჩვენ საკუთარ ლელოს ვიყავით მიჯაჭვული ......(ისევ გინება), გვჯეროდა ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა, მატჩის 50-ე წუთის შემდეგ ჩვენ მთელი სიმძლავრით ავთამაშდით და მოვიგეთ ...(მწარე გინება), ბოლო წუთებამდე ვიბრძოლეთ და მოვიპოვეთ ეს ..... (გინება) გამარჯვების მომტანი ქულები."

**გმირობიდან სამარცხვინო კრახამდე:** სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა 2009 წელს ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც შეიძლებოდა. წლეულს კი „ბოკეს" საკმაოდ დიდი ჩავარდნა ჰქონდა. მსოფლიოს ჩემპიონებმა სამი ერის გათამაშებაში მხოლოდ ერთი თამაში მოიგეს. ნოემბრის ტესტებზე კი შოტლანდიასთან წააგეს, უელსს და ირლანდიას კი გადაურჩნენ.

**გიყვარდეს თუ გძულდეს:** ინგლისური „სარასენზის" აღმასრულებელი დირექტორი **ბრენდონ ვენტერი** უცნაური კაცია. მის ირგვლივ წლეულს ბევრი აურზაური იყო. მას კონფლიქტი ჰქონდა ინგლისის რაგბის კავშირის მაღალჩინოსნებთან და ლამის მარტო გაუმკლავდა „ლესტერის" ქომაგებს. ის ჟურნალისტებთან გულახდილობით გამოირჩეოდა და თავისი თამამი განცხადებებით რაგბის მმართველ ორგანოებს დიდ პრობლემებს უქმნიდა. „ჰეინეკენის თასზე" პარიზულ „მეტრო რასინგთან" მარცხის შემდეგ კი, ერთ-ერთ გაზეთს ისეთი ინტერვიუ მისცა, რომ მთელი რაგბის სამყარო ხარხარებდა."

**მივედი, ვნახე, ფეხი მოვიტეხე:** ახალი ზელანდიის ნაკრების ცხრა ნომერი **პირი ვიპუ** საშინლად უიღბლო გამოდგა. მან ჯერ ITM-ის თასის გათამაშებაში დაიშავა ფეხის ტერფი. მერე „ოლ ბლექსის" ევროპული ტურნეს წინ, ვარჯიშზე ფეხი მოიტეხა.

**ცოტა ჭკუანაკლული:** სამხრეთ აფრიკის ნაკრების მეორეხაზელმა **ბაკის ბოთამ** სამი ერის გათამაშების მატჩში ახალზელანდიელ **ჯიმი ქოუანს** თავი ჩაარტყა და ოთხკვირიანი დისკვალიფიკაცია დაიმსახურა. ის იყო სასჯელი მოიხადა, რომ ბოთამ პირველივე მატჩში ჩვეულებას, რომელიც რჯულზე უმტკიცესია, ვერაფრით უღალატა და მორიგი ბინძური თამაშისთვის ცხრაკვირიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.



ახალი ზელანდიის ნაკრები

28 დეკემბერი მსოფლიო რაგბის ისტორიაში



გერეთ ედვარდსი

### 1890 წელი

„ბარბაროსებმა" ამ დღეს პირველი შეხვედრა გამართეს. მათ ჰართპულში „როვერსს" 9:4 მოუგეს.

„ბარბაროსები" **ვილიამ პერსი კერპმელმა** დააფუძნა და ექვსი წლის განმავლობაში კემბრიჯის უნივერსიტეტის გუნდის ბაზაზე ფუნქციონირებდა. 1890 წელს ბრენდმა „ბარბაროსებმა" სრულიად განსხვავებული დანიშნულება შეიძინა. სხვადასხვა კლუბიდან მოთამაშეების რეგულარულად მიწვევის თაობაზე გადაწყვეტილება 1890 წლის 9 აპრილს, ბრედფორდის სასტუმრო „ალექსანდრას" რესტორანში გამართულ შეხვედრაზე მიიღეს.

„ბარბაროსებმა" მალე გაითქვეს სახელი მთელ ბრიტანეთში და წელიწადში მინიმუმ ექვს მატჩს მართავდნენ, პენართში, კარდიფში, სუონსიში, ნიუპორტში, ლესტერსა და მიდლენდში.

1948 წელს კი „ბარბაროსები" ავსტრალიის ნაკრებთან სათამაშოდ მიიწვიეს. „ვოლაბები" მაშინ ევროპულ ტურნეში იმყოფებოდნენ და ინგლისის, ირლანდიისა და საფრანგეთის ნაკრებებთან ითამაშეს.

მალე „ბარბაროსებთან" თამაში ბობოლა სარაგბო ქვეყნების გუნდებისთვის ტრადიციად იქცა. მათ სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა, რადგან იმთავითვე ითვლებოდა, რომ ძველი, ნაღდი სარაგბო ტრადიციების მატარებლები და დამცველები იყვნენ.

„ბარბაროსებმა" პირველ დიდ წარმატებას 1973 წლის 27 იანვარს მიაღწიეს, როცა კარდიფში, „არმს პარკზე" ახალი ზელანდიის ნაკრები დაამარცხეს - 23:11. იმ მატჩში ყველა დროის საუკეთესო ლელო **გერეთ ედვარდსმა** გაიტანა.

### 1895 წელი

„ბარბაროსებმა" ჩრდილო-აღმოსავლეთის სამმატჩიან ტურნეში „საუთ-შილდს" 27:5 მოუგეს.

### 1919 წელი

„ნიუპორტმა" ყველასთვის მოულოდნელად „ბარბაროსები" მშრალი ანგარიშით დაამარცხა - 19:0. ეს, იმ დროისთვის შოკის მომგვრელი ამბავი იყო. თუმცა მალე ახსნაც მოუძებნეს, „ნიუპორტის" 12 მოთამაშე უელსის ნაკრების წევრი ყოფილა.

### 1920 წელი

„კარდიფმა" უელსის დედაქალაქში, უმძიმეს ბრძოლაში დაამარცხა „ბარბაროსები" - 6:5. ეს იყო ამ გუნდების ბოლო მატჩი, რომელიც შობის დღის ზეიმის შემდეგ გაიმართა.

### 1943 წელი

„დომინიონსმა" ლონდონის კლუბების ნაკრებს რიჩმონდში, საშობაო მატჩში 13:9 მოუგო. გამარჯვებული გუნდი, ძირითადად მფრინავებით იყო დაკომპლექტებული. დამარცხებული კი, ლონდონის უნივერსიტეტისა და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ნაკრებს წარმოადგენდა.

### 1947 წელი

ბი ბი სიმ გადაწყვიტა „რიჩმონდისა" და „ჰარლიქუინზის" დაპირისპირების მეორე ტაიმი პირდაპირ ეთერში გადაეცა. რიჩმონდელებმა, რომლებსაც იმ წელიწადს შესანიშნავი სეზონი ჰქონდათ, მეტოქეს 12:3 მოუგეს.

### 2006 წელი

„ბარბაროსები" 2006 წლის ივნისში თბილისს ეწვივნენ და საქართველოს ნაკრებს დაუპირისპირდნენ. თამაში ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა, თუმცა „ბარბაროსებმა" მაინც შეძლეს გამარჯვება - 28:19.

**საქართველოს ნაკრები: 15. პალიკო ჯიმშელაძე, 14. ოთარ ელოშვილი, 13. რეზო გიგაური, 12. ირაკლი გიორგაძე, 11. ირაკლი მაჩხანელი, 10. ოთარ ბარკალაია, 9. ბიძინა სამხარაძე. 1. მამუკა მაგრაქველიძე, 2.აქვსენტი გიორგაძე, 3. ავთანდილ კოპალიანი, 4. ლევან დათუნაშვილი, 5. მამუკა გორგოძე, 6. ილია მაისურაძე, 7. რატი ურუშაძე, 8. ბესო უდესიანი.**

*16. მიხეილ სუჯაშვილი, 17. დავით ხინჩაგიშვილი, 18. შალვა პაპაშვილი, 19. ზვიად მაისურაძე, 20. გიორგი კაჭარავა, 21. ლექსო გუგავა, 22. გიორგი ელიზბარაშვილი.*

**ბარბაროსები: 15. ნეილ ჰალეტი (ეშერი), 14. უგო მონი (ჰარლიქუინზი), 13. ტონი მარში (კლერმონი), 12. კევინ მეგზი (ალსტერი), 11. ლი რობინსონი (ბრისტოლი), 10. კრის მალონი (ბასი), 9. იაკობ რაულუნი (ბრისტოლი). 1. ჯასტინ ფიცპატრიკი, 2.ოლივეი აზამი (გლოსტერი), 3. დარენ კრომთონი (ბრისტოლი), 4. ჯიმი ჰამილტონი (ლესტერი), 5. საიმონ მიალი (ჰარლიქუინზი), 6. ბრედ ჰენდერსონი (პარმა), 7. ვილ სკინერი (ლესტერი), 8. ბობ სკინსტადი (რიჩმონდი)**

*16. პიტერ დიქსონი (ბრისტოლი), 17. კევინ ტკაჩუკი (გლაზგო), 18. ჰოტი ლოუ (ჰლანეჰლი), დანიელ ბარაუნი (ნორსჰემპთონი), 20. იან ვასი (ჰარლექუინზი), 21. ლეონ ლოიდი (ლესტერი), 22. სტივ ჰენლი (სეილ შარქსი).*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

msy.gov.ge

● კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინიქსი ვეტერანების იმედად დარჩა


კლიპერსი-ფინიქსი

სამშაბათ მატჩის წაგების შემდეგ „ჩიკაგო ბულზმა" კინაღამ ზედიზედ მეორე შეხვედრაში წაიფორხილა. „დეტროიტთან" გასვლით მატჩში სროლა არ წაუვიდათ „ხარების" სნაიპერებს და გუნდმა საერთო ჯამში, თამაშიდან ტყორცნების მხოლოდ 39.6 პროცენტი გამოიყენა.

თავისზე სუსტ მეტოქესთან მარცხი „ჩიკაგოს" გეგმაში არ შედიოდა და მან ფარქვეშ კარგი თამაშით მაინც მიაღწია სანადელს. სტუმრებს 55 მოხსნა (19 შეტევაში) ჰქონდათ „დეტროიტის" 39 მოხსნის წინააღმდეგ.

ყველა სირთულის მიუხედავად, „ჩიკაგო" ვალდებული იყო ძირითად დროში მოეგო ეს მატჩი. ბოლო მეოთხედის წინ „ბულზი" 68:57-ს იგებდა, მაგრამ ამის შემდეგ სტუმრების შეტევა საბოლოოდ მოიშალა, ამასთან, ახალგაზრდობა გაიხსენა **ტრეისი მაკგრეიდიმ** და „დეტროიტს" შესანიშნავი „დაბრუნება" გამოუვიდა. თუმცა **დერეკ როუზის** აქტივობით ჩიკაგოელებმა დაიბრუნეს საწყისი უპირატესობა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ბოლო 4 წუთში „ჩიკაგომ" თამაშიდან ვერც ერთი ბურთი ვერ ჩააგდო. „დეტროიტის" ბოლო შეტევის წინ „ხარები" ორი ქულით იყვნენ წინ და როცა ყველაზე მეტად იყო საჭირო , სწორედ ამ დროს წააგეს ფარი - მასპინძლებმა სამჯერ ააცილეს ბურთი კალათს და სამივეჯერ მოხსნეს, რის შემდეგაც **ვილანუევამ** ჩააგდო და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა.

დამატებით ხუთ წუთში კი საუკეთესო იყო **კარლოს ბუზერი**, რომელმაც შეხვედრა 31 ქულითა და 11 მოხსნით დაასრულა. ოვერტაიმში მან ორი ბურთი ჩააგდო და ერთხელ **რონი ბრიუერს** ჩააგდებინა, ასევე მნიშვნელოვანი იყო 38 წლის **კურტ ტომასის** ორქულიანი. დაცვამაც კარგად ითამაშა, როცა 93:92-ზე „დეტროიტის" შეტევისას **სტაკი** შეაჩერა. ამას მოჰყვა **კორვერის** ორი ზუსტი საჯარიმო და ვილანუევას საკუთარი ნახევრიდან ნასროლი სამქულიანი - მეორედ ამ კალათბურთელმა მატჩის გადარჩენა ვერ შეძლო.

უჭირს „ფინიქს სანზს", რომელმაც ორ დღეში ორი თამაში წააგო. მის რიგებში ჯერაც არ გამოჩენილა „ორლანდოდან" შეძენილი **ვინს კარტერი**. „კლიპერსთან" პირველი მეოთხედის შემდეგ „სანზი" 15 ქულას აგებდა, მეორე მეოთხედის მსვლელობისას კი ეს უპირატესობა 18 ქულამდე გაიზარდა - 51:33. მაგრამ სათამაშო დღის ყველაზე საინტერესო შეხვედრა სწორედ ეს იყო, რადგან **სტივ ნეში** და **გრანტ ჰილი** დანებებას არ აპირებდნენ და **მიკაელ პიეტრუსის** დახმარებით ხანგრძლივი სპურტი წამოიწყეს. ბოლო შესვენებისთვის სხვაობა მინიმალური იყო, სულ მალე კი ანგარიში გათანაბრდა - 85:85.

მაგრამ „ფინიქსმა" მეტის გაკეთება ვერ შეძლო. „კლიპერსი" დროულად მოეგო გონს და ინიციატივა დაიბრუნა. **ბლეიკ გრიფინმა** მოულოდნელად იოლად ჩააგდო საშუალო დისტანციიდან, **ბაირონ დევისმა** სამქულიანი გამოიყენა და კალიფორნიელებმა ახალი ძალით შეუტიეს. თუმცა მატჩის მშვიდად დასრულება მაინც ვერ მოახერხეს. სირენამდე 2 წუთით ადრე 10 ქულით წინ გასვლის შემდეგ მასპინძლებმა გადაწყვიტეს, რომ საქმე გაკეთებული იყო და მოდუნდნენ, რითაც კინაღამ ხელმეორედ გაფლანგეს კომფორტული უპირატესობა. მიუხედავად ამისა, ბოლოს „კლიპერსმა" მნიშვნელოვანი საჯარიმოები ჩააგდო და რთული გამარჯვება მოიპოვა.

**კლიპერსი-ფინიქსი 108:103**

33:18, 28:31, 18:29, 29:25

კ: გრიფინი (28+12 მოხსნა), გორდონი (24), დევისი (15+9 პასი), ფოიე (10).

ფ: პიეტრუსი (25), ნეში (21+15 პასი), ჰილი (19+7 მოხსნა), ფრაი (12+6 მოხსნა), გორტატი (11+5 მოხსნა).

**კლივლენდი-მინესოტა 97:98**

28:17, 21:34, 24:19, 24:28

კ: ჯეიმისონი (24+6 მოხსნა), პარკერი (21+7 მოხსნა+7 პასი), უილიამსი (17+5 მოხსნა+11 პასი), ჰიქსონი (11+5 მოხსნა), ვარეჟაო (6+12 მოხსნა).

მ: ბიზლი (28+6 მოხსნა), რიდნური (23+5 მოხსნა+6 პასი), ლავი (16+18 მოხსნა), ფლინი (11).

**დეტროიტი-ჩიკაგო 92:95 (ო)**

15:23, 19:17, 23:28, 28:17, 7:10

დ: პრინსი (17+6 პასი), სტაკი (16+5 მოხსნა), მაკგრეიდი (15), ჰემილტონი (15), ვილანუევა (12+10 მოხსნა).

ჩ: ბუზერი (31+11 მოხსნა), როუზი (23+12 მოხსნა+8 პასი), დენგი (10+6 მოხსნა).

**ნიუ ორლეანი-ატლანტა 93:86**

25:27, 21:28, 28:16, 19:15

ნ-ო: პოლი (22+8 პასი), უესტი (18), ოკაფორი (14+15 მოხსნა), არიზა (12+10 მოხსნა), ჯეკი (10).

ა: ჯონსონი (23+5 მოხსნა), უილიამსი (18+5 მოხსნა), სმიტი (10+12 მოხსნა), კროუფორდი (10).

**ინდიანა-მემფისი 90:104**

20:32, 26:19, 18:26, 26:27

ი: გრეინჯერი (29+5 მოხსნა), ჰიბერტი (14+10 მოხსნა), დანლივი (10+8 მოხსნა).

მ: გეი (30+8 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), რენდოლფი (18+16 მოხსნა), გასოლი (17+8 მოხსნა+7 პასი), მაიო (17+6 მოხსნა), კონლი (4+6 მოხსნა+10 პასი).

**სან ანტონიო-ვაშინგტონი 94:80**

27:23, 21:19, 33:23, 13:15

ს-ა: ჯინობილი (21), პარკერი (20+6 მოხსნა+14 პასი), ჰილი (11).

ვ: ლუისი (21+12 მოხსნა), ჰაინრიხი (15+7 პასი), ჰოვარდი (11+6 მოხსნა), ტორნტონი (11), იანგი (10), არმსტრონგი (6+13 მოხსნა).

**დენვერი-ფილადელფია 89:95**

25:13, 21:30, 25:23, 18:29

დ: ბილაპსი (24), აფლალო (14), ლოუსონი (14), ნენე (13+9 მოხსნა), სმიტი (9+11 მოხსნა), ანდერსენი (3+11 მოხსნა).

ფ: ჰოლიდეი (22), იანგი (20+7 მოხსნა), მიქსი (17), ბრენდი (13+17 მოხსნა+3 დაფარება).

# ორით ნაკლები უილიამსი

„საკრამენტო კინგზის" ხელმძღვანელობა ახალგაზრდა ცენტრის **დამარკუს კაზინსის** D-ლიგაში დაქვეითების ვარიანტს განიხილავს. სწორედ ამ გზით სურს კლუბის ხელმძღვანელობას კალათბურთელის დასჯა, რომელიც ბოლო დროს უამრავ სკანდალში გაეხვია როგორც მატჩების დროს, ასევე ვარჯიშებისას. ამის გამო მან არაერთი ფულადი ჯარიმა მიიღო, მაგრამ ამან მაინც ვერ უშველა კაზინსის ჭირვეულ ხასიათს.

*„თუ ისინი ფიქრობენ, რომ ასე უკეთესი იქნება, მაშინ ვერაფერს გავაწყობ. თუმცა არ მჯერა, რომ ქვედა ლიგაში გამიშვებენ"*, - თავს იმშვიდებს კალათბურთელი, რომელიც წელს საშუალოდ მატჩში 11.4 ქულასა და 7.4 მოხნას აგროვებს.

■ ■ ■

კარიერის დასრულებას ფიქრობს „ორლანდო მეჯიქის" გამთამაშებელი **ჯეისონ უილიამსი**. ვეტერან მცველს მინიმუმ ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს, რადგან ტრავმირებულ მარცხენა ფეხზე სამედიცინო გამოკვლევა ელის. ეს დაზიანება უილიამსს უკვე თვე-ნახევარია აწუხებს და ამის გამო კალათბურთელი დიდი სპორტიდან წასვლაზე დაფიქრდა.

თანაც ჯეისონი „მეჯიქის" მეოთხე გამთამაშებელია და ის ვერ უძლებს **გილბერ არენასთან, ჯამირ ნელსონთან** და **კრის დუჰონთან** კონკურენციას.

ლიგა შეიძლება დატოვოს კიდევ ერთმა უილიამსმა. „კლივლენდი" ფორვარდ **ჯავად უილიამსის** გუნდიდან გაშვებას აპირებს. ეს 10 იანვრამდე უნდა მოხდეს, როცა ლიგის ყველა კონტრაქტი სეზონის ბოლომდე გარანტირებული გახდება.


დემარკუს კაზინსი

ჯეისონისა და ჯავადის წასვლის მიუხედავად, ლიგაში უილიამსები მაინც საკმარისად დარჩებიან. ესენი არიან: **დერონ, ლუ, მერვინ, მო, რეჯი, ტერენს, შონ, შელდენ** და **ელიოტ უილიამსები**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩი**

| | |
|---|---|
| ქუვეითი-ჩრ. კორეა | 2:2 |

**ინგლისი**

| | |
|---|---|
| არსენალი-ჩელსი | 3:1 |

**ჩრ. ირლანდია**

| | |
|---|---|
| კლიფტონვილი-კრუზეიდერსი | 2:1 |
| პორტდაუნი-გლენავონი | 2:2 |

**ავსტრალია**

| | |
|---|---|
| მელბურნ ვიქტორი-ნიუკასლი | 2:1 |
| ნ. ქუინსლენდი-ველინგტონი | 1:1 |

**კალათბურთი**

**გერმანია**

| | |
|---|---|
| ბამბერგი-ოლდენბურგი | 101:66 |

**ისრაელი**

| | |
|---|---|
| მაკაბი (თ-ა)-ირონი | 88:66 |

**ჰოკეი**

**შპენგლერის თასი**

| | |
|---|---|
| სპარტა-სერვეტი | 3:4 |
| კანადა-სპარტაკი | 6:1 |

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ატლანტი-ვიტიაზი | 3:0 |
| სევერსტალი-ლოკომოტივი | 1:5 |
| ტორპედო-დინამო (მ) | 3:2 (ბ) |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| იუნოსტი-გომელი | 6:2 |
| ლიეპაიასი-სოკილი | 3:2 (ო) |
| მეტალურგი-ხიმვოლოკნო | 7:2 |
| შინიკი-შახტარი | 1:4 |
| ხიმიკი-ნემანი | 0:4 |
| ვიტებსკი-ბრესტი | 3:0 |

● TV პროგრამა

**28 დეკემბერი. სამშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**13:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
**16:25** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
**17:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. ვოლერო (შვეიცარია)-ვოლეი ფუტურო (ბრაზილია). შვეიცარია (LIVE).
**00:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-ჩეხეთი. აშშ (LIVE).
**04:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები. ჯგუფური ეტაპი. აშშ-სლოვაკეთი. აშშ (LIVE).

**НТВ-პლუსი (ონლაინი)**

**14:40** ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).
**05:00** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-დალასი (LIVE).

**НТВ-პლუსი (კლასიკა)**

**21:30** ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. ვოლეი ფუტურო (ბრაზილია)-ყველა ვარსკვლავი (ჰოლანდია), ვოლერო (შვეიცარია)-პერუჯა (იტალია) (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**05:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-მილუოკი (LIVE).

**SPORT+**

**18:05** ფიგურული სრიალი. რუსეთის ჩემპიონატი (LIVE).
**03:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები. ჯგუფური ეტაპი. შვედეთი-რუსეთი. აშშ (LIVE).

**EUROSPORT**

**13:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. I ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
**16:30** სამთო-სათხილამურო სპორტი. მსოფლიოს თასი. ქალები. გიგანტური სლალომი. II ცდა. სემერინგი. ავსტრია (LIVE).
**18:45** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. ოთხი ტრამპლინის ტურნე. HS137. კვალიფიკაცია. ობერტსდორფი. გერმანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**18:00** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია (LIVE).
**23:15** ჰოკეი. შპენგლერის თასი. ჯგუფური ეტაპი. შვეიცარია (LIVE).
**01:30** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ახალგაზრდები. ჯგუფური ეტაპი. კანადა-ჩეხეთი. აშშ (LIVE).

● ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-ტამპა ბეი 2:3 (ო)**

0:1, 1:1, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სტემკოსი-28 (მელოუნი-18, სენტ ლუისი-32), 1:1 ბოგოსიანი-3 (ე. სტიუარტი-14, ლიტლი-10), 1:2 ლეკავალიე-5 (საიმონ განიე-4, ბერგენჰაიმი-8), 2:2 მოდინი-7 (სლეიტერი-6, იგერი-6), 2:3 ლეკავალიე-6 (სენტ ლუისი-33, სტემკოსი-22).

**კაროლინა-ვაშინგტონი 2:3**

0:1, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 მ. პერო-5 (სიომინი-17, ლეიჩი-16), 1:1 ი. იოკინენი-6 (ტ. რუუტუ-14, სკინერი-17), 1:2 სტეკელი-4 (ოვეჩკინი-28), 1:3 ოვეჩკინი-13 (მ. გრინი-10), 2:3 ტ. რუუტუ-8 (პარისონი-4, ი. იოკინენი-19).

**ჩიკაგო-კოლამბუსი 4:1**

1:0, 0:0, 3:1

**გოლები:** 1:0 კოპეცკი-6 (მარიან ჰოსა-11, კალიმორი-7), 2:0 შარპი-19 (სიბრუკი-18, მარიან ჰოსა-12), 3:0 ბოლანდი-5 (ბროუერი-11, ბიკელი-10), 4:0 შარპი-20 (ბროუერი-12, ტეუვზი-18), 4:1 ბრასარი-8 (სესტიტო-2, ტიუტინი-6).

**მინესოტა-დეტროიტი 1:4**

0:2, 0:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ზეტერბერგი-13 (კრონვალი-10, ფრანცენი-11), 0:2 კლირი-16 (ფილპულა-11), 0:3 დრეიპერი-1 (კრონვალი-11, ჯ. ერიქსონი-6), 0:4 ჰოლმსტრიომი-10 (ზეტერბერგი-27, ლიდსტრიომი-20), 1:4 ბერნსი-10 (პავლატი-23, ო'სალივანი-4).

**ნიუ ჯერსი-ტორონტო 1:4**

0:1, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 კ. არმსტრონგი-2 (ვერსტეეგი-12), 0:2 ჯ. მიტჩელი-2 (ვერსტეეგი-13, გუნარსონი-3), 0:3 კულემინი-12 (მაკარტური-18, გრაბოვსკი-14), 1:3 პელეი-1 (ფეინი-1, გრინი-9), 1:4 კ. არმსტრონგი-3 (ტ. კაბერლე-19).

**აილენდერსი-მონრეალი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

**გოლები:** 1:0 კომო-8 (მრემპი-7, იტონი-2), 2:0 გრაბნერი-8 (ნილსენი-12), 3:0 პარენტო-7 (ნილსენი-13, ტავარესი-10), 4:0 ვიშნიევსკი-3 (ენდრიუ მაკდონალდი-6, პარენტო-13), 4:1 პლეკანეცი-11 (ა. კოსტიცინი-13, კამალერი-15).

**ოტავა-პიტსბურგი 3:1**

2:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 ფიშერი-10 (ე. კარლსონი-15, გონჩარი-13), 2:0 ე. კარლსონი-7 (კელი-8, სპეცა-10), 3:0 ე. კარლსონი-8 (სპეცა-11), 3:1 კროსბი-30 (კუკი-9, კუნიტცი-15).

**სტ. ლუისი-ნეშვილი 2:0**

0:0, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 ბეკსი-8 (სობოტკა-11), 2:0 ბეკსი-9 (სტინი-13).

**დალასი-ფინიქსი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

**გოლი:** 0:1 ტარისი-5 (დოუნი-13, ბოდკერი-1).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 4:1**

0:0, 4:1, 0:0

**გოლები:** 1:0 სიმონდსი-8 (პანძუში-9, კლიფორდი-4), 1:1 ბელესკი-1 (ლიდმანი-1, გეტცლაფი-24), 2:1 კოპიტარი-15 (მტურმი-1, დ. ბრაუნი-17), 3:1 ჯასტინ უილიამსი-14, 4:1 დ. ბრაუნი-14 (დაუტი-14, ჯ. ჯონსონი-20).

**ვანკუვერი-ედმონტონი 3:2**

0:0, 1:2, 2:0

**გოლები:** 0:1 ო'მარა-1 (უმარკი-4), 0:2 რაიან უიტნი-2 (კოლიანო-6, პენერი-11), 1:2 ტამბელინი-8 (კესლერი-14, ედლერი-20), 2:2 სამუელსონი-8 (ტორესი-5, მალორტა-10), 3:2 ბიეკსა-3 (ბაროუზი-9, ჰ. სედინი-36).

● ამბები

**კალათბურთი**

## ფრენსისმა პეკინი დატოვა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილმა ვარსკვლავმა **სტივ ფრენსისმა** ჩინეთის „პეკინის" ხელმძღვანელობასთან ორმხრივი შეთანხმების შემდეგ გააუქმა ხელშეკრულება. კალათბურთელმა კონტრაქტი 14 დეკემბერს გააფორმა და ის ორწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებდა.

„ჰიუსტონ როკეტსის" ყოფილი კალათბურთელი უკმაყოფილო იყო იმით, რომ მოედანზე იშვიათად უწევდა გასვლა და ეჭვი შეეპარა იმაში, რომ კლუბის მას მხოლოდ ბილეთების რეალიზაციისა და რეკლამისთვის იყენებდა.

NBA-ის „ყველა ვარსკვლავის მატჩის" სამგზის მონაწილემ ექვს მატჩში 13 წუთი ითამაშა და საშუალოდ 0.5 ქულა და 0.7 მოხსნა დააგროვა.

## გირიჩეკი ციბონას გააძლიერებს

ზაგრების „ციბონას" შემადგენლობაში დაბრუნდა ამ კლუბის აღზრდილი, XXI საუკუნეში ხორვატიის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე **გორდან გირიჩეკი**. 33 წლის კალათბურთელმა ამ სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი მშობლიურ კლუბთან.

გირიჩეკი მრავალი წელი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობდა. 2003-08 წლებში ის „იუტას" ღირსებას იცავდა, გარდა ამისა, „მემფისის", „ორლანდოს", „ფილადელფიასა" და „ფინიქსის" შემადგენლობაში ირიცხებოდა. ბოლო ორი სეზონი გირიჩეკმა თურქეთის „ფენერბაჰჩეში" გაატარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი


ფედერერსა და ნადალს დიდი მეტოქეობა ელით

# 14 სავარაუდო შერკინება

მსოფლიოს პირველმა და მეორე ჩოგნებმა - **რაფაელ ნადალმა** და **როჯერ ფედერერმა** 2011 წლის სეზონისთვის პირადი კალენდრები გამოაქვეყნეს.

ორივე ჩოგბურთელი ახალ სეზონს აბუ-დაბიში საჩვენებელ ტურნირში გამოსვლით დაიწებს. ნადალი 2011 წელს 19 ტურნირში აპირებს მონაწილეობას, ფედერერი - 18-ში. ამ სიაში შესული არ არის წლის შემაჯამებელი ტურნირი, რომლის საგზური ჩოგბურთელებს ჯერ მოსაპოვებელი აქვთ.

ალსანიშნავია, რომ ნადალისა და ფედერერის გზები 14 ტურნირში გადაიკვეთება. აი მათი ჩამონათვალი:

30 დეკემბერი, აბუ დაბი (საჩვენებელი)
17 იანვარი, ავსტრალიის ღია (დიდი სლემი)
7 მარტი, ინდიან უელსი (Masters1000)
21 მარტი, მაიამი (Masters1000)
2 მაისი, მადრიდი (Masters1000)
9 მაისი, რომი (Masters1000)
23 მაისი, როლან გაროსი (დიდი სლემი)
20 ივნისი, უიმბლდონი (დიდი სლემი)
8 აგვისტო, მონრეალი (Masters1000)
14 აგვისტო, ცინცინატი (Masters1000)
29 აგვისტო, აშშ-ის ღია (დიდი სლემი)
3 ოქტომბერი, ტოკიო (კატეგორია 500)
9 ოქტომბერი, შანხაი (Masters1000)
7 ნოემბერი, პარიზი (Masters1000)

ამ ტურნირების გარდა, ფედერერს ვიხილავთ დოჰაში (3 იანვარი), დუბაიში (21 თებერვალი), ჰალესა (6 ივნისი) და ბაზელში (31 ოქტომბერი); ნადალს - როტერდამში (7 თებერვალი), შარლერუაში (4 მარტი, დევისის თასი), მონტე კარლოში (11 აპრილი), ბარსელონასა (19 აპრილი) და ლონდონში (6 ივნისი).

სხვათა შორის, ფედერერმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ 2011 წელს მის გეგმებში არ შედის დევისის თასზე თამაში.

ამბები

ჩოგბურთი

## ანდრე და შტეფი პრაღაში ითამაშებენ

ლეგენდარული ჩოგბურთელები - ამერიკელი **ანდრე აგასი** და გერმანელი **შტეფი გრაფი** მომავალი წლის ნოემბერში, საჩვენებელ ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართება. ეს იქნება მინი-შეჯიბრება, რომლის პროგრამაში შევა ორი თითოსეტიანი ერთეულთა მატჩი და მიქსტი.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ იქნებიან აგასისა და გრაფის მეტოქეები. ეს შეიძლება იყოს მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი, უიმბლდონის ფინალისტი **ტომაშ ბერდიხი** და მისი მეგობარი გოგონა **ლუსი საფაროვა**.

## ავსტრალიის მეოთხე დანაკლისი

საბოლოოდ გაირკვა, რომ ავსტრალიის ღია პირველობას გამოტოვებს ჩინელი **ჟიე ჟენგი**. ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ჩოგბურთელი მაჯის ტრავმას მკურნალობს და სავარაუდოდ, ვერ მოასწრებს ავსტრალიის ღია პირველობისთვის (17-30 იანვარი) გამოჯანმრთელებას. საბოლოოდ, ჩინელმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ არ ჩავა მელბურნში შარშან მოპოვებული ქულების დასაცავად. 2010 წელს ჟენგმა ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალამდე გააღწია.

სავარაუდოდ, ჩინელი WTA-ის ტურს 8 თებერვალს ტაილანდის ტურნირზე დაუბრუნდება.

ჟენგი მეოთხე ქალი ჩოგბურთელია, ვინც ავსტრალიის ღიაზე გამოსვლა იუარა. მანამდე ეს გააკეთეს ამერიკელმა **სერენა უილიამსმა**, უკრაინელმა **ალიონა ბონდარენკომ** და კანადელმა **ალექსანდრა ვოზნიაკმა**.

მძლეოსნობა

## ლემეტრი ჩემპიონთა ჩემპიონია

ავტორიტეტულმა ფრანგულმა ჟურნალმა „ეკიპმა" საფრანგეთის წლის საუკეთესო სპორტსმენად („ჩემპიონთა ჩემპიონი") 20 წლის სპრინტერი **კრისტოფ ლემეტრი** დაასახელა.

წელს ეს მძლეოსანი სპორტის ისტორიაში შევიდა - ის გახდა პირველი თეთრკანიანი სპრინტერი, ვინც 100 მეტრი 10 წამზე ნაკლებ დროში დაფარა - მან დისტანცია 9.98 წამში გაირბინა. გარდა ამისა, 2010 წელს ლემეტრმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო 100 და 200 მეტრზე და 4x100 მეტრზე ესტაფეტაში.

ადრე საუკეთესო თეთრკანიან სპრინტერად პოლონელი **მარიან ვორონინი** მიიჩნეოდა, ვინც შორეულ 1984 წელს 100 მეტრში ზუსტად 10 წამში დაფარა.

ჰოკეი

## ფორსბერგმა ნასვლა გადაწყვიტა

ლეგენდარული შვედი ჰოკეისტი **პეტერ ფორსბერგი** სავარაუდოდ უახლოეს ხანში დაასრულებს აქტიურ სპორტულ კარიერას. როგორც ცნობილია, ბოლო წლებში ფორვარდს ქრონიკული ტრავმები აწუხებს, რის გამოც ვერაფრით აღიდგინა ოპტიმალური სპორტული ფორმა.

ფორსბერგი დღემდე შვედეთის „მოდოს" რიგებში ირიცხებოდა, მაგრამ ბოლო ვარჯიში გამოტოვა და შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობას შეატყობინა, რომ კლუბში აღარ დაბრუნდებოდა.

ფორმულა 1

# შესანიშნავი ათეული

ბრიტანული ტელეარხის ITV-ის ჟურნალისტებმა ცნობილ ექსპერტ **ჯეიმს ალენს** გასული სეზონის ათი საუკეთესო პილოტის დასახელება სთხოვეს. სპეციალისტმა პირველ ადგილზე მსოფლიოს ჩემპიონი **სებასტიან ფეტელი** დააყენა და ასე დაასაბუთა თავისი არჩევანი...

### 1. სებასტიან ფეტელი

წელს ბევრი უსვამდა ხაზს იმას, რომ ფეტელსა და **კუბიცას** ურთულეს სიტუაციაში უწევდათ გამოსვლა, მაგრამ სებასტიანი აუცილებლად უნდა გამოვყოთ, რადგან მან თავი გაართვა დასახულ ამოცანას. ტიტულის მოგება ძალიან რთულია, თუნდაც საუკეთესო მანქანის საჭესთან.

ფეტელი შეცდომებს უშვებდა - ამის თავიდან აცილება არავის შეუძლია. მაგრამ ამასთან, ათი პოული მოიპოვა და სეზონის დასკვნით ნაწილში შეუდარებელი იყო.

### 2. ფერნანდო ალონსო

მეორე პოზიციაზე დიდი ხანი ვაკეთებდი არჩევანს **ფერნანდო ალონსოსა** და **ლუის ჰემილტონს** შორის, მაგრამ ფერნანდო წელს უფრო სტაბილური იყო, რაც მის კარგ მუშაობასა და გუნდში ინტეგრაციას უკავშირდება.

როცა „ფერარი" ესპანელთან კონტრაქტს აფორმებდა, მას გუნდში ლიდერის მიღება სურდა. ასეც მოხდა, მაგრამ ასეთ პირობებში ბრძოლას გამოეთიშა **ფელიპე მასა**. ყველაზე უკეთ „ფერარიში" შექმნილი სიტუაცია და გუნდის მიერ გაკეთებული არჩევანი გერმანიის გრან-პრიზე გამოჩნდა, როცა ხელმძღვანელობამ ადგილები შეაცვლევინა პილოტებს.

### 3. ლუის ჰემილტონი

ლუისი დომინირებდა ზაფხულის დასაწყისში - 108 ქულა ექვს რბოლაში, მაგრამ „მაკლარენმა" ვერ მიაღწია იმ პროგრესს, რაც შარშან, სეზონის ბოლოს ნაწილში ჰქონდა. ამის გამო წააგეს ჩემპიონატი.

ჰემილტონი მაინც რჩება ფორმულა 1-ის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ნიჭიერ პილოტად. მისმა რამდენიმე გასწრებამ უდიდესი სიამოვნება მიანიჭა გულშემატკივარს. ასევე შთამბეჭდავი იყო მისი გამარჯვებები მონრეალსა და სპაზე.

### 4. მარკ უებერი

**მარკ უებერი ნაიჯელ მენსელს** მახსენებს, რომელმაც საუკეთესო შედეგს მაშინ მიაღწია, როცა 30 წელს გადააბიჯა. საკითხავი ის არის, შეძლებს თუ არა ავსტრალიელი მომავალ წელს გამარჯვებას? ვფიქრობ, მას ძალიან გაუჭირდება, რადგან ფეტელი ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ კიდევ უფრო მოუმატებს.

უებერი სეზონის მსვლელობისას ყველაზე სტაბილური იყო. გამონაკლისი აღმოჩნდა ბოლო სამი გრან-პრი, ხოლო კორეის რბოლისას ავარიამ ფაქტობრივად ყველა შანსი მოუსპო.

### 5. რობერტ კუბიცა

კუბიცამ ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, თითქმის არ უშვებდა შეცდომას და ხშირად იმაზე მეტს იღებდა, ვიდრე ამის საშუალებას მანქანა აძლევდა. მან საერთო ჩათვლაში მხოლოდ ექვსი ქულა წააგო **ნიკო როსბერგთან**, არადა, პოლონელის „რენო" ხშირ შემთხვევაში „მერსედესზე" სუსტი იყო.

რობერტმა რამდენჯერმე რბოლა იმაზე უკეთეს პოზიციაზე დაასრულა, ვიდრე სტარტზე ჰქონდა, ეს კი ექსტრაკლასის პილოტებს ახასიათებთ.

### 6. ჯენსონ ბატონი

ბევრს გაუკვირდება, ორი რბოლის მომგები **ჯენსონ ბატონი**, რომელმაც სულ ცოტა წააგო ლუის ჰემილტონთან, ჩემს რეიტინგში მეექვსე ადგილზე რომ მოხვდა. მაგრამ ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმას, თუ რა მაღალი დონის ჩემპიონატი ვიხილეთ 2010 წელს. ჯენსონს შეეძლო არ ჩამორჩენოდა ლუისს, მაგრამ საერთო ჯამში ის ზედმეტად კონსერვატული და ფრთხილი იყო და რისკზე თითქმის არ მიდიოდა.

სისწრაფეში ბატონმა წააგო ჰემილტონთან - „მაკლარენის" პილოტების პაექრობა კვალიფიკაციაში 14:5 დასრულდა ლუისის სასარგებლოდ.

### 7. ნიკო როსბერგი

როსბერგი ისე ნიჭიერი ვერ არის, როგორც ჰემილტონი, მაგრამ მას აქვს სისწრაფე და მტკიცე ხასიათი. კუბიცას მსგავსად, ნიკოც სტაბილურად აგროვებდა ქულებს და კვალიფიკაციაზე მოპოვებულ პოზიციას აუმჯობესებდა. როსბერგმა შეინარჩუნა სიმშვიდე სეზონის დასაწყისში, როცა ბევრი სვამდა კითხვას - შეძლებდა თუ არა ახალგაზრდა პილოტი **მიხაელ შუმახერთან** ბრძოლაში „მეორე ნომრის" როლთან შეგუებას, მაგრამ სულ მალე გამოჩნდა „მერსედესში" ძალთა რეალური თანაფარდობა.

ასევე იოლი იქნება თუ არა მისთვის 2011 წელი? მეეჭვება, მაგრამ მომავალ წელს ჩვენ უკეთ გავიცნობთ ნიკოს ხასიათს.

### 8. რუბენს ბარიკელო

სეზონის დასაწყისში **ბარიკელოს** გუნდთან ერთად მანქანის გაძლიერებაზე ბევრმა მუშაობამ მოუწია, მაგრამ შემდეგ ამ შრომამ ათეულში სტაბილურად მოხვედრის საშუალება მისცა. მეოთხე ადგილი ვალენსიაში და მეხუთე - სილვერსტოუნში ბარიკელოს უდიდესი წარმატება იყო გასულ სეზონში, ისევე როგორც, თამამი შეტევა შუმახერზე უნგრეთის რბოლის დროს.

**ჰიულკენბერგმა** ბრაზილიაში პოული მოიპოვა, მაგრამ სეზონის საერთო მონაცემების მიხედვით, რუბენსმა თანაგუნდელს კვალიფიკაციებში 13:6 მოუგო.

### 9. კამუი კობაიაში

იაპონელი ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტი იყო წელს გასწრებებში, თუმცა ყველა ცდა წარმატებით არ დასრულებულა. ბევრს ახსოვს მისი შეტევა ალონსოზე ვალენსიაში. მართალია, მაშინ **კამუის** რბილი საბურავების ახალი კომპლექტი ეყენა, ალონსო კი გაცვეთილი საბურავებით იყო ტრასაზე. მიუხედავად ამისა, უდავოა კობაიაშის სითამამე და იმ შეტევის ეფექტურობა.

ეს პილოტი უყვართ გულშემატკივრებს, მისი სისწრაფე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მომავალ წელს ყველა ფაქტორი უნდა შეკრიბოს უფრო მეტი წარმატების მისაღწევად.

### 10. ნიკო ჰიულკენბერგი

ჰიულკენბერგისთვის ეს სეზონი ორი ნაწილისგან შედგებოდა. პირველში ის დებიუტანტს ჰგავდა, ვისაც ტესტებში გამოსვლის გამოცდილებაც არ გააჩნდა, მაგრამ შემდეგ ნიკომ მოუმატა, რამდენიმე შესანიშნავი რბოლა ჩაატარა და სილვერსტოუნის შემდეგ ექვსჯერ მოხვდა პირველ ათეულში.

განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო პოული ბრაზილიაში - ნახევრად მშრალ ტრასაზე ჰიულკენბერგმა ზედიზედ ცხრაჯერ აჩვენა საუკეთესო დრო სექტორებზე და დიდი უპირატესობით პირველი ადგილი დაიკავა. მას კარგი პერსპექტივები აქვს, მაგრამ სამწუხაროა, რომ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა „უილიამსთან" კონტრაქტის გასაგრძელებლად.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა



ბატონი მხოლოდ მეექვსეა